

K233.505

2

80 အေဒီ ၁၃၀၉၀



အေဒီ ၁၃၀၉၀

၁၃၀၉၀ ၈၁ ၆၀၃၁၂၄၅၆၃

(360) 80166-200-183 100
800780 პავანიშვილი



ენერგე ჩარიანის

წევენა ჩა სინამდვილე

თბილისი

2001

294.631.05 + 894.631(052)



02086 00666 7 - ბიბლიო

წინამდებარე ნაშრომში, სათანადო მასალებზე დაყრდნობით,
დასაბუთებულია, რომ ელექტ დარიანი (ელექტ ბაქნაძე, ბერიშვილისა,
ქართველიშვილისა) რეალურად არსებული პოეტი იყო.

წიგნში შესწავლილია ელექტ დარიანის შემოქმედებითი
ურთიერთობანი ცნობილ პოეტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

ნაშრომს ერთვის ავტორის პოლემიკური წერილები ელექტ
დარიანის ლეგენდისა და სინამდვილის დასადგენად.

რედაქტორი შარლოთა გვართალიძე

| | |
|--|-----|
| იჯუმალი მუხა – კლლი (შარლოტა კვანტალიანი) | 4 |
| შესავალი | 7 |
| ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი | 13 |
| პაოლო ლაშვილი | 29 |
| გალაკტიონ ტაბიძე | 40 |
| გრიგოლ რობაქიძე | 41 |
| კონსტანტინე გამიახურდა | 45 |
| იოსებ გრიშაშვილი | 47 |
| კონსტანტინე ჭიჭინაძე | 49 |
| გიორგი ლეონიძე | 50 |
| ირაკლი აბაშიძე | 54 |
| მარიჯანი | 56 |
| ლალი გუდაშვილი | 58 |
| სიმონ ჯანაშვია | 63 |
| ულალიმერ ნიორაკაძე | 67 |
| იოსებ მეგრელიძე | 69 |
| ლიზა და შალვა ქართველიშვილები | 70 |
| პანტელეიმონ პეტრენკო | 77 |
| „ცისფერი ყანწები“ | 82 |
| „ცისფერყანწელთა“ საღამო ბათუმში | 107 |
| პაოლო ლაშვილის წერილები Elli-სადმი | 112 |
| პოლემიკა | 119 |
| „მხოლოდ რეპლიკა“ რეპლიკა | 120 |
| კლენე დარიანის მითის სინამდვილე | 123 |
| მემატიანე სიმართლეს იტყვის (ნაწყვეტი) | 143 |
| ისევ კლენე დარიანის მითისა და სინამდვილეზე | 145 |
| ილუსტრაციები | 157 |

გარემონტის 706 მსარმა: გამოჩენილი ხუნია (დაღვესტნება)
 მხატვრის პალილ-ბეგ შესაიახულის მიერ შესრულებული ელექნე
 დარიანის პორტრეტი

გარემონტის 706 მსარმა: ელექნე დარიანის მიერ
 მარიჯანისადმი შიძლიერიდან ღევჟის ხელნაწერი

იდუმალი მუზა – ელლი

არ არსებობს ამ ქვეყნად საიდუმლო, ერთ შშეწირ დღეს რომ არ გამუდავნდეს, რადგან იდუმალებას არა აქვს სამუდამი თავშესაფარი, იგი ინახება ადამიანთა გულებში, საიდანაც მუდმივად ესწრაფეის გაქცევას... საიდუმლო კვლაშე ძნელად შესანახი მისტერია...

საიდუმლო ზმირად შეტისმეტად პირადულთან და ინტიმურთან არის დაკავშირებული და ამდენად, არაეთიკურია (შეტი რომ არ ვთქათ) შეაღოთ ის კარები, რომელსაც აწერია „გარეშეთათვის შესვლა აქრძალულია“. ამ შერივ გამოხაյლის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაა, რომელთა მიმართ ინტერესი არასოდეს ნელღება, პირიქით, დრო ამძაფრებს ცნობისმოყვარეობას, რადგან ჭეშმარიტად დიდი და საინტერესო ადამიანები სიკვდილის შემდგომაც განავრჩნობენ სიცოცხლეს. ამგვარი ადამიანები, გარდა იმისა, რომ თავად ქმნიდნენ ლევენდებს საკუთარ თავშე და უახლოეს მეგობრებშე, ათასი ჭორითა და მართალით იყენენ გარემოსილნი და წლების შემდგომ ჭირს ჭეშმარიტისა და გამოგონილის გარჩევა...

„ცისფერყანწელთა“ ცხოვრება ურთ ფერადოვან, ზმაურიან, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე, უცნაურ ტრაგედიას ჰქავს და ისე იშიდავს ჩემს ცნობისმოყვარეობას, როგორც ფარვანას სანთელი... ზმირად სასურელი, შეიძლება ჭეშმარიტებადაც მოგვერცვნოს, ზოგჯერ კი აშკარა სიმართლეშე ვამბობთ უარს, რადგან არ გვსურს ავაფორიაქოთ დროთა განმავლობაში დამშვიდებული თუ გარინდებული სული... ასეთი ფორმაჟი და არაერთგვაროვანი ემოცია გამოიწვა ამ რამდენიმე წლის წინათ, ურნალ-გაზეთებში გამოჩენილმა სენსაციურმა ცნობამ – „ელენე დარიანი რეალური პიროვნებაა, ის არ არის პაოლო იაშვილი“. ამას აცხადებდა პრიფესიონი გიორგი ჯავახიშვილი, რომელსაც მიეცნო ელენე ბაქრაძის (შეუძლეთა გვარებია ბერიშვილი და ქართველი მვილი, ორივე გარდაცვალა), პირადი არქივისათვის, საღაც მრავალ საინტერესო ცნობათა შორის ერთი განსაკუთრებული ცნობა იყო, ქალაბატონი ელენე აცხადებდა, რომ იგია „ელენე დარიანი“, პაოლოს მუზა...

შიშველი განცხადება თებერვლის თოვლივით უდღეურია, თუ მას ზურგს არ უმაგრებს სანდო დოკუმენტური მასალა. ლიტერატურის ისტორია იცნობს „თვითმარქება“ პოეტებს და ამდენად, უდიდესი სიერთხისილე მართებდა მკვლევარს, რათა საზოგადოება შეცდომაში არ შეეფვანა. ყველაზე „მტკიცნეული“ კი იმის გაცხადება იქნებოდა,

რომ პაოლოს ლექსებად აღიარებული „დარიანული“ ლექსები, შეაძლოთ
მხოლოდ პაოლოს კუთვნილება არ ყოფილიყო.

გიორგი ჯავახიშვილმა ელენე ბაქრაძის დღიურები, პირადი
წერილები, უბის წიგნაკები, მინიატურები, ლექსები, თარგმნები
შეისწავლა და საზოგადოების სამსკავროზე გამოიტანა. სამწესაროდ,
ძევლევართა ნაწილმა ამგარა ცნობა პაოლო იაშვილის პირად
შეურაცხყოფად აღიქვა და მის დაცვას გიორგი ჯავახიშვილისა და
ელენე ბაქრაძის ლანდლით უცადა, რაც, ვუიქრობ, ჰერმანიტების
დაღვენაში ხელს შევიმლის.

უნდობლობა, რომელსაც იწევს ელენე ბაქრაძის ნაგებანევი
აღსარება, რომ იგია ელენე დარიანი, მრავალი ობიექტები მიზეზით
შეიძლება აჩხსნას. მათ შორის ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ
ელენე გათხოვილი იყო, როცა რომანი პეტრი პაოლოსთან და
როცა იქმნებოდა „დარიანული“ ლექსები, როცა იწერებოდა პაოლოს
ცეცხლოვანი სიყვარულით ანთებული ბარათები, როცა შეიქმნა
ლირიკული შედევრი „სონეტი ელლის“ (საოცარია, ამ ლექსის
აღრესატი რომ ელენე ბაქრაძეა, ისიც კი საეჭვოდ გახადეს გ.
ჯავახიშვილის ოპერიტებმა), ელენეს და პაოლოს არ სურდათ ამ
თავადასავლის გახმაურება, თუმცა მეგობართა წრემ ყელასური
იცოდა (ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა). პაოლოს და
ელლის წერილები, ლირიკული აღსარებანი, რომლებიც თეორი
ლექსებივით იკითხება, აღნათ მსუბუქი ხელის წაკვრით იქცა ამ
არაჩვეულებრივ, ქალუროი ჭრებით დამუხტებულ ეროტიკულ ლექსებად,
რომელიც მაშინდელმა საზოგადოებამ ძალიან ცუდად მიიღო. ეს
კიდევ ერთი მიზეზი ავტორის თუ ავტორთა გასაიდუმლობისა.
პაოლო კითხულობდა და აქვეყნებდა ამ ლექსებს და არასოდეს
უთქეამს ჩემიათ. ელენე ბაქრაძეს „რატომდაც“ აბრალებდნენ
აღნიშნული ლექსების ავტორიბას და იგი თავაგმოდებით იცავდა
თავს და კაპასობდა, მე არა ვარ ელენე დარიანი, მაგრამ არც
პაოლოაო... (წერილები იაზონ ბაქრაძისადმი, კატო შიქელაძისადმი).
ტიციანი ელენეს მოსკოვიდან უგზავნის ლია ბარათს, რომელიც
თავდება სიტყვებით „იყავი მუდამ მზიანი“. რაღაც „საეჭვოდ“ ელენის
ეს წინადაღება, რადგან „მზიანი და დარიანი“, ხშირად მეზობლობს
თვით „ევგზისტყობისანში“, პაროლივთ გამოიყერება საუროო ფონზე...
შემდეგ პაოლომ ცოლი შეირთო... შემდეგ დაქვრიცებული ელენე
ისევ გათხოვდა... შემდეგ პაოლომ თავი მოიკლა... დახვრიტეს ელენეს
მეუღლე... აქრძალული იყო პაოლოს ხსენებაც კი... აღარ მოვიდა

საიდუმლოს გამედავნების დრო, მაგრამ როგორც კი მოხდა პაოლოს რეაბილიტაცია და გამოვიდა მისი ლექსები, ელენემ პრიორესტი გამოხატა ამ წიგნში შესული „დარიანული“ ციკლის გამო... ის „ელენე დარიანის“ ხელმიწერით 1957 წელს ლექსების უძღვნის მართვის, ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში აკოთხავს ირაკლი აბაშიძეს და სთხოვს დაქმარის, რათა აღიარონ მისი „დარიანის“ და მრავალი სხვა, მაგრამ რატომდაც შეუვალი აღსოჩნდა ის კუდელი, რომელიც ელენე ბაქრაძესა და მის წარსულს შორის აღმართულიყო...

ელენესა და პაოლოს თავებადასავალი ნებისმიერი დიდი შემოქმედის ცხოვრებას დააშვენებდა. ზოგჯერ ცოდვაც ალამაზებს ჩევნს უძალრუკ ყოფას. ელენესა და პაოლოსათვის „დარიანობა“ მათი არშემდგარი ქორწინების სიმბოლო იყო. ორივენი დარიანები იყვნენ, ერთი – „ელენე დარიანი“, მეორე – „თავადი დარიანი“. ერთ ლექსში ელენე წერს: „ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე“, ხოლო პაოლო ელენე დარიანს ასე პასუხობს: „შენი ლექსები მე მაბარია, როგორც ბავშვების წმინდა კრებული, მაგრამ მოწყვინით ხშირად არიან, შენი აღერსის დანატრებული“. რა უნდა იყოს იმაზე ბუნებრივი, რომ ორ შეუყარებულ პოეტს, რომლებიც ბეჭისწერამ არ დააქორწინა, შეიღების ნაცვლად საერთო ლექსები „ჰქავდეთ“. ამგვარი მისტიკურიკაცია გაცილებით უფრო ბუნებრივიცაა და ამასთანავე, მშვენიერიც.

გიორგი ჯავახიშვილმა, მართალია შეაწეხა გარდასულ სულთა მყედროება, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა მათი სულების სიმშეიდისათვისაა უპირველესად აუცილებელი. ბატონი გიორგის მცდელობა ლიტერატურის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს უაღრესად საინტერესო შემოქმედს ელენე ბაქრაძეს, მხოლოდ მისასალმებელია, ხოლო იმ ძვირფასში მასალამ, რომელისთვისაც მკელევარს მოუგნია (და უტყუარი ცნობებით ვიცით, რომ კიდევ მრავლად ინახება სხვადასხვა ლიტერატურულ მუშეუმებსა და პირად არქივებში) ურთობლივი კეთილგანწყობილი კვლევისათვის და ჭეშმარიტების დადგენისათვის უნდა განვვაწყოს და არა ნიკილისტური და დაუმსახურებელი თავდასხმებისათვის, და ბოლოს, პაოლო იაშვილის, ნამდვილი რაინდისა და განუშეორებელი პოეტის სახელს ჭეშმარიტების დადგენა არათე არ შეურაცხყოფს, პირიქით, კიდევ ერთი ულამაზესი შტრიხით შეავსებს მის ცხოვრებას.

შარლოტა კვანტალიანი

შესაგალი



იტეკნიკის: „მშეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!“

შენთვის ხელი გონიერანი არა ცუდად არიანო,

შზიანო და მოვარიანო, ეტლად რაო და რიანო.

თქეენ საჟურნალად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო.

შოთა რუსთაველი

ერებედეთ სოფელია ქართლში. ის პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს მდგებარეობს. სოფელი იყოფოდა სამ უბნად – შეუ, გაღმა და იქითა ერებედეთ-თვალი ფავლენიშვილები შეუ ერებეში ცხოვრობდნენ. მათ გრძელაიღნიანი სახლი უდგათ. ამ აიგანზე ხანდახან თუ გაღმოავტოდა თავადი იღია ფავლენიშვილი და მაშინაც შხოლოდ მოურავს შეეტმიანებოდა.

იღია ფავლენიშვილი გიორგობის თვეში, გიორგობის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე, მოურავს ნიკა ხებულურს დაავალებდა, მუხლადი და თვალქორა ბიჭები დაგვზანა სოფლებში – ფავნისა და ნიქოში, რომ იქ მცხოვრებ ყველა ფავლენიშვილისათვის შეეტყობინებინათ, 23-ში, გიორგობის დღესასწაულზე სწევოდნენ...

სისხამ დილიდანეე სალომე თონეში პურისცხობას შეუდგებოდა. იღია ფავლენიშვილი ყოველწლიურად ოთხ ცხვარს საქართველოს ოთხიურეთხიე სალოცავებს სწირავდა... ფავლენიშვილების ამ ზეარაკა შეწირვაში, ალბათ, საქართველოს ერთიანობის იდეა იყო გააზრებული.

ფავლენიშვილების ძიძა სიღონია ზიღლის ტრაპეზის ამზადებდა. მას „სირისკუდას“ ეძახდნენ.

ერებების წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში დილიდანეე მლოცველი იყრიბებოდა. წწებოდა მათი ტაშ-ფანდურა, ჭიდაობა და კირითი. ზედადვარზე წამოსკეპულ სპილენების ქვაბებში კი იხარშებოდა ზეარაკად შეწირული მოზრის, ცხვრის თუ ქათმის ხორცი...

გიორგობის დღესასწაულზე ერებეში ყველა რჯახში იმღებოდა სანადიო სულია. ხალხი გვან დამემდე ლხინობდა. იღიკო ფავლენიშვილის ოჯახში აღავრდის გადასვლის შეძანილი ეშხში შედიოდა.

დამის წევდიადში კანთიელად გაისმოდა ნიკა მეურშის „ურმულის“ და ძიძა სიღონიას „სანარანის“ ღილინი...

გიორგობის დღესასწაულზე თავად ციციშვილების, ფალავანლიშვილების, მაჩაბლების, ყაფლანიშვილების, სიმშიაშვილების თუ ამილახერების სტუმრობით გაამყენები იღიკო ფავლენიშვილი, საყველურს შეპკალრებდა თავის ერთადერთ ქალიშვილს – სიძე როგორ გადამკიდე ეს მოხეტიალე რაჭელი მესტევიარე... თუმც გორიშ სიმამრს სასაყველურა არა პქონდა თევდორე ბაქრაძესთა... იგი რაჭაში განთქმული აზნაურიშვილის ოჯახიდან იყო, მაგრამ ქართლის

თავადაზნაურთა წრეში მას უფრო ფავლენიშვილების სიძედ მოიხსენიერდნენ...

1897 წლის ქრისტეშობის თვეში, თბილისში, ბების – ზამმაშვილის ოჯახში დაიბადა თევდორე ბაქრაძის ქალიშვილი ელენა. ხოლო ორი თვის შემდეგ ეს თოთო ბავშვი წაიყვანეს დაჭულეთში, ხუცულ ქაფუში აქ ისრდებოდა თავის დაძმათა და ნათესავთა ბავშვების გარემოცვაში.

ელენეს სასწავლებელში შესავანად ამზადებდნენ, როცა რეკოლუცია აძიპოქრდა და ქართლის სიუცულ ქრიდვამდეც მოაღწია. ხალხი ამ მოძრაობას „ბუნტს“ ეძახდა.

ფავლენიშვილების ოჯახში გადაწყდა, რომ ელენე ამ არეკულობისათვის გაერთიდებინათ და იმერთში, თავის მამიდის ოჯახისათვის შევჭარებინათ. აქედან კი იგი მღვამის მონასტერში მონაზენად მყოფ, დაბადებიდანვე შენჯ მამიდასთან გადაიყვნეს. შემდეგში ელენე იუნგბდა: „გულისხერით უკურებდი, როგორ მოძრაობდა გაუთავებელი შესამოსანი ხალხი, რომელთა შავ სახეზე ელავლენენ თვალები და თერთად გამომჭერვალე კბილები...“

ელენემ მღვამის მონასტერში 1904-05 წლები გაატარა. აქ დაუახლოებდა თავის მასწავლებელს, – ბაგრატიონის ქალს, რომელიც მისი დასასიათებით ყოფილა: „ძალიან ლამაზი, ტანწერილი და მოხდენილი“... მას ფინიკერი ნაკლი ჰქონია, რაც გამზღვდარა იმის მიზეზი, რომ მონასტრისათვის შევჭარებინა თავი.

მონასტერში ელენესა და მის ბედში მუოფთათვის ჭავლი დღე იწყობოდა და მთავრდებოდა უნაზესი მონაზენის მარაბ ქურაშვილის საკო გოგებაშვილის „დედა ენის“ გაეკვითოლებითა და ლავრენტი მღვედლის წირვა-ლოცვით.

ერთ დღეს ელენე დარკვეთში წაიყვანეს, აქედან კი გაემზრაურნენ სიუცულ სარეპში, შემდეგ სიუცულ ნაწერებშევში, სადაც მამიდის ოჯახში დაბინავდა. 1906-1907 წლის რამდენიმე თვე ელენემ აქ გაატარა.

1907 წლიდან ბაქრაძის ოჯახი საცხოვრებლად განჯაში გადავიდა და ათი წლის ელენე აქ მოქმედ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში შეიყვანეს.

განჯაში, წათა იმ არეკულ გარემოში, ელენემ ზეპირად დაისწავლა რაც იყო ერთისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ და მთელი ოჯახი ამით ისწავლებდა თავს. სკოლაში ყველა საგანს რუსულად ასწავლიდნენ. მასწავლებლებიც ძირითადად რუსებით ჰყავდათ... საბენიეროდ, ამ სკოლაში იყვნენ ქართველი მასწავლებლებიც – გეოგრაფიას ასწავლიდა ლუკა ხარაძე (აკადემიკოს ვეგენი ხარაძის ბიძა, რომლის ქალიშვილიც იყო შემდეგში ცნობილი უთოერავი – რუსულან ხარაძე), არითმეტიკას ასწავლიდა ქაქონის ქალი, ისტორიას კო – გ. კვიტაშვილი (შემდეგში რუსულს ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ქართული წინისა და ლიტერატურის მასწავლებელი კი იყო ელენეს დედა, – ფავლენიშვილის ქალი. ელენესთან ერთად ამ გაეკვითოლებს ისმენდნენ განჯაში მცხოვრები ხევა ქართული ოჯახების შეილებაც. ისინი

სარეგებლობდნენ განჯაში ქართულთა შორის წერა-კონხეის გამაცრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი ქართული ბიბლიოთეკის წიგნებით, სწორებდა მაშინ სცადა კალაპი — კლენებ და დაწერა პირველი საბაშვი მოთხრობა — „ბროლიას თავგადასახალი”. გაიხსნა და დაწერა კილც სოფელ ერევანში ძიძისგან მოყოლილი ზღაპრის „კლიუჯათხანის” შინარჩული.

კლენებ მეხსიერებას ბოლომდე ცხოვლად შემორჩია სოფელ ერევანის გიორგობა და სოფელ არბოს გრისთაობა. ა. რას სწერდა იგი შემაუში: „სამი კეირის განმაღლობაში, შარაზე უწივეტ ხაზად პირდაპირ ძღინარებდა ჩარდანიანი ურმები, რომელსაც უკან მოსიღველნენ თერთი პიკალის უბრალოდ ამოკერილ ხალათებში გამოწყობილი ადამიანები, ურემზე გამოწმული სალოცავისთვის შეთქმული ცხერებითა თუ შეზრდებით”.

განჯაში მყოფ კლენებ სშირად ასხენდგომდა პატამისი — ბრძენი რაჭელი, ისესებ (ადალი) ბაქრაძე, რომელსაც პქონდა დიდი ოჯახი, — ჰყავდა ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი, მათი ნაგრამიოურთ. თითოეულ მათგანს, როვორც ქ-ნი კლენებ წერს: „არასოდეს არ ჩაუდენია სინდისის შემლახავი მოქმედება. თეოთორ გარევნობით ნამდვილ კლინიკ ბრძენს პგავდა და მე არ მიგიოს, როცა მის შთამომავლობაში ბევრს იშიდავდა და იშიდავს უიღლოსოფელა”... ქალბატონ კლენებს მხედველობაში ჰყავდა თავისი ბიძაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კოტე ბაქრაძე და მისი ძმა — გიორგი ბაქრაძე. განთქმული მოღვაწეები იყვნენ მათი მამა-ბაბანა: სპარადინი, იაშონი და თევდორე ბაქრაძეებიც. კარგად არის ცნობილი მათი დამსახურება პედაგოგიურ-ლიტერატურულ სარბილზე.

კლენებ იმასაც ისხსნებდა, რომ ბავშვობაში ნახა წიგნების დამტკრიცელი, მამამისის მეცობარი იასონ კურესელიძე, რომელმაც ქართული წიგნები აჩუქა: „მას შევცეკრიდი, როვორც ციდან ჩამოსიულ წიმინდანს. ის იყო ლამაზი, ცისუერთოვალება და პქონდა უცნაურად განათებული დიმილიანი სახე. ეს იყო პირეველი ადამიანი, ეისგანაც გავიგე პირეველად, რომ წიგნების გავრცელებით „სამშობლოს ემსახურებოდა”... მე მაშინ გადავწყვიტე და კუთხარი კადეც დედაჩენს, — როცა გავიზრდები, წიგნების გამაცრცელებული გამოვადიდი და ამით სამშობლოს მოვემსახურებოდა”...

ცნობილია, რომ ხალხში წიგნების გავრცელებით იასონ კურესელიძე ეროვნულ-განმათავისუფლებელ იღებს აურცელებდა და ამიტომაც იგი 1923 წლის 19 მაისს დახერიტეს კონსტანტინე აუხაზოთან, ალექსანდრე ანდრიანიკაშვილთან, ვარდენ წულუკიძესთან, როსტომ მუსხელიშვილთან, ვიარგი ხმელეთში აშენებლთან, ალექსანდრე მაჭავარიანთან, ელიზბარ გულისაშვილთან, დიმტრი ჩრდილელთან, ფარნაოზ ყარალაშვილთან, სიმინ მუხრან-ბატონთან, ლევან კლიმიაშვილთან, მიხეილ ზანდუკელთან (სამხედრო მოხელე), სამინ ჭიათურიშვილსა და ივანე ჭუთაველაძესთან ქრისად. მათ ხსოვნას მოუძრავა ქალბატონმა კლენებ ასეთი ლექსი:

„ელვარებს მოვარის შუქი კიდელში,
 გასწოდება სიცრცეს ჩემი ხურვილი
 დასცვისის ცრემლი ყვითელ ხელებზე,
 რომ დაეიტირო გზა დაბურვილი.
 ჩვენ აქ ვართ მძიმედ გაფუნქციულნი,
 ვდგვერთ და ველით ისევ განსაცდელს,
 ჩვენ ხურვილის ხელით გაღურულებულით
 უკვდავი ხელით ჯვარსა ავაცდენთ.
 მიპერისართ ცხენით ჩუმ ნაპრალებში
 წინ მარადიხობს მხედარი შუბით,
 შენ ისხარულით ცისფერ თვალებში
 მოდიხარ ჩემსკენ სისხლიან შუბლით.
 სიონში ისმის ზარების რეჟა,
 მე ვხედავ თეთრად შენს ნათელ სახეს,
 ჩვენს მართალს იმედს რა გადარეკავს,
 რა დაგვავიწყებს, რაც ურთხლ ვნახეთ!
 მოყარესთან ერთად ერთის ელდა მოტებუ
 ქრისტეს ჯვარიდან ჩვენ ვხსნით შენს სხეულს,
 ღვთისმობლის ხატთან მსხევრსლად დაენთე
 ელტევ შენს გრძნობას უდიოთ დამსხერულს!
 მოგვესმის ზარის შორი ხმური,
 აქ პანაშეიდი მზადდება ღიღი
 მძაფრდება ტანჯვა ხმით უცნაურით
 და ტაძარს ვუელი ჩვეულ ნაბიჯით“.

ელენე განჯილან სამშობლოში ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა და ქართლში, მიერეთსა და რაჭაში მცხოვრებ ნათესავებს სტუმრობდა.

1916 წელს ელენე მოსკოვში გაემზადა: აქ იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში სამდიცარო ფაკულტეტზე. მაშინ მოსკოვას და რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში ქართველი ახალგაზრდობა საქმიან მრავლად სწავლობდა.

მოსკოვში ელენე დაუკავშირდა ლიტერატურულ წრეებს. ხშირად ესწოდებოდა მათთან შეხველებს, წიგნებისა და ურნალ-გაზეობის განხილვას... ამასობაში მან მიატოვა სამედიცინო ფაკულტეტი და ლექციებს ისმენდა ფილოლოგიასა და ფილოსოფიაში.

ელენეს მოსკოვში სტუდენტობის პერიოდის ერთ საღამის ასე იხსენებს გალაკტიონი თავის დღიურში: „1917 წელს ამ ბაღში მივდიოდი, ერთხელ დაიმით – ბულვარით. კარგა შედამებული იყო. ვპრუნდებოდი ელენე და ბინიდან, არბატის ძირით, რადგან სტუმრად ვიყავი დაპატივებული. რა კარგი იყო ტფილისიდან ჩამოტანილი კონიაკი. ახლაც მახსოვს მისი გემი. გახსენებები, მოვონებები, ლექსები და ასე კიდევ გადაშეადგინდა. დავუშვალობეთ ახალგაზრდა

განათლებულ დასახლისს და წამოუკლის მე და ამინუკისი" (ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, ასოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა, თბ., 1999 წ. გვ. 232, 233). საკულისხმოა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ელექტ ღარისითან შეხვერდა 30 წლის შემდეგაც გაახსენდა. ის საღმო, „ახალგაზრდა, განათლებული დასახლისი", მოუნიშებელი, ლექსები, – პოტენციალის დაუკიდებარი იყო.

დაუკინტყარი იყო აგრეთვე მოსკოვში ელექტ ტიციან ტაბიძესთან შეხვერდებიც. მან აქ პირადად გაიცნო ცისფერყანწველი ძალა, რომელიც ელექტ სშირად გაანსენებდა ხოლმე პაოლო იაშვილთან გაგზავნილ 86 წერილს. მათ შორის 29 თებერ ლექსად ყოფილა დაწერილი. მოსკოვის ქართველობაში მაშინ მოაწყო პოეზის საღმო და იქ წაიკითხა გალაკტიონმა „ლურჯა ცხენები" და „მთაწმინდის მთვარუ"… ელექტ ხოტბა შეასხა გალაკტიონს... „ვერ წარმოიდგინ, რა მოხდა, – სწერს ელექტ შემდეგში ირაელი ამძიებს, რა შედეგი მოჰყვა ამ ამბავს... მეორე დღეს ფოსტით წერილი მივიღე, მწერდა ტიტე ტაბიძე; არ მოელოდა ელექტ დარისნისგან ასეთ რამესოთ...

ტიციანი მოელი ზამთარი ჩემდამი მჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას, იყო თავისამი, თავდაჭრილი და არასერიულებრივად მორიცხული. ის „წერილზე" კი არ ამძიებილი ხმაო... მათ შორის ერთგვარი გაუგებირისა გამოიწვია მოსკოვში „სალონში" მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე ელექტ ბაქრაძის ნათქვამა, რომ გალაკტიონი უპირველესი პოეტია და მას კრიკინ შევდრებათ...

ტიციან ტაბიძე კარგად იცნობდა ელექტ დარისნის ქუთაისურ პრესაში გამოქვეყნებულ ლექსებს. მას წაეკითხული პქონდა პაოლო იაშვილის უბით ნატარები მისი წერილებიც. მოსკოვიდან გამოვზავნილ ერთ-ერთ წერილში ტიციანი მუვობარ პოეტის, – ვალერიან გაფრინდამელის სწერდა: „Интересуют меня Ел. Даринани "Я и кошка" и Паоло "Павлины в городе": ямצע წერილში ჩაწერილია ასეთი აზრიც: „Хочу книгу подготовить к этому лету. Туда войдут и Галактион, и Али, и Елена Даринани". (Нина Табидзе, Радуга на рассвете, воспоминания, Тб., 1992, ст. 11-12). სერია შორის, ტიციან ტაბიძის ეს წერილი 1917 წლის 2 ანგარის არის დაწერილი.

1917 წლის განაფეხულზე ელექტ მაბტოვა უნივერსიტეტი, დატევა მოსკოვი და განჯაში მცხოვრებ მშობლებთან დაბრუნდა. ამავე წლის 10 მაისს ტიციანმა ელელის ახეთი წერილი მისწერა: „ქ. მოსკოვი. ვიზზავნით ამ წერილს, თუმც არა ვარ დარწმუნებული, რომ მიიღებთ. მ. მაჩაბლის ქალმა დამარწმუნა, რომ ასე შეიძლება გამოიზარდა. აქ რამდენიმე კვირაა, ფოსტა არ მოდის. ჩემი ამდენი წნის აქ დარჩენა მარტო იმით თუ გამართლდება, რომ შვილი ეგზამენი ჩავაძარე კიდეც, თუმცა საშინლად დავიღიალუ.

მოსკოვი გამოიცავალა სრულიად. ქუჩა ლაპარაკობს ძალას სმამაღლა და როგორც ფულეთვის, მისი წმი ძალას შეუსაცხმოველია ესთეტიკისათვის. მეოთხეული მივიღე ტელეგრამა ტფილისიდან, რაც მაიძულებს წამოსვლის. ალბათ, ერთი თუ აქ მოშიხდება დარჩენა, რასაკეირველია, უქუთაისოდ ვერ გავძლებ.

სამოცველა გადაკრიონი. როგორც უკუკლითვას, ცუდ ქმებს ამონს, მაგრამ მე მაინც საქართველოს ხიცხე, მზე და მეცნიერები მეწევიან, უკვე ჩავთვარე ექსკურსიაში, 21-ს გამოვა მოსიკოდან, აღმართ გრანატი, იყავი მზარი* და მაპატი პატი წერილისათვის. ტიტე ტაბიძე⁴.

1918 წელს ბაქნაძების ოჯახი ხაცხოვრებლად განჯიდან თბილისში გადმოვიდა. სწორედ ამ წელს გაიხსნა თბილისში დიდი წინი ნანატრი ქართული უნივერსიტეტი. თუმცა ელექტრი, ოჯახური პირობების გამო, ეკრ მოხვდა სტუდენტთა პირველ შემადგენლობაში, მაგრამ მან მოგვიანებით, 1928 წელს დაამთავრა ფილოსოფია-ფიქილოგის ფაკულტეტი.

1931 წელს ელექტრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტითან არსებულ ფიქო-ტექნიკურ ლაბორატორიაში უმცროს მუცნიერ მუშაკად დაიწყო მუშაობა (ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ფიქილოგი რევაზ ნათაძე).

ქალბატონმა ელექტრო დაამთავრა სამოცველას გამოკვლეულ ფიქილოგიაში და ნაშრომს დაუტორთ თავისი შემწილი აპარატურა, რისთვისაც იყო უფროს მეცნიერ მუშაკად დააწინაურეს.

სამწუხაოოდ, აღნიშნული ფიქო-ტექნიკური ლაბორატორია მაღლევე გაუქმდა და ქ-ნმა ელექტრო ნაშრომშე მუშაობა შეწყვიტა. სამაგინიოდ, იყო ლიტერატურულ საქმიანობას დაუბრუნდა. თარგმანი, რესული ლიტერატურის პროზაული ნიმუშები, ხოლო რესულად გადათარგმნილი ქართული პოეზიის ნიმუშები გამოიქვეყნა უკრანალ „ნოვი მირში“ (1928 წ.). 1934 წელს კი მისი სამი მოთხოვობა დაიძეგდა უკრანალ „მნათობში“ (№7-8).

ელექტრო ბაქრაძემ სამი ათეული წელი იღვაწა რესული ქნისა და ლიტერატურის მასიურებლად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ას დროს დაწერა მან რამდენიმე გამოკვლეულ რესული ქნისა და ლიტერატურის, ქართული და რესული ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიისა და რესული ქნის მეთოდიკის საკითხებში. გატაცებით იქვლევდა აგრეთვე ლევ ტოლსტოის, თ. დოსტოევსკისა და მ. შოლოხოვის ცოლერებასა და შემოქმედებას. დღესაც შეზღუდული ინტერესთ იკითხება მისი ნარკვევი „Литературно-критические статьи Нико Николадзе о "Креишерове сонате" Л. Н. Толстого“ (დაწერილია 1954 წელს).

ელექტრო ბაქრაძეს ბედმა არგუნა, რომ ელექტრო დარიანის ფსევდონიმის გარდა, ირი სხვადასხვა გვარით (ბერიშვილი და ქართველიშვილი) ეღვაწა ლიტერატურულ-პედაგოგიურ სარბილშე. მას ბევრ სახელოვან შემოქმედთან ჰქონდა მეცნიერული ურთიერთობა, რომლის ამსახველი მასალები შემორჩინა სახელმწიფო და საოჯახო არქივებს.

* მზარი, ხომ არ არის ერთგვარი მინიშნება მის ფსევდონიმშე, მზარი და დარიანი ზომ სინონიმება (რედ. შემიშვნა).

აღნიშვნული საარქივო მასალებისა და თანამედროვეთა მოგონებების
შესწავლის საფუძველზე დაიწერა ქვემოთ წარმოდგენილი ნარკვეტი.

ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი

1912 წელი... იმ ზაფხულის, საჩხერის მახლობლად, ლესკოში, შევე /
წყლებზე, ისევენბედა მოვალს იმურობში სახელვანიშვილი ფარმაცევტის ჯალრაილ
საშეილის ოჯახი. ასევილების ეაფიშვილებიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა
პაკლე, რომელიც იმსანად უკავ 18 წლისა იყო, მაგრამ მათიც ბავშვური
სიანცით ტყის ბუნებრაზ ზექმას თუ ბუჩქებს ამოეფარებოდა და პატარა
დამსევებობლებს აშინებდა. ყველაზე მეტად შიშისაგან იზაფრებოდა სოფელ
ჭალელი აბაშიძების ნათესავი, ლესკოს სტუმარი, 14 წლის ქაიკისა გოგონა
ელენე ბაქრაძე.

ელენე ბაქრაძის მოგონებებში შემონახულია ცნობა პაოლო ასევილის
მაშინდელ ერთ გმირობაზე. ლესკოის ერთ კუნაპეტ დამეს ტყის სიღრმიდან
განწირეული ადამიანის ხმა შემოესმათ და როგორც ქალბატონი ელენე წერის
„გულშემარავა იყო ადამიანის, ეს ველური შიშით ამოხეთქილი, პირუტტეული
ძახილი ბუნების ასეთ ატეზილ ქაოსში. კინ გაბედავდა ადგილიდან დაძრას,
ან სად უნდა ეძებნათ იგი?!” – სეამს კითხას მემუარისტი და იქვე ვაძლევს
ის ლამის გმირის პორტრეტს: „იქვე იდგა პაოლოც დროგამოშევით გაუარებოდა
წინ და წამსევ უკან იხევდა. ბოლოს მამას შეხედა და ჩირალდნებიერი
ანთებული თვალებით თითქოს შეკვედრა: – არ შეიძლება კაცის ასე მიტოვება,
მამა! – და როცა ჯიბომ არაფერი უპასუხა, სწრაფად წამოაულო ნელი ნაბადა,
მოიგდო მხრებზე, თავზე ყაბალაზი მოიხედა, ხელში ფარანი აღლო და, მოეხედავდ
დიდი შეძახილისა, გაიღო კარი და სწრაფად გაუიღა. სიძლელემ და სწავლა
შთანთქა იგი... მახსიცეს, როცა ყაბალაზს იშვევდა გაფითრებულმა გამილიმა
და როგორ მინდოლა მეც თან გავყოლოდა...”

პაოლომ ის დამეს სიყვდოლისაგან იხსნა გზარეული, მსეუის აბრიალუბული
თვალებით გონდაკარგული ადამიანი. და აა, დაიბადა კიდეც 14 წლის
გოგონას ელენეს საოცნებო გმირიც. როგორც თვით უკუთესად წერის: „ჩემივის,
ამ ჩეელებრივ ეპიზოდს მიეცა უზარმაზარი შინაარსი და, ალბათ აქ დაცუა
პირველად ის მარცვალი, რომელიც იმ ზაფხულში ცისფერ ყვავილად
გადაიშალა” (მოგონებების სელნაწერი, გვ. 4).

ბავშვობაში ელენეს ქართული ზღაპრის გმირის ელიჯათხანის სახელით
მიმსართავდნენ და ახლა მოელოდნელად ეს სახელი შეიცვალა კლილით. ასე
მიმსართა პირველად მას პაკლე აშევდომა, რომელიც შემდევ თვითონაც, ქართველი
საზოგადოებისათვის პაოლოს სახელით გახდა ცნობილი.

14 წლის ელიტამ ყმაწევილების თვალი აღდგნა. ლესევში, მიურვის სხეადასხვა მხრიდან ამოღილდნენ: წერეთლები, აბაშიძები, მაკავარიანები თუ ლოროსიფანიები, მაგრამ მას ყველანი შემოუტოთხო პაოლო იაშვილმა.

ლესევიდან ჭალაში, საჩხერიდან ჩაქეშეზევში, — ელქენს მამიდებთან, არგვეთიდან სავანეში, ქუთაისიდან რაჭაში, — მამისეულ კურაზე, ქართვის სოფელ ერედეში, — დედულეთში და ბოლოს თბილისში გატარა ელქენები ის ზაფხულ-შემოდგომა. ქრისტეშობის თვის ბოლოს კი თბილისისან გამჯამი, თავის შმობლებთან ჩავიდა შობა-აზალწლის ერთად შეხვედრა-ზემინათვის.

1913-1914 წლები ქარიშხლიანი გამოდგა ელქენსათვის. ათასი რამ მოხდა მის პირად თუ მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში. განჯაში მცხოვრები ქართველების მეშვეობით მოძრავა ელლიმ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაკლებარი, აუნიო სამი კულაპტარი და მაშინ დაიბადა მისი პირველი ლექსიბი, ჩანახატები... ფიქრებით დამბიშებული დაბიუტებს განჯის მიწაზე და ცხოვრობს საქართველოზე იცნებით...

1914 წელი... დაიწყო პირველი შეხელისა და მისი ელქენს ფიქრები გაუორეცება. ვაითუ ომში გაიწვიონ პაოლოც... ზეზეურად ჩამოსმა ელლი, შმობლები ელქენს მელანქოლიას გაცრუებულ სიყვარულში ექტბლენი... მაღა სასიძოც გამოჩნდა... უსიყვარულოდ გაათხოვეს ელქენ გოგი ბერიშეილზე, თავისდაუნებურად ჩადგა პაოლოსა და ელქენს შორის გოგი ბერიშეილი...

1915 წლის ზაფხულში ელქენ კელავ ეწევია იმერეთს და აქ, საჩხერეში შენედა თავის დენდს, პაოლოს, რომელსაც თითქოს ცაზე მზე მოწყვეტა და თავის მკერდში ჩადგა, ისე ასხიერდა ყელას და მათ ასაჩხევებლად იწვევდა—

ელლი და პაოლო კელავ შეხედნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ჟავე აღარ ჰგავდა სიგიტამის იმ პირველ შეხვედრებს. ქმრიანი ქალის მორიდებით მიერადმა ელლი თავის საოცნები უფლისწულს... პაოლომაც მხოლოდ ხელზე ამხრით გამოსატა ელლისთან ის შეხვედრა. ეს ყველაუკრი ასე ჩანდა გარევნულად, მაგრამ ბედი რასაც უშაადგებდა ორივეს, იცოდა მხოლოდ სიყვარულმა და მათმა გულებმა.

დაიბადა პირველი წერილიც. იგი პაოლომ 1915 წელს არგვეთიდან გაუგზავნა ელლის. წერილში კეითხელობით:

„დაუკიტევარო მეცობარი!

ამინდი ხელს უშლის ჩეკის მეზავრობას, მაგრამ თუ თქვენი სურვილია დღესვე აუცილებლად გამოემგზავროთ, ჩეკი ჩამოვალთ წამისაცემად.

როგორც არ უნდა გადაწყვიტოთ, ჩეკითვის აუცილებლის თქვენი ხილვა დღესვე ეს აუსინელი აუცილებლიბაა. ჩეკი 5 საათისათვის ჩამოვალთ, თქვენი მეცობარი.

პაელე”.

მარიამობისთვის ზეაქტმა და სიყვარულმა გააშმაგა პაოლოც და ელლიც. პირველ წერილს მოპყვა მეორეც. საბუღიეროდ, ისინი გადაუკრია დროის

შსახერალ ხელს და დღეს დაცულია ელექტრის არქივში, რომლის ურთის ნაწილი ინახება პატარძეულში, გიორგი ლეინიძის სახლ-მუზეუმში. ვინაიდნ ყველა წერილი რუსულ ენაშეა დაწერილი, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ისინი, პირველები სახით, ცალკე თავში წარმოგვედგინა მკითხველისათვის (ი. „პაოლო იაშვილის წერილები Elli-სადმი“). წინამდგრად თავში მოტანილი წერილები კი ჩვენი თხოვნით, რუსულიდან თარგმა პოეტმა დაიღულა ბაბადაშ-ბაგრატიონმა, რისთვისაც მას მაღლობას მოვახისენებთ.

შეიძლება დღეს ვიშეს უხერხეულად მოქმედოს ამ წერილების პუბლიკაცია, მაგრამ კუიქრობთ, მათზე უკეთესად კერავინ იტკვის იმ სიცვარულზე და ამით დაიძებული ვაწვდით მკითხველს.

„ქუთაისი.

აგვისტოს დამის დამდევი.

ელლი! ჩემზე ჯვარდაწერილო, სასურველი ჩემი!

ჩემი გული უშენობის გამის სევდიანად მოსთქვამს, ვიწვი შენთან კვლავ შეხვედრის უსაზღვრი სურვილით. ირგვლივ მყოფ ათას ადამიანის შორის ჩემს თეალსაწირები მხოლოდ შენი ხატებაა მარად შშენიერი სიცვარულით გასათუთებული.

არა მაქვს უფრო მშენიერი ფიქრები, ვიღრე ფიქრები შემზე და რაც უფრო შორის ხარ, მით მეტად ვდრონბ, რომ სიცოცხლე უშენოდ არის გამოუთქმელ სევდათა სასაფლაო.

ჩემს ოთახში ყოველდღე ჩიდება ახალ-ახალი ყვავილები, მაგრამ მათში კერ ვხდავ ჭეშმარიტ მშენიერებას, რადგან ისინი შენი ხელით არ არის მოკრეული.

ვიხსენებ შენ ალერსს და მეონია, რომ მის გარეშე ეცხოვობოდ უსულო ბუნების ატონისფერობა. გულანთებულს მსურს შენ ძოწისურ ბავებთან შეხება. ვიხსენებ ჩვენი ტებობის დილას. მითხარი, როგორ ვიცოცხლო უშენოდ მხოლოდ ამ მოგონებებით?

მე ვლოცავ მოვარიან დამეს – ჩვენი სულიერი აღსარების მოწმეს. ასეთი დამის განმეორება სიშმაგბდე მიმიუანს. მე მსურს ასეთი სიგაფე.

ახალ შეხვედრამდე ჩემი სული დაიტანება, გამომიჯახად, სასურველო...

ბნელი დამე ჩამჩრისულებს განახლებული ბელნიერების წუთებზე. მე ყურს ეუგდებ დამის ზღაპრებს. შენც მოუსმინე დამეულ ხმებს და მათი მოისმენ ჩემს ძანილს...

ყველას სძინავს, ყველას სძინავს... ამაღამ წავიკითხავ პოლინკა საქს... გულმხურვალე გეხვევი, ჩემი ლეთიურო...

შენი პავლე”.

სანამ ისვე პოლის ელლისთან გაგზავნილ წერილს მოვიტანდეთ, უპრაბა მოგაწოდოთ ჩანაწერი გლეხეს ჯერ გამოუქვეყნებული, ხელნაწერი მოგორიშებიდან:

„ერთ დღეს გადაუწყვიტეთ საჩხერეში წასვლა... პაოლომ მომიუცანა კალიქი
მაჭავარისანის საუცხოო ცხენი. ჩვენ სხვებიც აგვიზნენ და ცხრა კაცისაგან
შემდგარი კავალკადა გავემგზაურეთ საჩხერისაკენ.

იმ ზაფხულს სამინელი წყალდიდობა იყო და ხილი წაღებული დაგვიცვდა.
მოქახდა აზერითებული პატარა კვირილა. საჭირო განდა უკან გამობრუნება,
მაგრამ თითქოს ვიღაცამ მიბიძვა, მე შევაგდე ცხენი მდინარეში და დაცულახე
უკან, დამაცადეთ-მეოქი. როცა უკანიდან ყვირილი მომესმა, მე უკვე წელამდე
წყალში ვიყავი მოქცეული“... და როცა ელლი გონის მოვიდა, ერთ მხარეს
პაოლო და მეორე მხარეს მისი ბიძაშვილი დათიკო იაშვილი აღმოჩნდნენ.
როგორც ელენე წერს: „არ ვიცი ცხენები ცურვით გავიღნენ, თუ ძლიერი
კუნიგებით გაგელვეს მდინარე“...

სავანეში, მწვანე მდელოზე გაიშალა სუფრა. ელენე აღწერს: „სუფრას და
ჭურჭელსაც მოვარის შექმე მოედო ისეთი საზღაპროდ ნაზი, ღურული ფერი,
ისეთი სიწყნარე სუფელდა ბუნებაში, რომ მშვინიერებას ზიარებული თუ
უზარებელი, ყველა წუთით გაჩერდა. თითქოს უსმენდა სამყაროს სიდალეს.
ჩვენმა დასახლისმა ელენე ჯურცალიამ (მემუარისტის შენიშვნით, მისი
მოგონებების წერის დროს, ამ ქალბატონს უშეშავა თბილისის სახლოშიცო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, გ. ვ.) პატარა, თეორი ყანწები მოიტანა.
პაოლომ ავსო ყანწი და ასწია მაღლა. ცისფრად გაძლიერა პარტია-ფრატი
დვინით ავსებული ყანწი. რაღვან მე სხვას არაურის ვაკეობდა, ეუმშერდი
პაოლოს, თვალში მომხვდა იყო და წერარად წარმოეთქვა: „ცისფრი ყანწი...
პაოლოც დაკვირდა და უკრად წარმოისხა: „ცირიკა, ელლი, ცისფრი ყანწი!“
მერე ზეზე წამოდგა, მოვარის შექმენის ყანწი და იმურაბდა: „ცისფრი
ყანწი, ცისფრი ყანწი!“... (მოგონებების ხელნაწერი, გვ. 13).

ახე დაიძარა ქართული პოეზიის ღმერთეკაციის აკაკი წერეთლის მმოღლოურ
სავანეში ქართველი სიმბოლისტების უკრნალის, ცასულობ ყანწების“ სათაურო...
როგორც ელენე ბაქრაძე წერს: „პაოლო ვედარ ისვენებდა, ისწრაველდა
ქუთაისისაკენ, ფრედ წუთის მღელვარე, აღგზნებული, ის თითქმის ულოდა
აფეთქებას, რომ კოლნად ავარდნილიყო ქართულ პოეზიაში“ (მოგონებები,
გვ. 13).

იმ დროისათვის უკვე დაწერილი იყო ელენე დარიანის ლუქსურულებიდან
სამი ლექსი: „ძანილი“, „გათავდა ნადიმი“ და „ზამთარში“... ისინი საჭამისეულ
გადასცა პაოლო იაშვილის და მოხდა მოულოდნელი ფაქტი, აცტროის
დაუკითხავად, პაოლომ გამოაქცეუნა ქუთაისში გამომავალ გაზეთ „მეცნიერში“.
რედაქციის თუ ცისფრყანწელდა ლილერმა პირველი ლექსის სათაური
„ძანილი“ უცდლელად დატოვა, შეორე ლექსი-სათაურით „ჩემი თავადი“,
გაუგებარი მიზეზების გამო უსათაუროდ „გათავდა ნადიმი“... დაიბეჭდა, ხოლო
მესამე ლექსი „ზამთარში“ ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა იმავე გაშეთის
ფურცლებზე (№ 62).

ამრიგად, ელენე დარიანის ფსევდონიმით ხელმოწერილი ელენე ბაქრაძის

სამი ლექსი პრესაში დაიტურდა და მას მოძევა მკითხველი-საზოგადოების აურნაური. თვით აუტორი კი ისე მტკიცნეულად განიცადა მომზღვარი. რომელიც პარლოს დაქმდურა კიდევ.

კლლისა და პარლოს შორის მომზღვარი უსამეურესა მაღლებ გაჭრწყლდა. პარლომ ზედიზედ მისწერა კლენეს ასეთი წერილები:

„კლლი!

ჩემი ტრუობის მოელი სნის განმავლობაში, დღეს პირველად დაუდგარე ცრემლი, ნაძვილი ცრემლი. იგი იყო ცრემლი, როგორც გავარცუარებული ნაკერწყალის ნაკერწყალი, მან დაწევა ლოცა.

შენი წერილის კათხვისას მომწევა, რომ უენი გულის სიმტკიცე დაჭრიულა ვიოლონჩელზე და მაგიური ზელის შეხება მათ უბიძებს მოსთქვამდნენ გადარეული გოდებით? ჩამესმა რა მოოქმის ბერები, მეც ავტირდი — ვიოლონჩელი ზომ ჩემთვის უკრავდა ასე მწესარე მელოდიას.

რას მწერ, რას მწერ, კლლი, ჩემი გიგ?

დავითიწყოთ ჩემი საბედისწერო წერილის ის ნაწილი, რომელშიც ვწერდი დათიკის შესახებ. მე ბრწყინვალედ მესიმის თქენი ურთიერთდამოყიდვულება, ის სუფთაა, მშენიერია, იგი მე უნდა მახარებდეს, როგორც ამოშავალი მზის სხივი და ოუ იმ წერილში ისე არ ვწერ. როგორც ახლა ვამხოა ამას, ეს უნდა რგაგებულ იქნას როგორც ავადმყოფური წარმოსახვის შემთხვევითი აფეთქება. შეკვარებული ზომ იტანებება ავადმყოფური წარმოდგენებით...

მე მონდა გეაუბრო იმ გიშრისთვალება გოგონაზე, რომელთანაც რამდენიმე წუთი გავატარე შეაღამის მატარებლის კუპეში.

კლლი, კლლი!

მეორნა, ისე შერწყმული ვიყავი შენს სულიერ გრძნობებთან, რომ ჩემი გაგება ყოველთვის შევეძლო. შენს თავს კეიიავ, სილამაზით გატაცება შემძლია მხოლოდ ისე, როგორც ვარდით უცხო ბაღში, იმ გარდით, რომელიც ჩემთვის არ გაუქრჩქებილა. და ოუ მე ახლა მიუვარს ყველა ყვავილი, თვითონეულ მათგანში ვპოულობ იმ ყვავილის ნაწილს, რომელიც გაიშალა ჩემს გულში შენივის, ჩემი პრინცესა!

ჩემი გატაცება იმ გოგონათი აიხსნება, იმით, რომ მისი წყალობით დაგინახე შენ. შენ კი არ შემიძლია დაგინახო მხოლოდ ლამაზი არსებების მეშერებით.

იმ დამით ვერძნობდი, რომ ჩემს თანამგზავრს ჩემი შენება სურდა, მე კი, არა.

ეს ვარდი* ზომ ჩემთვის არ ჰყაოდა.

კლლი, შევნიორება ჩეკნ უნდა გვიყვარდეს, რამდენადაც ამ შევნიორებაში

* 1915 წელს კლლი აქცენტებს მინიატურას „სტირლიდა გარდა“. იქნა. სწორედ ამ ცრემლისანმა წერილმა უბიძება შემოქმედს? (რედ. შენიშვნა).

ავისახებით თვითონ ჩეუნც... ო, მეონი კულაფური ვერ გითხარი, რაც მსუნდა.
მე ქუთაისში ვარ, მე კოშმარში ვარ, ელლა!

მითხარ, კმაყოფილი თუ ზარ ჩემი წერილით, თუ ვამიგე მეს როგორც
საჭიროა?

ჩემთვის შეგრძნებათა სამინელი წეთება, არ ვიცი, როგორ მოვალწიო
შენამდე ჩემი ცხოვრების მარად მანათობელო სხივი, ჩემი, ჩემი, ჩემი ელლი!!

* * *

„მე შენგან ელებულობ ალერსან, შესანიშნავ ბარათებს. მათში რამდენი
შეენიერება, რამდენი მომხიბელელობაა, ეს შეენიერი სულის აღსარებაა, ეს
სიმღერებია მოვარიან დამეში!!!“

შენ შენედრა გინდა, ეს ჩეარა იქნება... მე ველი ამ შენედრას მზანი
გულით, მე ვოცნებობ ამ შენედრაზე.

შენ აპირებდი ქუთაისში ჩამოსელას, ჩეუნ გელით დაახლოებით 22
რიცხვში, სულ დიდი, 24-ისთვის. 25-ში კი უკვე ჩეუნ შეგვიძლია ჩამოსელა,
მაგრამ თეითონ ჩამოდი, ეს უკეთესი იქნება.

შენი წერილებიდან ჩემს მესიორებას განსაკუთრებით შემორჩი სახე
ოქროსფერი შექით ოდნავ კიდე განათებული პატარა ღრუბლისა, რომლის
შეაგულიც მუქად მოჩანდა და ამ პატარინა ღრუბლის ადრიდა შემს ცხოვრებას.

ელლი, შენი ცხოვრება უნდა გაცისკრონებეს სიყვარულის მარადოული
შექით და სანამ მე შემძლება ყმაწეილური ცეცხლით, ამ ცეცხლის შექა
შეაღწევს შენი შევეარებულ არსებაშიაც.

მიღებ ჩემგან ჩემი გულის სიობო, იგი ხომ შენით არის ანთებული.

წინა წერილში მე გწერდი რამოდენიმე სტრიქონის, რომელსაც შეეძლოთ
შენი აღელვება, მაგრამ შენ, ჩემი სიყვარულის შემცნობს, ყოველი ჩემი სიტყვის
აზრი შევიძლია გაიგო ისე, როგორც არის დაწერილი.

მე ხომ გწერ კულაფურს უწმინდესი სიყვარულის სახელით...

კიდევ ერთ წერილს მოგწერ, შემდევ, კი ვოცნებებ შენთან მომავალ
შენედრაზე.

გქოცნი, ელლი, გქოცნი ისე, როგორც არასდროს მიკოცნია. /

მარად შენი პავლე“.

* * *

„ქუთაისი.

მშეოთვარე განცდების ზაფხულის დილა.

მთელი ღამე ვუიქრობ შენზე.

დამის სიჩუმეში მშეენიერია ფიქრი შენგან მორს მყოფ სატრეოზე.

მე ვკიცნიდი სიყვარულის ამჟღვეტს – შემს ფირუზის ქას ბჯნიერებისას.

მაღლობა შენ, ამ საუცხოო საჩუქრისათვის. მე იგი ჩავასმევინე
ვარსკვლავისმაგვარ ჩარჩოში. ახლა გულზე მკიდია, როგორც სალოცავი

ხატი. მე არახოდეს ვაშორებ, რამეთუ ამ პატარა თილისმაში ცოცხლობს
შენდამი ღიღი ხნის ტრიუმბა.

დამით წავიკითხე „პოლინკა საქიი“.

მე გეთანხმები.

ალექსანდრე საქი სიცვარულის ღიღისთა ვკიონულობდი ნაწარმილებს და
მცვინა, რომ ვიციობდი პოლინკას.

შენ ხომ არა ხარ ჩემი წარმოსახვითი ნაცნობი, მაგრამ თუ მცირდება
თავად გალიციის როლში ყოფნა, მაშინ მე ქმაყოფილი ვარ. მისი ბედი
სამწეხაროა და თავადაც არ არის მოლად ნათელი პიროვნება.

შეიძლება ჩემი გზა არის თავად გალიციის გზა? ჩემი ელლი, შენ
როგორ ფიქრობ? გალიციები ბეჭნიერი იყო: — მას უფარჯდა პოლინკა.

მეც ხომ კულობ ასეთისაც ბეჭნიერებას!!! მაგრამ მან მაღა დაკარგა
თავისი ბეჭნიერება. ო, როგორც მეშინა ასეთი საბედისწერო დასასრულისა.
ასეთი ბოლო ჩემთვის შეუძლებელია, მე მინდა ამაში დარწმუნებული ვიყო.

შშფოთვარე განცდების დილა!

სული თვით შევოთავს, არ კი ვიცი რატომ, მაგრამ სულის განგაში ხომ
შეუფარებულთა ხვედრია.

სარქმელში შემოიჭრა მზის შუქი, მე არა ვარ სევდიანი.

მე ვცოცხლობ!

მე ახალგაზრდა ვარ!

მე მინა ვარ!

მე ბეჭნიერი ვარ!

გიგზავნი კოცნას, მწველ კოცნას!

მე შენთან ვარ, მე შენში ვარ, იცოცხლე შენც, იხარე შენც!

ბეჭნიერება გვიწვდის ჩენ მარადოული სიცვარულის რტოებს.

მე ჩქარა ვნახავ, შენთან ჩქარა ჩამოვალ. გკოცნი, გვალერსები, შენით
ვტკბები!!!

მომწერე ხოლმე და გამახარე, ჩემი შორეულო პრინცესა.

შენი პრინცი, შენი გადარეული პრინცი იწვის შენი ტრიუმბით.

ჟავლე”.

ეს ის დრო იყო, როცა ქუთაისი სუნთქავდა ცისფერი დაქსებით.
როგორც თვით ქალბატონი ელენე წერს: სულს დაფავდა ძველი საუკუნე
თავისი ხოცალური შენარჩისის ატრიბუტებით და იბატურიდა ახალი. ჩენ
პირზე გვეცის ფრაზა „Ain du siècle“ მხოლოდ ეს ნიშნავდა მერე უცველესებისა
და პრიუსიების ლიტერატურულ ბუნდოები თვისებებს, ბალმონტისა და კუშმინისა,
ა. ბელისა, ა. ახმატოვას, გუშილოვის და სხეულის რინულისა უშვენიერს

პეტშაბს! ბლოკი ბრწყინვაჟდა, როგორც ათი მზე ერთად. მისტიკურად დავუწერებდათ ფულე მოვლენას მოქლეს სამყაროსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეცუნდარე დღეში მონაბერ სიონ მოქმედნდა შორეულ სანახის მოჩვენებანი. სუინქსის საიდუმლოებანი, პირამიდების გახნის გატაცება და ეინ იცის, კიდევ რამდენი ბურუსში გახვეული წარმოსახვანი. დასავლეთიდან მაგრად ჩავეციდა იმსენი, ქნუტ პაშუნი, მეტერლინკი და შემდეგ ბოლდერი თავისი „ბოროტების ფაფილებით“, ვერლენი და სულ მოლად დაუკულა ისკარ უაილდის „დორიან გრეი“ – ეს ყველაფერი იყო განცდა, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა „... ეს ვრცელი ამონაწერი უპირველესად იმიტომ მოვიტანეთ, რომ მკითხველისათვის ნათელი იყოს, რა განათლებისა და როგორი აზრისა იყო ამ გრექაზე ცისუერყამაწერთა ცისუერი დედოფალი – ელენე ბაქრაძე-აქევ საყურადღებოა, თუ როგორ დაიბადა ამ საინტერესო მანდილოსნის ფსევდონიმი „ელენე დარიანი“. მანამდე მოიგიტანოთ ისევ პალლოს წერილები, რომელთაგანც ზოგიერთს თარიღები არ აწერია, მაგრამ შინაარსილან ჩანს, ფეხლა მათგანი 1915 წლის ზაფხულ-შემოდგომის თვეებშია დაბადებული.

მიყვევთ პაოლო იაშვილის წერილების სურთქეას:

„ელიო, ელიო!..

ჩენი უსიტყვოდ განშირების დღიდან მე გადავიქეცი რაღაცარ-შენულ არსებად, რომელიც გაურბის ყოველგვარ შეხედრას, ყოველგვარ საუბარს, ყოველგვარ ხმაურიან საზოგადოებას.

მე დღი ხანია, რაც ადამიანებს კურთოდებ მოსახეზრებლებს, მაგრამ სინამდევილეში ისეთი უინტერესონი არასოდეს მეჩვენებოდნენ, როგორც ახლა, ჩემი საოცარი სიყვარულის ფაქს. როგორ შეიძლება ორითიურითი აღმიანებოთ, არავისთვის, იყი შთანთქმულია შენს მიერ გაღვივებული წრფელი გრძნობით, ჩემი მწუხარე ნარცისი!

შენ მიცონდი, კლიო, მარად მხარეობის, ცეცხლოვანს, ჭულამ კუსტაზურს, მაგრამ, აი, ქეთაბიში, ჩენი ერთად ყოფნის ბოლო წუთებში, დამშეიღობებისას, შენს გამოხედვაში ამოვიყითხე ამოუცნობი ნაღველი და კორძრინი, რომ ჩემს ირგვლივაც გამეფდა შენი ნაღველის მსგავსი შეუცნობი სკელა.

დიდნანის ფილიქრისადი სკელის კლიოზე და დიდნანის კირწმუნებდი თავს, რომ არ შეგიძლია იყო უბედური, რაღაც შენ მოგიძლვენი ჩემი ტრფობა და ოცნებები, მაგრამ დღევანდული შენი ბარათი უხმო მოთქმაა და ნათელი დასტური უდიდესი სულიერი სიმძიმელისა.

მინდა გკიოხო: რატომ? რა არის მიზეზი ასეთი საშინელი გულგატე-ხლობისა? თ, მე მინდა გკიოხო ბევრი რამ, მაგრამ ამ სურვილს ჩემი ვაკელავ, მეშინა რომ კითხვები, რომლებშიც მე მოლიანად ვარ ჩაფლეული, გამოიწვევს შენს გაღიზიანებას.

კლიო, მე ვეცადე შემვევანე ზემისა და სიხარულის ყვავლოვან სამუშაოს, გეფერებლები, როგორც მზის სხივი გაღურსება ახლადგამოღვიძებულ იქნება და მრომანებს. ჩემს ქანწვლურ ოცნებებში შენ ცხოვრობდი როგორც ვერგვინისანი

დაღლებული. რა სასიმოენო იყო ფიქრი იმაზე, რომ „დაუმთავრუსებელი დაღლილობა“ ბოლოს და ბოლოს ნაწილობრივ მაინც დავიწყებდებოდა ჩემი ფაქტიზი აღწერისისა და ამბორის გახსენებისთვანავე... მაგრამ შენ მწერ ბარათს რომელშიც თავს თვლი „ღრმად უძედურად“ და ამ სიტკების ნამდვილი აზრის შეცნობისას მე სრულიად კანკერი.

შენ გახსოვს, ელი, ის დაღლიციდან საღამო, საღამო ჩემი პირველი ჩამოსელისა შენთან, საჩერებში? ჩენი თვალები პირველად შესვლენ მას შემდეგ, რაც პირველი ამორით შეიცანით ერთმანეთი.

მე შეგახსენებ: წყნარ საღამოს მე ჩამოვედი შენთან ახალი ტრიუმბის ეშნით სრულიად მოვრადო. ჩვენ მარტონი დავრჩით აივანზე, ერთმანეთს თვალებში უცდებრით და კორნიოლით, სახე გვიყითარებოდა, ხმა გვიყითკალებდა, გვალები გვითმებოდა და სიტკების სრულიად ვერ გაძამდით თავს. შენი შეხებისას ურეოლად დამირბინა მთელს სხეულში და შენშიც იგივე მოზდა.

და ჩენი კურნა იმ ღამეს! ელი, გაიხსენ ის ამბორი, როგორ გვიყენადა ერთმანეთი ძაშინ, როგორ ნარიბდა ყველა ჩენით და ჩენ ყველაფრით. ჩანს ასეთი სიყვარული შენს ბოლო ბარათში, ელი! ო, ეს ელერს როგორც საყვედური, პირველი საყვედური.

როგორი მწუხარება სულევს ჩემს ირგვლივ! ეტრი მე და ჩემთან ერთად გოდებს მთელი მშვენიერი სამყარო, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინათ შევხედით ჩვენ, მე და შენ, სიყვარულით ანთებული გულებით. და თუ ამ სამყაროს ზეცა კიდევ დიდხანს იქნება დაფარული მტირალა ღრუბლებით, მე არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო, როგორ ვიცხოვრო, როგორ ვისუნთქო, როგორდა ვისარო! და, ჩენმა პირველმა შეხედრამ მოგვეგვაროს ის იმედი, რომელშიც ჩენი პირველი შეხედრების დროის ვტკბებოდით.

დათვით გაემგზავრა ორშაბათის, დავშორდით თვალცრუმლიანი, მე ხომ მას მხოლოდ ამ ზაფხულს დაუმუშობრდი, მანამდე თითოების არ ვიცნობდი. მე მარტო ვარ! მცველარი, რომელთანაც ასე სასიმოენოდ გავატარე ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი განაფხული, გაემგზავრა ჩემგან შორის და დიდი ხნით. შენც არა ხარ ჩემთან! მხოლოდ ახლა შევიგრძენი ჩემი სრული მარტონბა. მე მისეან ველოდი წერილს, მაგრამ არ ჩანს. იქნებ ზეალ მან უნდა მე დამაშვიდოს. ზოგჯერ მწევნებიდა, რომ დათვითის აღარ ვუკარება, მაგრამ ვანშორების უაში ჩენის თვალებში გაჩნდა ცხელი ცრუმლები, რომელშიც აისახა ჩენი მარადოლი ერთობა. მატარებელი, რომლითაც ის უნდა გამგზავრობულიყო. შევეხედა საღვურ აჯამეთთან, ნაცნობი მგზავრის ხელით მე მას გაეცეზავნე რამდენიმე სტრიქონი, რომლებითაც ვემშვიდობებოდი, როგორც სულიერ ძმას. არ ვიცი, მიიღო თუ არა მან ჩემი ბარათი. შენი წერილები მიიღო, მოხვევა, მოგწერო, რომ არ წუხდე დაკარგული ბარათის ნაცვლად პირობას იძლევა მოიწეროს ახალი.

ბარათი გამოგზავნილი იყო ჩემი პირველი წერილის გავზავნის მეორე დღესვე იმ ორთავან, რომლებიც შენ გელობნენ საჩერებში.

საზორი დღეს ვერ ვწახე საბჭოში. გადავწევიტე, სახლში არ მივიღე, ვიმედოვნებ, ხვალ გნახავ.

შენი ქმრის წერილის თაობაზე მინდა მიღელაპარაკა პირადული, გერიარად, ხელი აღარ
შემიძლია შეხევდონა შენთან იქ, სადაც ჩევნის გამომრტოებას ხელს შეუმიღლავ,
გადავწევიტე, შეგხვდე სოფელ შერაპანში. შენ უნდა ზუსტად მომწერო
საჩხერიდან გამომგზავრების დღესა და დროშე, ისე რომ შენი წერილი
მივიღო წინა დღეს, ან უმჯობესია საჩხერიდან გამომგზავრებიდან ორი დღით
ადრე. შერაპანიდან ჩეუნ ერთად წავალო მიხაილოვამდე და შეიძლება უფრო
შორისაც; ელლი, დაიმახსოვრე, რომ მე შენ უნდა შეგხვდე, რაც არ უნდა
მოხდეს. თუ ამ წერილს გვანს მოიღე, დაკეშით შემატებინე შენი გამომგზავრების
დღე და საათი, თუ წამოსვლა გადაწყვიტე, ჩველაზე შესაფერის დღედ კვირა
დღე მესახება.

გამომიგზავნე წერილიც და დაკეშაც (საჭიროების შემთხვევაში)
მოკითხვებაც.

შენთან შეხევდრის უზომოდ მსურველი. შენი მარად მოსიცვარულე
პავლე.

ოთხშაბათი, 2 სექტემბერი, 1915, საღამოს შეუხრი".

* * *

"ქუთახხი, 10 ნოემბერი, 1915 წ.

ჩემი ელლი!

რა იშეიათად მესმის შენი ხმა! რატომ? მთელ რიგ წერილებზე არ
მიახეხებ. უფრო ადრე გწერდი გორში, კანეთში, შემდევ ელიაზავტოლში
(კრთა დღა ბარათი) და პასუხი არ ჩანს. მე დარწმუნებული ვარ, შენ ისინი
არ მივიღია, გული მტკიცა თუ ასეა. მე ამ წერილებში ბევრ საინტერესოს
გწერდი. შეიძლება აუცილებელია მისამართის შეცვლა. მიიღო ზომები.

ჩემი ცხოვრება ქუთახსში არ არის ინტერესისმოქმედული. მე შევძლი
ჩემს ირგელივ შემომექრიბა ხელოვნების ახალგაზრდა მსახური. მაღლე
გამოცემთ აღმანახს „ცისფერი ყანწები“ და ლიტერატურულ მანიფესტს.
ფუტურიზმი არ იქნება, თუმცა თითქმის ცველა გაზრდისმა აღნიშნეს, რომ ჩენი
აღმანახი იქნება ქართველი ფუტურისტების ორგანო. და, რაც უნდა წერილი
მომახტრებელმა ფილისტერებმა. ქუთახსში ვლენე დარიანის ლექსიშმა გამოიწვია
აღშეოთხების მთელი ქარიშხალი. ბოლო კვირა არის ელენე დარიანის კვირა.
ლექსის საზოგადოების ცველაზე საინტერესო ნაწილი მსარს უკრის. უფრო
ჩამორჩენილები, ძენწები, ხანძიშესულები ერთნაკრად წინააღმდეგნი არიან.
ახალგაზრდობა მისკენა! ეს ცველაზე დასაფასებელია. ჩემს ლექსის,
განსაკუთრებით „რევოლუციურის“, „მცურაბარში“ არ გქერდავ. კინაზე ჩემს
პათოსს აღმანახისათვის? როგორ მოგწინა ვ. გაფრინდაშეილისადმი მიღწილი
ჩემი ტრიალეტები? ბოლო ლექსიში შეიძლება ბევრი რამ გაუკვებარს... ბოლო

დროს რამდენიმეჯერ მომიხდა საზოგადოების წინაშე გამოსვლა. თუ გაინტერესებს, შემიძლია გამოგიგზავნო გაზოგობის გამოხმაურება (მე მათ სულ არაფრად ვაღდებ).

კლინი, ჩემგან შორის მყოფი, მომწერე ბევრი, ბევრი შენს შესახებ... მომწერე შექმე, კლინი...

მე შევაცალე მისამართი (შენი წერილები აქამდე გადას ცენტრას). ქუთაისი, ბაღაზების ქ. ვალერიან გაფრინდაშეილი, პალლის. კლინი შენგან ცნობებს, შენს აღერისს, ჩემი საკუარელო.

პალლი.

მინაშერია: აპირებ თუ არა მოსკოვში წასვლას? წერილებს დაბულობ დათიყოსაგან? იგი მე იშვამთად, თითქმის არ მწერს.

ზე ადგილობრივი ლიტერატურები და სცენის მოყვარულნი დგამენ სუბათოვის „დაღატის“. მე ერევლე ეთამაშობ. ჩემი რუქაია თავადი სამა ჩიქოვანი. მე ეს მაინცამაინც არ მახარებს. კუიქიას, ვითამაშებ საძავლად... მომწერე, კლინი!

პალლი".

პალლი იაშვილის ზემოთ მოტანილი შეიდი წერილი ასალი შტრინგებით ავსებს მათი ავტორის სულიერ პორტრეტს და აგრეთვე, ნათელის ხდის წერილების ადრესატის, ელენე ბაქრაძის — პოეტისა და შთამავონებლის ერთობას.

1915 წლის ზაფხულის დღეებში იმერეთში: საჩხერეში, საენეში, არგვეთში, ლესევეში, ჭალაში, ნაჩრეკეზვესა თუ ქართველი სიმბოლისტების დედაქალაქ ქუთაისში დაიწყო ოჯახებსა თუ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში დიტერატურული შეკრება-საღამოები... უველაზე მეტად აქტორობდა ცისფრულწელების მაქსტრი პალლი იაშვილი, ხოლო მათი ცისფრული დედოფლი კლინერ დარანი მუდას ცდილობდა, ყველასახის უცნობი დარჩენილიყო, სხვისთვის გადაებრალებინა დარანანული ლექსიების აეტორობა. და ა, სამსჯავროს წინაშე, საბრალდებო სკამზე იჯდა ტრადიციების მსხვერპლი — ქართველი მანდილოსანი, რომელმაც სამშეოზე გამოფინა მხოლოდ და მხოლოდ ქალური კრძობები, მაღალ პოეტურ სახეებსა და ფერებში...

დაიწყო უძილო დამეცბი, მოგარეული ზმანებები... დაიბადა ლექსები, სინეტები, მინიატურული პროზის საუკეთესო ნიმუშები, ლექს-ტრიოლეტები — დიტერატურაში დიდი სიცოცხლის ეპოპეა...

მაშინდელი საუბრების თემები იყო რუსული და ევროპული სიმბოლიზმი, სიმბოლური აზროვნების კალშე ქართულ ლიტერატურაში, და რაც მთავარია, დაიბადა მათი ფურნალის სახელწოდება „ცისფრი ყანწები“...

ა, რას წერს ელენე ბაქრაძე მაშინდელი შეხედრების შესახებ თავის მოგონებებში: „ჩენ ვაღაპარაკობდი „დახვეწილი პოეზიას“ მეთაურებზე; ბრძნ ბოლერზე, ფაქის ვერლენზე და სხვაზე. განსაკუთრებით განიცდიდა პალლი რეზბოს, გვამბობდა „ხომალდის“ ავტობიოგრაფიულ შინაარსს და პოეტის

ტრალიკულ ბედზე” (მოგონებების ხელნაწერი, გვ. 10).

ცისფერყავანწელების „პირველი დის” ელენე ბაქრაძის მოგონებების დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ იქიდან კიდევ მოვატან რამდენიმე ეპიზოდს.

„ჩვენ მხოლოდ ეიცოდით, რომ არსებობდა სიმბოლიზმი – წერის ქალბატონი ელენე, – ამ ცნებაში ერთანდებოდა ყველა სახელი. ჩვენთვის სიმბოლიზმი ნიშნავდა ახალს, რომელსაც არაფურისაერთო არ ჰქონდა ძეველთან. ძევლი კა ნიშნავდა მეშჩანობას, დაობებულ დოკმატურობას, რომელსაც უნდა შევძიროს ჩვენ, ახალი თაობა.

მე ახლაც მიკვირს – განაგრძობს ქალბატონი ელენე, – როგორ უძლებდა ტვინი იძღვნის ზეპირად ცოდნას, როგორ ხდებოდა, რომ „დორისან გრეიდინ“ ეიცოდით მოედი აბზაცები, რატომ ხდებოდა, რომ ამოვეარდით ქართული ლიტერატურის მსელელობიდან და როგორ მოვექცით მოლისად რუსი და დასავლეთ ეკრანის სიმბოლისტების გაელენის რკალში, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. მე ახლა ერთი წესითაც არ ვეჭვობ, რომ ჩვენი განწყობილება გამოწვეული იყო იმ აღმავალი შენაგანი ძალით, რომელიც წყალტვებს ქარიშვალს ემზავსება რევოლუციის წინა წლებში და მიმდინარეობდა უარულად განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჰაერი იყო გაელენითილი მომავალი კატკლიზმების მოლიდნით. ეს ნიშნავს, თოთქის ე. წ. ქართველი სიმბოლისტები რევოლუციურ მოძრაობას ეწევდნენ, მაგრამ ეკვეს გარეშე მათი მოქმედება ლიტერატურაში ენათესავებოდა რევოლუციურ საქმიანობას იმუნად, რამდენადაც ძევლ სამკვიდროს სამკვდრო-საიცოცხლოდ გრძილდა“.

ელენე ბაქრაძის მოგონებებშივა ცნობა, თუ როგორ შეიქმნა ელენე დარიანის ფსევდონიმი. მეტარისტის დახასასათხოთ პალიოს „ქერნდა გასაცარი ცოცხალი აზროვნება და ნამდვილის წვდომის დიდი აღლო. ვარდა ამისა, ის იყო დაჯოლოებული ბუნებით, ნამდეიდი თრატიორული ნიჭით. გარევნელ სილამაზესთან ერთად მისი ეს მნიშვნელოვანი თეისებები და ამასთანავე არანერელურივა გულგუთილობა და ხელგამლილობა ქნიდნენ მეტად მოშიდველ და მომზიდველ ადამიანს. მე იმ ზაფხულს დორიან გრეი კუწოდე... კურ შეიმშვინა, მერე კი ადარ მოეწონა, იქვე შემომიბრუნდა... მე სილამაზის გამო მივმართე მას ამ სახელით, მან შინაარსი გამაშლევინა და უარი თქვა“ (მოგონები, გვ. 15).

აქნადა ფარდა ელენე დარიანის ფსევდონიმის საიდუმლოებას. იგი აღმოჩენის მნიშვნელი მწერლის თხაკი უაღლდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მოვარი გმირის სახელიდან და შეი ჩაღულახდა ქართული მარცვის დარიანის შინაარსი, ისე როგორც დადგინდნენ შემდეგ იპოვნენ ქართული ფერწუმარილის „ცისფერი ყანწები“. ასე დაიბადა იმ ავღრიან დროს ქართველი სიმბოლისტი პოეტი ქალის ელენე დარიანის ფსევდონიმიც და ცისფერყავანწელის პოეზიაც.

ქუთაისი... 1915 წლის ზაფხული იღვეოდა. ცისფერყავანწელები მარიამიძის დღესასწაულთან დარსეველი შეხევდრისათვის ეწზადებოდნენ. ვარდულენიბა იყო ქუთაისში. ვარდების ზღვაში ტალღას თუ აქა-იქ შეკრწევდნენ პირველ

მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ვაჟა-ცალი, მეცხალებით და ისაც
მაღალ ჩატრობის ქუთაისური ნიავწამწალა ქუსა-ქუსა დაქროლუბდა ფაქტურუბის
ნაფრთხოების.

იმ დღლას გარდის სურნელით გაიღედია პაოლოშ, გამოეწყო კიდეც, რომ
შეტქმულმა მეტლებმ მისი სახლის წინ ვევნები აასმაურა. პაოლო ეტლში
ჩაჯდა და ბაგრატის ტაძრის გორიდან, დაბლა, ხილისაკენ დაეშვნენ. რიონის
ნიდის კურთან საყვავილესთან განერდნენ და იქ შეტქმულებმა დაახვედრეს
მინდვრის ცისფერი კუავილების თავგული. ეტლი ქუთათურებისათვის კარგად
ცნობილი მოღვაწე ქალბატონის კატო მიქელაძის სახლის წინ განერდა.
ეტლის კოფოზე და აღვირავშარის გაყოლებაზე ცისფერი აბრეშუმის ზონარი
შემოედოთ.

დღეს მიემგზავრება თბილისში ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი
ელლი და იქიდან განჯისაკენ აიღებს გეზს. დაოქმული აქვს იქ, ოჯახთან
ერთად უნდა შეხვდეს მარიამობის დღესასწაულს.

პაოლომ ცხენი ეტლიდან გამოიშვა და კველასაგან მოულოდნელად
თვითონ შეება, ეტლში ჩაჯდა ცისფერყანწლილშემოხეველი და თმებში სავანის
მდელოზე მოქრევილი ულეწელა ბალახის ცისფერი კუავილებდაბნეული
ელლი.

ეტლი ხანამ რიონ-ქუთაისის რეინიგზის საღვურის გზას დაადგებოდა,
ქალაქიდან გასასვლელი ქუსა პაოლოს შებმულმა ეტლმა შემოატარა. შემდგე
ისევ ცხენი შეაბა და თან გაიფრთხეს ქუთაისური ნიავწამწალისაგან ატაცებული
კუავილები.

ცისფერი გზით და ცისფერი აღერსით დააბინავა პაოლომ ელლი და
თან ასეთი სიტყვებით დაემშეიღობა: „...მაღლე გაიგებ ელლი, რაც მოხდება
ქუთაისში, ელლოდე წერილებს“...

იმ დღის რეაქციონი იყო პაოლო იაშვილი, მთავარი გმირი ელლი
ბაქრაძე და მაუერებელი კი ქუთათურები. ყველანი ერთად კი ზემობდნენ
ცისფერთატრადიზირებულ დღესასწაულს.

იმ წლის შემოდგომაზე ქუთაისში დაიბადა გალაკტიონ ტაბიძის გენალური
ლექსები: „მთაწმინდის—მოვარე“ და „ლურჯა ცხენები“. ორივე ლექსი
ხელნაწერების სახით ხელიდნ ხელში გადადიოდა. განსაკუთრებით ქუთაისის
ქალთა სასწავლებლის მოსწავლე გოგონები იყვნენ აღტაცებულნი. ხოლო იმ
დროის სკოლებში, მკაცრი სკოლასტიკური რეკომისდა მოუხდებად, ქუთაისის
ქაზიებში დაშრიალებდა რამდენიმე ცისფერკაბინი ქალიშვილი და ცისფერ-
პერანგიანი ყმაწევილი. ცისფერი ვდებოდა ქუთაისის ქუჩებს. ასაღვაზრდობას
ჯერ არ პქონდა მოოხებული გული „მესაფლავისა“ და „მერის“ ლექსითა
სტრიქონებით და კიდვე დაიბადა ორი შეღერი, რომლებიც დაიბეჭდა უკრალი
„ცისფერი ყაზწების“ ფურცლებზე.

სწორედ იმ შემოდგომას, დეინობისთვის დასაწყისში, ქუთაისს ეწევა
„რუსი აეთანდილი“ პოეტი კონსტანტინე ბალონინტი. მისი სტუმრობის ის

სამი დღე დიდ დღესასწაულად აქციეს ქუთაისელებმა და ამ ყველაფრის
მესკეური იყო პაოლო იაშვილი.

და მანც პაოლოსათვის დიდი სიკარისელი იყო ქუთაისში. ცისფერყავანწელია
დედოფალი ელლი აქ აღარ სუნთქვედა...

ელლი ბაქრაძე ჟევე განჯაში იყო. ის დღეს სწორედ მარიამობის
წვეულებაზე, თელო ბაქრაძის ოჯახში გადაწყვიტეს, რომ ხილის ტაბლა და
კვაილები გაეტანათ ქრისტიანების სასაფლაოზე, სადაც აღრე გენიალური
ნიკელოზ ბარათაშვილი განისვენებდა. ეს ასეც მოხდა. ცისფერყავანწელია
ცისფერი დედოფალი დაჩრიქილი იყო ცისფერის აპოლოვეტის ტატო
ბარათაშვილის ნააქლიდამართან და ბუტბუტებდა:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პარველად ქმნილსა ფერს და არ ამ
პავნიერს, სიყრმიდან ვეტრიფოდი...“

ელლიმ იმ დღის ამავე მისწერა პაოლოს... პაოლოს, როგორც გადმისცუმტნ,
უტირია ამ დღის გამო და მისთვის გაუგზავნა წერილი და ლექსის „სონეტი
ელლის“ ხელაწერი.

ორივეს სასოებით ინახავდა აღრესატი, მაგრამ წერილის განადგურება
აუცილებელი იყო, ხოლო ლექსის, კერ შევლია. ყველასათვის ცრობილია
პაოლოს ეს ლექსი, მაგრამ ყველამ როდი იყის, რომ იყი ელენე ბაქრაძისადმის
მიძღვნილი.

1915 წლის შემოდგომას და ქრისტესშობის თვეში ქუთაისში კიდევ
ჩატარდა რამდენიმე ლიტერატურული საღამო. ცისფერყავანწელების ლიდერი
სკენიდან უკითხავდა მსმენელებს ელენე დარიანის სამ ლექსს, რომლებიც
იმჯერად პრესაში გამოიქვენდა. ქუთაისელები გაოცემულები იყვნენ კერ ამ
ლექსების გამოქვეყნებით და მერე ახლა პაოლოს მიერ სკენიდან წაკითხვის
გამო. ერთ-ერთ საღამოზე კი მსმენელებმა ორატორს ლავე კერიცხებიც კი
დააყარეს. ქუთაისური ლიტერატურული საღამოების შთაბეჭდილებებსა
გაფიცემული ელენე ბაქრაძისადმი მიწერილ წერილში, რომლის ავტორია
მისი ბძის იაზონ ბაქრაძე. წერილს მოვიტანი სრულად, რომ ქარგად ვიგრძოთ
მაშინდელი საზოგადოების განწყობილება.

„ძვირფასო ელენე! მივიღე შენი ორი წერილი, მაგრამ, რადგან პირველი
წერილი გვიან მივიღეთ, მას მეორევ წამოწია. ორივე წერილის გამო ქრისალ
გწერ. უწინარეს ფოვლისა, იცოდე, რომ მეც ძალიან მონდა თქვენი ნახვა ე. ი.
შენი და შენი მეუღლისაც, მაგრამ ჯერ არ მისერისდება და როცა ტუილისში
ვიქნები, უცცველად მანდაც ჩამოვალ ერთი დღით.

შენი მინიატურა მომივიდა და ძლიერ მომეწონა. გადავეცი რედაქტაში
და დაბეჭდეს კიდევ. ამასთანავე გიგზავნი გაზეთიდან ამოჭრილ აღვილს და
ამასთანავე მოულ ნომერს, რომელშიც იყო ის დაბეჭდილი. რედაქტაში
მოუნდებათ მხოლოდ ორი ცვლილება: ერთი ამოუშლიათ „უძღვნი შორეულს“
— იმ მოსაზრებით, რომ ასეთი მიძღვნა კითომ არაფერის არ ამბობს, —
აღრესატი არ ჩანსო. მეორე — ჩაის ეარდი — გაუსწორებათ ლურჯ ვარდათ.

მართალია უხერხული სიტყვა არის ჩაის ვარდი, მაგრამ „ლურჯ“-ის მაგიკოათ „თეთრი“ რომ დაბეჭდიდათ იქნებ უკეთესი იქნებოდა, რაღაც თეთრი „უფრო მოგავონებს კაცს სისტეტაკეს და უმანქობას.

ძლიერ მაინტერესებს ზაფხულში „სამშობლოში“ დაბეჭდილი ლექსის (Elli-s) ფსევდონიმი... ე. ა. და ასლანდელი მინიატურის – ე. ა. ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის თუ არა? ის ლექსიც კარგი იყო, როგორც მაშინ გითხარი.

მაინტერესებს კოდე ერთი რამ: გისინჯავს თუ არა მოთხოვობების წერა? თუ მოთხოვობებსაც ისე ლამაზად დასწერ, როგორც მინიატურა დაგიწერია, მე მაშინ მოთხოვობების წერას მისურმავ უკირატესობას, რაღაც ასეთ მინიატურაში ჩვეულებრივად წუთიერ განცდა, მთაბეჭდილება გამოისახული, მოთხოვობებში შევიძლია დახატო მთელი ცხოვერების სურათები, მრავალ ტიპია დასურათება, ადამიანის სულის განსახიერება მთელი მისი ტანჯვითა და სიხარულით. ეს კია მოთხოვობების წერას მეტი შრომა უნდა, მეტი დაკვირვება, სხვისი ვწებათადელების, ტანჯვის და სიხარულის შენს სულის ცეცხლში გატარება!

ელენე დარიანის ლექსები პაოლი იამეილმა წაიკითხა თეატრში ერთ ლიტერატურულ საღმიზე; მე არ დავსწრებივარ, მაგრამ გადმომცეს, რომ მეტად თამამად დაწერილია, იმდრად თამამად, რომ ბევრმა შეი პორნოგრაფია დაინახა და თეატრიც მასტოვაო. რა სამწუხაროა! ლირიკაში პორნოგრაფია რა საჭიროა, – ლირიკულმა ლექსიმა თავისი სიფაქიზით ადამიანის სულის, ღრმა განცდის ლამაზი გაღმოცემებით უნდა მოახდინოს მთაბეჭდილება, ე. ა. ადამიანის, მსმენელის სული უნდა ააღელოს, აამოძრაოს და არა მისი გრძნობიერება. სწორედ ამით განირჩევა ნამდვილი ლირიკული ლექსი პორნოგრაფიასაგან, რომ პირველი აღულებს, აღვიძებს ადამიანის სულს, გრძნობას, შეორე კი კრძნობიერებას.

მე, სამწუხაროდ, თვითონ არ მომისმენია დარიანის ლექსები და არ ვიყი, რომელი დარგის ლექსის უფრო შეუფერება, მაგრამ ზოგიერთში დამსწრებ გადმომცა ის, რაც ზევით მოგასხინება. მეთანხმები ამაში?

ვინ არის ელენე დარიანი?

მისი ლექსები, რომ წამეკითხა, უფრო კონკრეტულად გამოისთვამდი შენს აზრის.

დასახულ უნდა გითხრა, რომ მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შენი წერა ცელქობა კი არ არის, არამედ სერიოზული მოწოდება და თუ განაკითარებ შენს ნიჭის და იმრომებ, ასე დადას ნუექს მანიშებ შენს სულს ცხოვრების ეკლან გზაზე მსვლელობის ღრის. შენი ცხოვრება ჯერ მომავალშია და ამ დადი ხნის განმავლობაში ვინ იყის, ცხოვრება რამდენნაირად არ შესცვლის შენს სულიერ განწყობილებას და სულოუნება იქნება შენთვის ნუექს და ინიარული.

გისურვებ ბელნიერად ცხოვრებას, სახელისა და დიდებას.

მარად შენი მოსიცარულე ბიძა იაზონი, 1.X.915.“

წერილი გასაგები მიზეზების გამო მოლიანად მოვიტანე. პირველ რიგში

იმიტომ, რომ ივი დაწერილია კლენე ბაქრაძის უახლოესი ადამიანის საზონ ბაქრაძის მიერ და როცა ლაპარაკოს კლენე დარიანის აეტორობაშე მათლენ ასეილის გასწერი უსევაშ კითხვით ნიშანი, ე. ი. კლენე ქარება მის აეტორობაში და იქვე ძეგლებისტურად მიანიშნებს, რომ შენ ხომ არა ხარ აეტორი...

წერილის ღირსება ისეც არის, რომ თითქმის ზესტად არის გადმოცემული იმ დროის ქუთაისის საზოგადოების განწყობილება.

კლენე დარიანის აეტორობის საკოხზე კიდევ მსჯელობს საზონ ბაქრაძე 1915 წლის 10 ნოემბერს კლენესთან მიწერილ წერილში. ეს წერილიც მოღიანად მოგვაქს: „მფრიფასო კლენე! შენ წერილი 4 ნოემბერს გამოგზავნილი მიიღოდ შენ მისაცემურებ, რად დავცემდე შენი მინატურა გაზიოშა. დავაცემდენე იმიტომ, — რომ მომეწონა ძალან, მოეწონა სხვებსაც. ამავე ნომერში დაბეჭდილია ცნობილი მწერლის ჯოვანის გზოუდი, მაგრამ შენი შეუდარებლად უკეთესია. ამასწინაათ წერილშიც გწერდი.

შენ ჩივი, ქართული ენა არ კიციო. ძალან კარგად იცი. შენი მინატურის ენა ძლიერ მსუბუქაც არის და მხატვრულიც. მე თუ გწერდი, მოთხოვობების შესახებ, ეს იმიტომ კი არა, ვიოომ მინატურა არ მომწოდეს, არამედ იმიტომ, რომ მინდა შენს ნიჭის მეტი ასპარეზი მიეცეს — მოთხოვობები უფრო მეტს შემთხვევას მოვცემს, ადამიანის ტანვევა და სისარული უფრო ლამაზად და უფრო კრიულად დაასურათოთ და მასასადამე, შენი სულიერია განწყობილებაც.

კლენე დარიანი შენ არ მგონიხარ, მაგრამ თუ იმის შესახებ კრიულად მოგწერე, ეს იმიტომ, რომ კიდაცა არის, შენი კარგი ნაცობობა უნდა იყოს. — მე მოგწერე იმის შესახებ მაშინ, როცა მისი ლექსები არც გავონილი მქონდა და არც წაკითხული, მხოლოდ სხვისგან გამტერა, რომ იმურად პრონოერასული არის, რომ საღზი გავიდა თეატრილამო. ახლა წავიკითხე „მცემარში“ დაბეჭდილი და დაერიახე, რომ ჩემგან გავონილი ახრი მეტად გადაჭარბებული ყოფილა, თუმცა მე მარც მირჩევნა, რომ ფიზიოლოგიური ჩენი მოთხოვნილებანი ნაკლებად იყენებ თემად ლექსებში და მეტ უურადღებას აქცევდნენ იმ აღმაფრენას, რომელსაც სიცვარული იწევეს ადამიანის სულში. ყოველ შემთხვევაში ისეთი გადაჭარბებული არაფრი ყოფილა იმ ლექსებში, როგორც ამობლენტი.

შენ მწერ ლექსში Elli-ს პორნოგრაფიული ან ყოფილა არაფრით. მე ეს არც მითქვამს, პირიქით, მაშინაც ვამობოდი და წერილშიც გწერდი, რომ მომწონს მეტე.

სამსახურში თუ პირებ შესელას, კარგი კინისა — მწერლობას სერიოზულად შექვედე და თუ გაიცურჩქმა შენი სამწერლო ნიჭი, ამ მწერლობაში იპოვი მრავალ სისარულს და ქმაყოფილებას.

შენ მეტითხები „ონ“-ი ვინ არისო. მართალია, ჩემი წერილება — ხანდახან ვწერ ხოლო ერმილე და საშა. ორივე კარგად არაან. ამ დღეებში აპირობენ დაბრუნებას. იყავ კარგად.

მარად შენი მოყვარული ისა იაზონი“. ელენე დარიანის კინაობას ეხება აგრეთვე იაზონ ბაქრაძის 28 ნოემბერს

დაწერილი წერილიც, ისიც აქ მთლიანად მინდა გამოვაქცევნო და დაუსეა
დიდი ხნის კითხვა ელენე დარიანის ციქლის 14 ლექსის ავტორობის
საკითხზე.

„მეირუასო ელენე! – წერს იაზონი, – დიდისანი შენი წერილი არ
მიმიღება. რა ამბავა? ხომ არ მემდური? დამამტკიცებლად იმისა, რომ არ
მემდური, ამის მიღებისთანავე მომწერე ბარათი. როგორ ხარ, სამსახურში
შეხვედი თუ არა? საზოგადოდ შენი ამბები.

აღმარ შენ გეწყონა, რომ მე დაწერილებით გაცნობე ჩემი აზრი დარიანის
ლექსისგან და შენ იფიქრე, ზოთქოს შენ გოვლიდი ამ ლექსების ავტორად,
სრულებითაც სინაძღვილეს არ შეეფერდა. შენ კი არ გოვლიდი ავტორად,
მაგრამ კიცოდი, რომ შენ ავტორის კარგად იცნობდი და მეც ისე მკანეთ
გამოითქი ჩემი აზრი ისეთ „პოზიაზე“, რომელიც გვისატეას შხვლოდ
ჩვეულებრივს, ყველასათვის ერთნაირს და საერთოს, და არ ანათებს აღამიანის
შინაგან არსებას, რომ დაკვანახოს აღამიანის მრავალუროვანი სულის ზეკულები.

ასე თუ ისე, იგულისხმე, რომ გული ჩემი არ გაიტარებს არასოდეს შენი
სპეციალი სულის დამჩრილიავ ფიქრებს... კატომ მოელი წერილი დაწერა
საგანგეოდ დარიანისული ლექსების წინააღმდევ. წამიკითხა და მეც რამდენიმე
შენიშვნა მივყვი და ახლა შენ წარმოიღინე, გამოცდილებით, თუ რა ამბავი
მოხდება ჩენ მორის. ხომ განსიღვს, ზაფხულში რომ ლექსი დაიწერა და ჩენ
შენიშვნა მივყვით, რა ამბავი ჩხუბი დატრიალდა, ახლა კადეც უარესი მოხდა.
იმას ჰყონა, რომ კინც მის ნაწერში ნაკლს დაინახას, უკუკულად იმას
განზრას შერება, რათა აწყვნილის მას.

ახლა ვცდილობთ ბანკში ვიშოვნოთ ადგილი, მაგრამ ძალაან საეჭვოა.

თვილი ბაქოში ყოფილა და მოვიდა კიდევ მისი წერილი. მესიამოვნა, რომ
გამისხვნა. ელენე, ნუ იბუტები და მომწერე წერილი.

მარად შენი ძალა იაზონი. 28/XI-915“.

მოტანილი წერილიდან დადასტურდა, რომ ბევრი რამ ჩდება ქუთაისში...
თვით წერილებში კი ბევრი საგულისხმო ფაქტია მოცემული, მაგრამ მაინც
უცნობი დარჩა, თუ კინ იყო ელენე დარიანი. საიდუმლოების მიზნები იყო
თვით ელენე დარიანი და მისი წინააღმდევობებით სავსე ცხოვრება.

ასე ორჭოულები აზრით დამთავრდა მღელეარებით სავსე 1915 წელი.

პაოლო ქუთაისში ბობოქრობს, მშვენიერი კლლი კი გულსკვლანი განჯაში
დაბიჯებს.

ბათლით იაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1997 წლის აგვისტოს №№ 34-
35-ში გამოქვეყნებულ პაოლო იაშვილის შეიძიო წერილის წაკითხვის შემდეგ
მქითხველს ბუნებრივია დაგრადება აზრი, რომ ელენესა და პაოლოს შორის

სულეიმა ჭეშმარიტი სიყვარული, რასაც თან ახლდა თავდაგიწყბა და ზომიერი. მათი განცდების თანამდევი იყო ის ლექსიბი, რომელიც ურთმანეთის მისამართის დაიწერა.

მიძღვნილი ლექსიბის პოთენტი იყო პაოლო აშვილის საოცარი „სონეტი კლილის“, რომელიც აგრე ჟუვე რვა ათეული წელია, რაც აღწევიატის ფინანსის მიუთითებლად განიხილება".

აი, თვით ის ლექსი, რომელიც 1915 წელს შეიქმნა:

„სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი, ელლი,
შენს სულს გადავცე... მაგონდება სიფელი შორი;
ერთმანეთს შევხედით; ყვაეილებით ზარობდა ველი;
იყავი ნაზი ისე, როგორც ტყის ნიამორი.
მე შემიყვარდი... და მიყვარხარ... და მარად გველი,
მე მინდა შენი სიახლოვე. შენი ამბორი;
შენთვის ეოცნებობ მე სონეტით მაღიდებელი,
და შენით, ელლი, ანთებული მზის თანასწორი.
ყვაეილებია ჩემს გარშემო... მაისი მინდა...
ჩემო ბაღებო, აყვაეილებით, იმსარულეთ!
გაზაფხულის დღე, შეხვედრის დღე ხომ დაგვიბრუნდა?...
იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით,
და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადამკიდე,
სანამ იმდი დაპირდება, რომ გნასავ კიდევ!"

როგორც ელენესა და პაოლოს შემდგომი ცხოვრებიდანაც ირკევეა, გაიყარა მათი გზები, თუმცა მუზის ღმერთის წყალობით დიდხანს ერთად და ურთისანად აღიქმებოდნენ – ელენე დარიანი და პაოლო იაშვილი. ისინი ბედის განგებით ქართულ პოეზიაში ცალ-ცალკე კალაპოტის, სხვადასხვა სიუხისა და სისწრაფის მდინარებით მოვიდნენ.

ფაქტია, რომ ცისუერყანწელთა წრეში 1915 წლიდან დაბადა მშვენიერი კლილის – ქართველი ქალის ელენეს კულტი, რომელსაც არ დაპირდება ჩვენა და უცხოული პოეტები, მხატვრებისა და მუსიკოსების მიძღვნება, – ესამარმტება, ნახატები, პანგები თუ ეპისტოლებები.

ელენე დარიანის არქივში დაცულია ცისუერყანწელი ძმადნაფიცის ლელი ჯაფარიძის ერთი წერილის ფრაგმენტი, რომელსაც პირველად შეხვედება შეითხველი: „ელლის – სიყვარულის და ვარდობის მშიურ დედოფალს, სალაში მეოცნებე ჭაბუკის!

დღესაც უეცარია ეს თვალი, მაგრამ აკი უკვე ეს ჭერად არის ქცეული

* კიდევ მეტი, ერთმა შეკლებურმა, არათუ ელენე ბაქრაძეს არ დაუკავშირა ეს ლექსი, ბიბლიოგრაფი სარჩევლი დაუდო და „ელი, ელი, ლაშა საბაზქაძე“ – დასახა მასში, რაც სრული უაზრობაა.



და, როგორც ასეთი, იგი უკვე სისხლოესი მჩერაა.

არ ვიცი რატომ და ხშირად ხდება, რომ უცირად ხედები მას, ვისი ნახეაც გრძელ წრეებია და მოუღოდნელი გულნათებ(?) აშორებს გულისურის.

ურ იყო, ვაჟაფა ლოდინში, თქენი ხილვის მოუმტნელი ხანდაპან, მაშინ, როცა მოხდა და ჩემი თვალი თქვენსას გაუსწორდა, მითვე გათავდა წალილი ლოდინისა.

იქნებ იმისთვის, რომ არ ვიცოდი, მიცნობდით უკვე თუ არა?...“ სამწუხაოდ, აქ წყდება წერილი და მისი გაგრძელება აღარსად ჩანს გასაგები მიზეზის გამო. ამ ფრაგმენტიდანაც ნათელი ხდება, თუ როგორ აუძგენა გული ყმაწელ პოეტს შეკვირდა ელლიმ...

პალო იაშვილისა და ელენე დარიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ თითქმის ძველია ბევრი მათვანის ერთმანეთისაგან გამორჩეუა. განსაკუთრებით ეს გამოიწვია ელენე დარიანის დღიურის 14 ლექსი. ეს ცვალაფერი კი იწყება იქმით, როცა შალვა დემეტრაძემ შეადგინა პ. იაშვილის ნაწარმოებების კრებული (1959) და სწორედ აქ შეიტანა მან ელენე დარიანის ლექს-დღიურების 14 ნიმუში და ერთბაშად „დაადგინა“ მათი ავტორობა...

მა შემდეგ ამ ცილის ლექსებზე დაიწერა ბევრი წერილი და გამოკვლეუა აკტორებმა საგანგებო ადგილი დაუთმეს ლექს-დღიურების მიმოხილვას პოეტის შესახებ დაწერილ მონოგრაფიებში.

ელენე ბაქრაძის არქივში დაცულია 1976 წლის 8 მაისს დაწერილი ასეთი საბუთი (№725): „... პალოს დორიან გრეთ შევარქეო. მან დორიანი მიწოდა. დროითა განმავლობაში შემიცვალა დარიანად, რაღან უფრო მოსწონდა კოლექტორების გამო.

— ლექსები ელენე დარიანის უსევდონიმით კველა ჩემია. როდესაც შალვა დემეტრაძე პალოს კრებულს აღვენდა, ამის შესახებ შევახსერე...“

ელენე ბაქრაძის ეს კ. წ. ანდრეძის ტექსტი გარდაცვალებამდე სამი წლით ადრეა დაწერილი და როგორც მისი დისმუშილი ქალბატონი მარინე მხედვე გადმოვცეცმის სიცოცხლის ბოლომდე იგი საღი აზროვნებისა და ამბიციებს მოქალაქული ადამიანი იყო, რაშიც ჩერც ეპივა არ გვეპარება.

ჩერნ იმაშიც ვართ დაწმუნებულები, რომ თუ თვით პალო იაშვილი გამოიცემდა თავის ლექსების კრებულს, არ შეიტანდა ვითომდა თანააუტორობით დაწერილ „დარიანის დღიურებს“. იმიტომაც, რომ ცისფერყანწელები ჯერ კიდე 1919 წელს უკრანლ „მეოცნებე ნიამორების“ (1919 წ. №3) საშუალებით აცნობებდნენ მკითხველს, რომ მზადდება გამოსაცემად ელენე დარიანის ლექსების წიგნი. ხოლო ელენე დარიანი და პალო იაშვილი, ისე როგორც „ცისფერი ყანწების“, ასევე უკრანლ „მშეილდოსნის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსთა ავტორებად ცალ-ცალკე იყენენ მითითებული.

ფაქტს, რომ ელენე დარიანი თავის ლექსებს პალო იაშვილს სარგებელოდ აძლევდა, ადასტურებს პალოს ერთსტროფიანი ექსპრომტიც:

ელენე დარიანს

„შენი ლექსები მე მაბარია,
როგორც ბავშვობის წმინდა კრისტული,
მაგრამ მოწყენით ხშირად არიან
შენი ალექსის დანატრიტული“.



პაოლო იაშვილი*

ათასი რამ მოხდა ელენესა და პაოლოს ცხოვრებაში, მაგრამ, მოუხედავად ამისა, პაოლო იცოდა ბელომძე გულერილი არ დარჩენილა ელენესადმი. ელენეც პაოლოსადმი დამოკიდებულებას მოელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გამოხატავდა. ჭიველივე ამას ადასტურებს პოეტი ქალის არქიეს ფოლიანტები.

ამბავი თავიდანვე რომ დავიწყოთ აუცილებელიც არის. ელენე დარიანის დღიურის ციკლის ლექსები მიმღენილია პაოლო იაშვილისადმი. ელენემ მასვე მოუმჯონა ათამძე სხვა ლექსი და ჩანაწერიც, სადაც თანდათან გადმოიცა ამ თრი ადამიანის ცხოვრების ჰპიზოდები.

1922 წელს გაზრი „აბატრონში“ (№24) გამოქვეყნდა ელენე ბერიშვილის ხელმოწერით ლექსი „თავად დარიანს“, რომელიც თავისებური განსხვებაა სიკარიულის მა განვლილი წლების „ალექსის“, „სილურჯე მოვარისა“, „ცისფერი დარდისა“ და იმედად დარჩენილი „პაოლოს ძელი წერილებისა, რომელიც პოეტმ ქალმა გამოხატა ასეთი ლექსით:

„წერიალა ზარები, წერიალა ზარები,
ძელი წერილები დღეს ჩემთან არიან,
მთვარის ცის სხივებში მე გავებანები
და მოგველოდები თავადო დარიან.
ჩვენი მზე წარსული, სილურჯე მოვარისა,
ყოველი დაბრუნდა და არის სიმწარე,
მე კრისხელ ჩამოგვდი ცისფერი დარდითა,
უფალო მაღალო, ორივე გვიფარე.
მე მუდამ ვარ ჩუმი, არიან წამები,
როდესაც მოდიან და ვხედები აღებით,
მე ცოტა მიცნობენ, ვარ ხომ სხვანაირი
ხელებზე მკოცნან, ცეკლა, დავალებით.
ძეირფასო თავადო, წახევდი შორს ჩემგან,
ძეელი წერიალები დღეს ჩემთან არიან,
წერიალა ზარების ხმაური დამჩემდა
ძეირფასო, მოგველი თავადო დარიან“.

* ელენესა და პაოლოს თავადასავლის მოთხოვობისას, ხშირად გვავიწყდება, რომ ელენე ამ დროს 16-18 წლისაა, პაოლო კი 21-23 წლის. ეს ხომ თითქმის ბავშვობის ასაკია (რედ. შენიშვნა).

1922 წლის 30 ივნისს კი დაიწერა ელექტრო ასეთი დექსი:

„იყო ზღაპარი, იქ იყო „პრინცი“
 ქაღლი მძინარი რომ გააღვიძა,
 შეც, ალბათ, გახსოვს, ორიცებ ვიცით,
 ორიცეს გვყავდა მოხუცი ძიძა.
 ის გვიამბობდა ათას ამბეჭე
 ათას სახეებს ასხვაურებდა,
 და ლილინგბდა ნაცნობ ჰანგებზე
 და დაფრინავდა გული მტრუდებად.
 ეს იყო მაშინ, იყო სიწყნარე...
 მინდონში გლეხი უხმოდ წვალობდა,
 უსაქმი ხალხი ძველ აივანზე
 წარსული დროის გმირებს ამეობდა.
 მყუდრო კუთხეში გაზრდილი სული
 უცნობი სევდით დარღობდა სხვაზე
 და იშლებოდა ოქროდ დასხმული
 გზა ძნებანი ურჩებით სავსე.
 შემდეგ მოვიდა ბევრი სხვა რამე,
 ბავშვური უპე გადიხსნა სავსე,
 იყო წილული რეშბო, მაღარშე,
 იყო ნაგრძობი ვინჩი და გატოოც.
 ცხემზე აზიდულ წვიდეტ გაზაუხულს
 ზაფხულიც ერთხელ წამოეწია
 და ეიქტორიას სიცეარულს ნატრულს
 ვწება ვეფხვეით ჩამოვადა.
 იყო წერილთა დიდი კრებული
 (კრებულს უურცლავდა ბევრი პოეტი),
 გაიზინა ყანწში ფერად სონეტად.
 დარიანობით ვინ არ წვალობდა,
 (ან ვინ ვაიღო იმის ამბავი)
 მის ყიფინაში ჩევნშა ჭაობშა
 ბევრი მონახა ასალაგმავი.
 ეს კველაუერი ბევრ დღეებს ითვლის,
 გამოხმაური თუმც ისმის ეხლაც.
 მე ვლაპარაკობ ასე სულ სხვისთვის
 სულ სხვა დარღების მსურს მე გამხელა.
 თითქოს გათავდა რაც გვწამდა წინათ,
 მოგვადგა უცხო სავსე უფლებით
 და ტეინს დააწევა საშინელ ტეირთად
 სული გაზრდილი მყუდრო კუთხეში.

გულზე დამტკიცი სისხლის წევთებად
 მწყდება უნაზეს გრძნობით ნატარი
 და სულთმობრძავი გვამად ეცემა,
 რომ მკვდრეობით აღდგეს ისევ მართალი".

ამ ლექსის საშუალებით უფრო სრული წარმოდგენა შევვეჩნა ელენესა
 და პაოლოს სიყვარულზე. ამის შემდეგ დაიწერა (1923 წლის 24 მაისს)
 ელენე დარიანის ლექსი „პაოლოს მოლოდინში“:

,მაღალ მოლოდინს შეეწესა ჩემი პრიფილი,
 დამე დღესა სცვლის და ალიონს მწუხრის საათი,
 სიტყვის ნადიმზე მე არა ვარ უარყოფილი,
 მაგრამ მომბეზრდა მაღულობა, ფარული დარღი.
 ბევრი ევწამე (აღარა ვარ დღეს მინდობილი),
 იჭვის სათვალით გავაღიდე, შექი დავათე,
 ო, რა ძნელია ფერწასული წუთისოფელი,
 ოდეს არ კედება ვერლენი და ბრძენი საადი.
 ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე,
 დიდი მოთხენა მოვახდე და შეეითვისე,
 დაღლილი შებლით მოვიწყინე სხვისი სიავე.
 კულას გაუქმდება — კარგადა ვერწობა, კულაფურს დღესა, —
 სახლის ლანძღვას, ტიციანს და მის მეუღლესა,
 კლავ ფრთხებს აეისხავ და სტრიქონებს მიუცე სილადეს".

„მტრების“ გამოსაჯავრებლად დაწერილ ამ სტრიქონების შემდეგ აეტორი
 გვპირდება, რომ შეიცვლის გზებს, „აისხავს ფრთხებს“ და „სტრიქონებს მისცემს
 სილადეს“, მაგრამ მოუწედავად ამისა, მაინც იწერება პაოლო იაშვილის
 ტრაგედიით ნაკარნაზევი მისი ლექსები:

,სადა სარ, სადა? რომელმა ძალამ
 გამოაყრუა შენი ხსენება?"
 წლები გარბიან, სკედამ და დარღმა
 ბინდში გახვა მკეთრი ჩენება,
 სადა სარ, სადა? ქარმა წაიღო
 ობმოკიდებულ ფიქრი ნამუსრევი,
 შენ რა გვონია, ეინ ბაირალობს
 ეის ამართლებდა ლექსში ბრიუსოვი,
 გადამწვარ მინდვრებს რა გააღვიძებს,
 ქარიშხალებიც ყრუდ გადავლის
 და ღრმად მიწამი ჩაფლულების ძელებს
 ხელის აქნევით დრო გადაიყრის.
 შენ აქ იყითხე მოსარულე,
 თვალებჩამქრალი ჩონჩინების ურჯო

და ნიღბებით მორთული არული
 ბავშვებისაგან დედებს რომ ჭრდავს.
 შორი შმაურის გუგუნის ძალას
 ჯიქურ დაგხვდება ფორანთ ყრანტალი
 ნოტოს გარშემო, რომ შემოშისნდარან
 და წრიალებებს ფრთხის ფარფატით.
 სადა ხარ, სადა? რომელმა ძალამ
 გამოაყრეა შენი სსენება?
 წლები გარდან, წლებმა და დარდმა
 ბინდში გახვა მკვეთრი ჩვენება“.

ეს ლექსი დაიწერა 1940 წლის 24 ოქტომბერს. მასზე აღნე ჩანს შექმნილი უსათაურო ლექსი, რომელსაც ეპიგრაფად წარწერილი აქვს ელენე დარიანისავე სიტყვები: „დამა ბნელი, არავის ველი“.

„მარტო ვარ, ერთი, დამა ბნელი,
 სუფსარქისობის ამტყდარა ქარი,
 უვლის გარშემო, ღმუის ხვრელებში,
 ხან ტორებს მარტყამს ზე წამომდგარი.
 დრით ნაგვემივით დავანებული
 აიზმორება ვიწრო ქედლებში
 და წმინდანივით დავალებული
 მოიკაზმება მოტყლის თეთრებში.
 ჩამომიჯვდება საწოლთან ახლოს
 ბავშვის ღიმილით შენეს შეეხება
 მერე თვალების შუქებს ჩაარჟობს
 და აწმუოს ხევში გადიჩებდა.
 აკნესებული ალასლასდება
 გაპყვება ქარის ბოლიალს იქით
 და მობრუნებულს გზაში დახედება
 შუბლით, გასერილი უცნობი სისხლით.
 ზის დაყურსული საწოლთან, ახლოს,
 წითლად ნაწვეთებს მუხლების თავზე
 და სტიგმატებად თვალებში მახლის
 საშარელ წელთა საშარელ ამბებს.
 მარტო ვარ, ერთი, დამა ბნელი,
 სუფსარქისობის ამტყდარა ქარი,
 უვლის გარშემო, ღმუის ხვრელებში,
 თან ტორებს მარტყამს ზე წამომდგარი“.

ელენე დარიანის პაოლო იაშვილის ბეჭდმა კიდევ დაწერინა ასეთი ლექსი:

„შორს დარჩი ჩემგან, წლები წავიღნენ
 და კაქლის ჩრდილში ოდესაც თქმულნი,
 შენი სიტყვები ცაში ავიღნენ
 და ძირს დაეშვნენ მზეზე დაბულნი.
 მერთაღი ფერებით განათებულნი,
 კოშები ცამლის ზე აიძარონენ,
 და ოცნებები აღტაცებულნი
 სამარადისოდ იქ დაბინავდნენ.
 რა ვენა, რომ შენი სახე ნათელი,
 ჯალათის ხელმა ვერ ამოშალა,
 და ქვეწის მსხვერპლი აურაცხელი,
 შენს მაღალ შუბლზე გადამეშალა.
 სისხლით შეღებილ წელთა თქარუნი
 მისწრებდენ წინაც, მომღვევე ზურგში
 და მათთან ერთად ოდესაც თქმულნი
 შენი სიტყვები მღვრასან გულში“.

აქვე გასახსენებელი ამბები ქართველიშვილების ოჯახში პაოლოს სხვადასხვა დროის სტუმრობისა, როცა მას ელენე დარიანის მეუღლე შალვა ქართველიშვილი ხატავდა აკვარელში თუ კარიკატურის სახით, რომლებიც პაოლოს იმდებად მოსწონდა, რომ ერთ-ერთ ნახატს ღევჟისც კი მაწერა:

„აქ ჩემი სახე მეჩვენება ტორიალორად,
 ტოლედოს ცირკსა რომ ანათებს ამაყად მდგომი,
 ქვეწის მოწყვენა და ტირილი ჩამომაშორა,
 სად არის ხალხი, მე მზადა ვარ დავიწყო რძი?!”

პაოლოს და შალვა ქართველიშვილის მეუღლებრობის დასტურა შალვასადმი მიძღვნილი პაოლოს ეს ღევჟისც:

„მე შემოყვარდა გაღიმება შენი ფარული
 და მოყვარული მეოცნებე შენი თვალები,
 იქ იმაღლება, რასაც ალბათ გრძნობენ ქალები,
 ეტრუსალები და გამშვენებს ღიძი ფარული.
 მწევაეს სიხარული, როცა მესმის შენი „არული“,
 მე შემოყვარდა მეოცნებე შენი თვალები
 და გაღიმება მოყვარული და დაფარული“.

პაოლოს შალვასადმი მიძღვნებში შეფარულია სევდაც და ზეალმტაცი სიხარულიც. ორიე კი მოპყვა მათ მეგობრობასა და სიყვარულს.

პაოლო იაშვალისადმი მიძღვნილ ელენე დარიანის ღევჟებში კი აშკარად გამოჩნდა ტრაგიკული ბედის პოეტი ქალის უნაზესი ხილვები და განცდები. ელენე დარიანის არქივში შემოვეყინასა პაოლო იაშვალის ერთი გვეპრომტი,

რომელიც ელექტრის ოჯახში, ნაღიძეს წარმოუთქვამს. აი ეს ექსპრომტიც:

„არ მისვამს დვინო დიდი ხანია
თქენში მაკლია მე ჩემი წილი,
ხელის გული არ მოშიგხანია
შეა ქიფში გარტყმული სილით.
სუფრაზე აღარ დამიძახნია
სიტყვა ეკუთვნის ტრიანს, ქარა,
მაგრამ ხომ მხედვეთ ნათელ სახიანს
ხომ გესმით მერჩის ისევე ენა.
მე გამოვცადე ცხოვრება წყნარი,
და თქვენ არ გირჩევთ გამოცდას მისას;
ადგუს კი ვარ ისევ წითელი ხარი,
ესეამ დვინოს, როგორც ყოველთვის მისვამს.
პოეტის ბედი, მისი სელობა
ქარაგმა სუფრის ვრმელი ბედია,
ხმა ისევ ძმები, ისევ ქიფი,
ჩემი ახალი ალავერდია!“

და კვლავ ელექტრის პაოლოსადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ლექსის შესახებ.
იყი კველაზე გვიან ჩანს დაწერილი და ამიტომაც დასასრულისათვის შემოეძინახოთ:

„თუ გული მკვდარია, სიტყვამ რა გააწყოს,
სიტყვა ხომ გულის ნაეური სისხლია,
უშენოდ, ძეირუასო, სიღუშს ჩემთვის აწმუნა, –
აწმუნც ხომ ამ გულის ნაეური ფიქრია.
თუ გადავხედავთ ჩვენ ერთად ჩვენს თბილისს, –
თბილისი სამშობლოს მჩქეფარე ფიქრია.
ჩვენ მაშინ გადავხსნით ჩვენს ფარულ თილისმას –
ელენე პაოლო – ხომ გულის სისხლია...
თუ მტკვარი სამშობლოს ერთეის შხეილით,
სამშობლო ხომ გულის მგზნებარე სისხლია,
მე რატომ დამჩერდა უშენოდ დუმილი?!
დუმილიც, ძეირუასო, ხომ გულის ფიქრია...
თუ გშაში დაღლილი დაუეცი მდუმარედ
დაცემაც ხომ გულის ნაეური სისხლია,
შენ მე მაპატიებ უშენოდ მოვლემარეს,
ჩათვლემაც ხომ გულის ნაეური ფიქრია...“

როგორც მოტანილი ლექსბილან ჩანს, ელექტ დარინის მუდმივი შიავონება
იყო პაოლო, – თავისი სიხარულითა და დარდით. ამიტომაც იყო, რომ ეს
უნაზესი განცდები თუ ხილვები, სიყვარულად და ლექსებად იქცნებ.

პაოლო იაშვილმა გაწეოდი „რესპუბლიკა“ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა სანგარიშო წერილი სათარუით: „Литературное колыцо Грузии 1917 г.“, რომელშიც ქრძალვეთ არის მოხსენიებული იმ წელს გარდაცვლილი მწერალი - ქრისტიანის კიტა ამაშიძე, აქეე, სანდრო შენძიაშვილისა და ოსებ გრიმაშვილის პეტრის დასასათების შემცვევა, პაოლო ლიტერატურული უკრანლების, „კიბელისა“ და „ლეილას“ შეფასებას იძლევა.

ლიტერატურულ ანგარიში პ. იაშვილი დამახასიათებული შტრიჩებით ცალ-ცალკე წარმოგვიდგინს გრიგოლ რობაქიძის, გალერიან გაფრინდაშეცილის, ტიცელნ ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძისა და ელენე დარიანის სახეებს.

პაოლო იაშვილი პროზის ნიმუშად ასახელებს ნიკო ლორთქიუანიძისა და არისტო ჭუმბაძის მოთხოვობებს, ხოლო „ლურჯა ცხენების“ ავტორს გალაკტიონ ტაბიძეს სამუშაში ბრალს სდებს. მოსწონის აღერთობის ამაშელისა და გიორგი ლეონიძის პოეზია. შენიშვანეს იმასაც, რომ სწორედ იმ წელს შეიქმნა „ქართველ მწერალთა კავშირი“ და სათავე დაეღი ლიტერატურულ ხუთშაბათობებსა და მაბათობებს. ამ დროს მოხსენებებით გამოსულან გრიგოლ რობაქიძე და ტიცელნ ტაბიძე...

პაოლო იაშვილს შენიშვნული აქეს, რომ ელენე დარიანის მორითოლუარე იცნებაა „თეორი თავადი“.

ელენე დარიანის არქივში ბევრი საინტერესო საბუთია დაუმჯებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დღიურები, აკადემიკოსი შოთა მიძიგურის თხოვნით დაწერილი მემუარული ჩანაწერები, შალვა ქართველიმვილის უბის წიგნაკები და მდიდარი ეპისტოლური მემკეიდრულობა.

მეითეველს ვთავაზობთ ელენე დარიანის ერთ პატარა ჩანაწერს პაოლო იაშვილის ლექსის – „წერილი დედას“ დაწერის თაობაზე.

„რევოლუცია მოსკოვში გადავიტანე, მახსოვეს, დილით მოვარდა ჩემთან ტიცელნ ტაბიძე, ლაბარაკის უნარი თითქმის დაკარგოდა, მხოლოდ ერთს გაიძახოდა: „ჩქარა, ჩქარა წავიდეთ!“ თითქმის ისინი გავცილდით „პოეარსკაიას“ და მოცხვდით აუარებელ ხალხში, რომელიც მოქმართებოდა ეხლანდელ წითელ მოუნისაკნ, ხელიხელ ჩამულნი ეცდილობდით გაგევსწრი სხვებისთვის და მაღლ აღმიტნდით ხალხის მორცეში. თითქოს მზე დაღრილიყო ჭოველი ადამიანის თვალებში, ისე იყო განათებული თვალისმომჭრულად ჰყორა. იძლილა გამაფრუბელი „ურა“, ჩვენც გავიძახოდით: „ვაშა, განსავისულება საქართველოს!“ ვიღაცას ვეხვეოდით, ვიღაცას ხელს ეართმევდით. ტიცელნი გაიძახოდა: უნდა წავიდეთ საქართველოში, ჩქარა, ჩქარა უნდა წავიდეთ! მხოლოდ საღამოს დაებრუნდით სახლში, მოლად ხმაწასული... მესამე დღეს ტიცელნმა მოიცემან ჩემთან ერთი კაცი, რომლის სახელიც და გვარიც არ ჩავწერე მაშინ და დამაკიტყდა. მან ციხეში „ოდინოჩკაში“ გაატარა თურმე 17 წელი. მე არასოდეს დამაკიტყდება მისი თვალები. მახსოვეს, მის დანახებზე გასპარ გაუზრი მომავონდა. ის იყო ბავშვის თვალები, რომელმაც ქვეუნა დაინახა და გაიცინა გაკვირვებულმა. გამჭვირვალე სახეზე ისეთი უშავლო, ახლადდა-

ბადგებულის უცოდეველი ბედნიერება გამოსჭვიოდა. ტიკიანი თვალცრუმლიანი უშენერდა მას ასეთივე ბაშვერი გულწრფელობით და მუსტებობით ქართულიად: ჩილდმეტი წელი, ჩილდმეტი წელი...

სწორედ ეს დღეები მოგვეაგონდა უკვე თბილისში მყოფთ, 1918 წელში, რტიშვილის ქართველი, სადაც ეცხოვერობდი დროებით ნაქირავებ ოთახში. „ცისუერყანწელები“, თითქმის ყოველ საღამოს, ან შემომივლილების იქ, ან გამაცილებდნენ. პაოლოს ჩვეულებად პქრინდა, დღისით თუ სახლში არ დაეხვედებოდა, კარტბზე ექსპრომტად დამიწერდა თავის მისელაშე.

ტუილისში იმ დროს იმყოფებოდა ჩემი მეულლის ყოფილი მასწავლებელი, პროფესორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ხოვრენქო, ცნობილი მეცნიერი მედინციისა და მეცნახელის დარგში, ასევე მეცნამრი შალიაშვილის, იუგნის და სხვათა მრავალთა, დიდი ადამიანებისა თეატრალურ და ლიტერატურულ სფეროში. „ცისუერყანწელება“ ის გაიცნეს ჩემთან და ძალიან გულთბილი დამოკიდებულება დაამყარეს მასთან.

იმ დღეს ჩემთან ეველა ერთად ესადიღობდით.

როგორც ყოველთვის, პაოლო მცენრმეტცველებდა სუფრაზე. იდგა, ჩვეულებრივი „ცისუელების ბიპეტისათვის“ აწელი განწყობილება – ექსპრომტები, ლექსების წარმოსიქა, სიტყვები საქართველოზე, რესელ პოეზიაზე... და ტრცუანის მოგონება მოსკოვში გადატანილ, საზეიმოდ განცდილ რევოლუციაზე. უნდა ვთქა, რომ მაშინ „ცისუერყანწელებსაც“ და ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა წარმომადგენელს, ძალიან უჭირდა. მასსოეს პაოლოს „ანგლობა“: ქანა ამოეფარგხოდა ხეს, გაიშვერდა ხელს და აღუღდებულებოდა: „Помогите бедному, голодному воину, помогите христа ради!“

ყოფილა შემთხვევა, რომ ასე შევროვილი უცალით ჩავსულვართ „სიმპატიაში“... სად გაპქრინენ ის ბეღნიერი დღეები...

სუფრაზე პაოლოს გვერდზე მიუვაჭერი და უცად ყურადღება მივაქციე მის ფეხსაცმელს, საიდანაც თითო მოჩანდა გამოყოფილი.

– პაოლო, ერთი დედაშენს დაანახა შენი ფეხსაცმელები, არა გცივა, პაოლო, მაგათში? რომ გაცივდე? რაღაც უნდა მოვახერხოთ მეთქი.

პაოლოს თვისება პქრნდა, როცა რაიმე გულს მოხედებოდა, უცად ჩაფიქრდებოდა წეტით, თუმცა დიდხანს არ დანებდებოდა განცდას. გულ მისამწელომი მზერით ჩამხედა თვალებში და მოხვევა: ელლი, მომიტანე უანქარი და ქაღალდი.

იქნა, სულმოცულქელად დასწერა ლექსი „წერილი დედას“ და წაგვიოთხა. ტიკიანი და ჯ გადაიროვნენ აღტაცებით. ტიკიანი გაიძახოდა: პაოლო, მავისთანა ჯერ არაფერი დაგიწერია... .

ცნობილია, პაოლოს ლექსის დედამისისადმი მოპყვა შეძლევში ესტრინის განთქმელი „წერილი დედას“. ესენინი აქ გაეცნო ცისუერყანწელების შემოქმედებას. ხოვრენქოს გადაუთარგმნეს იქვე პაოლოს ლექსის შინაარსი და ისიც გაოცებული იმყორებდა: „Какой талантливый красавец!“.

მასსოეს, როგორ წავდიოთ „ქიმერიონში“, სადაც უკვე გვშასპინძლობდა

მისებიდა ალექსანდრეს ქ. მართალია, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში იყნენ მწერლები, მაგრამ სჯეროდათ მომავალის, გადიებით უცარდათ პოეზია, სამმობლო, გარდა ამისა, მიღოდა ნერუის პილუები, რომელსაც აუცილებლად მოპერებოდა მძერებლობის პაռსი და „ცისფერყანწელები“ აღტაცებით აკოგილნი თავის საჭეს, ისინი დარწმუნებულნი იყნენ, დაგებოდა საქართველოს ბეჭისერი დღეებიც.“

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონი და ცისფერყანწელები საკმაოდ კრცელი თემაა. ფურნალი „ცისფერი ყანწების“ პირველსაც ნომერში დაიბეჭდა ე. ტაბიძის ორი ლექსი, მაგრამ 1916 წლის 15 დეკემბერს, როგორც გალაკტიონი წერს თავის მუდლებს, ოლია უკუჯავას: „სამუდამოდ დაცმულით ერთმანეთს, მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალაან დიდი ჩხუბი მოგვიყიდა და კუთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები, რომელებიც ამის შემდეგ დაახლოების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ. ამ დღეებში გამოვიდა მეორე „ცისფერი ყანწები“. დიდი ამბება ერთი სიტყვით“ (ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან). თბ. 1987, გვ. 190).

მოუხდავად ამისა, გალაკტიონი მუგობრობდა ცისფერყანწელ ელენე დარიანთან.

ელენე ბაქრაძის არქივში დაცულია გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის ხელნაწერი. ერთი ლექსი დაწერილია 1936 წელს და იგი მიძღვნილია ელენე და შალვა ქართველიშვილებისადმი:

„რადგან ვიცით ქრთმა,
რადგან ვიცით ქრძალვა,
მე თქვენ გრძაცალეთ
ელიქო და შალვა!
ვაყვეთ, ვაცემოდეთ
ჩვენს მოებსა და გორებს,
კიდევ ვენაცვალეთ –
გული იმეორებს.
ამ რვახში ჩვენი
გული ერთად ვშალეთ,
კიდევ ვიმეორებ –
კიდევ გრძაცალეთ“.

მას შემდეგ, რაც სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, შალვა ქართველიშვილიც გამოასალმეს სიცოცხლეს, გალაკტიონი კვლავ სწევება ქართველიშვილების ოჯახს. ალბათ, იმ დღის განცდით შექმნა ეს ცესპრომტი:

✓

„წერილი ელიკოს
 წამებას, ბევრის დაკარგვის გამო
 ერ გამოხატავს ღღეთა მირონი
 მისითვის უდაბნო იყო მიღამო,
 სადაც შეღია და ბაირონი
 ელიკო! გელის გალაკტიონი.

25/I-37. შენ ბინაში“.

გალაკტიონი შემდგენიც ზშირად ხელებოლა ცისფერყანწელთა დედოფალს, შეკრიტენების, მაგრამ მათი ურთიერთობის ამსახველი ორიოდე სურათისა და ავტოგრაფიანი წიგნების გარდა, აღარაფერი გადაწინილა.

გალაკტიონის ერთ სურათს აშშენებს ასეთი წარწერა: „ელიკოს მეუბობებისა და ყრმობის დღების გასახსენებლად. გალაკტიონ ტაბიძე“.

ელენეს არქივში ინახება მოგონებები გალაკტიონზე. განსაკუთრებით საინტერესო ელენეს მიერ ინაული ასპიდისადმი მწერილ წერილში მოტანილი ეპიზოდები გალაკტიონის ცხოვრებიდან. ამბობენ, რომ ელენეს უყვარდათ გალაკტიონზე ძმადნაფიცი ვალერიან ვაფრინდაშვილის შემდეგი სიტყვების თქმა: „პოეტი კუდება, მისი სახელი ვარსკელავად მისევება მის კუბოს და შემდევ იწყებს ბეტიალს მსოფლიოში. პოეზიის ცაზე ბევრი ვარსკელავიათ“... დრომ დამტკიცა, რომ XX საუკუნეში, მსოფლიო პოეზიის ცაზე, ყველაზე დიდი ვარსკელავი ქართველთაგან გალაკტიონი იყო...“

გრიგოლ რობაქიძე

ელენემ გრიგოლ რობაქიძის სახელი პირველად ცისფერყანწელთა წრეში, პაოლო იაშვილისგან გაიგონა. სიმბოლისტები გრიგოლ რობაქიძეს მიიჩნევდნენ საქართველოში სიმბოლიზმის შემოტანად, მაგრამ გეიან, როგორც თვით მწერალმა დაწერა: „მე ვიყავი, „ყანწელებთან“ მხოლოდ როგორც მეცობარი, უფროსი დამხმარე და წამხალისებელი“-ი (ჟურნალი „ბევრი ქართლისა“, 1964, №47, გვ. 31).

1915 წელს ისე გაემზავრა ქუთაისიდან ელენე ბაქრაძე, რომ პირადად ერ შეხვდა გრიგოლ რობაქიძეს. მის ლექსებს კი კარგად იცნობდა. ელენეს განჯის პერიოდის დღიურში ჩაწერილიც კი აქვს გრიგოლ რობაქიძის ლექსი „აქლები“ – ხონეტი რკალიდან „დიდი შუაღელე“.

„აყუდებული, უღაზათო თუ კუზანი,
 ცხენე სივრცეთა კოშმარების უგანო ბუში,
 ყარამფილიფით მოაღული ზანგველა ბურში
 უცხო, უთვისო, მატანტალა, შორი გზიანი.
 ამსარტავინი, ნელი, დინჯი, თავაზიანი.“

მოღუნებული მეოცნებე შორეთის მურში.
 მორცხვი, კედელა მოალერისე, მუსუსი, მრუში
 გახუნებული: — მაგრამ მაინც მარად მზადი
 საოცარია შენი ზანტი მოქარებით თვლება —
 მზის ახელებით, რომ მოთხითა უდაბნოს როველმა
 ქიმერის თავის ღიმით უცტერ ალმურს კომლიანს:
 თოთქოს გესუნთქვის არაბეთის ამწეარი ნარდი
 და უზონ ცოხნით ოდეს ერთეუ მელანქოლიას, —
 ღრუბლიან ტუჩჩე გობდება სამყაროს დარდი".

აქე, დღიურში, კენებს საწერილი აქვს ტიტანის ლექსები: „ქალდეას
 ბალაგანი" და „Yntieut", კალერიან გაფრინდაშეიღლის „რკალიდან მაღალი
 მოვარე", კოლაუ ნადირაძის უსათაურო — „კერსად ეტრ წავალ" ... და
 „მელტიერი" ... ჩანს, ეს ლექსები პოტი ქალის სულიერ განწყობილებას
 გამოხატავდნენ და იმიტომ მოუკარა თავი მათ განჯის დღიურში.

დღიურში გრიგოლ რობაქიძის ლექსის სტრიქონის: „ღრუბლიან ტუჩჩე
 გიობდება სამყაროს დარდის" შემდეგ იწერება ელენეს ასეთი მინიატურა:

„მე მოკალი, ვარ, მოკალი, ბეჭინიერი..."

ზელები მიკანკალებს, სული მეხუთება. ოთახი თანდათან კარგავს თავის
 მოხაზულობას, განიერდება, განიერდება და, აპა, კედლები დაიკარგა საღლაც
 სივრცეში... ვხდავ მხოლოდ ოქროსფერ მიუწვდომელ მინდორს და იქ, და იქ
 ცეკვავენ მარიონეტები. მისდევენ ერთიმეორებს და ხელისაბმული ასრულებენ
 შესკალურ მელოდიას, კვაში კვაშისა სცელის, იყარებასან ჰარმონი მელოდიასა
 დათოურია აკორდები: კრის, მურავ, მესამე, მეოთხე. შემდეგ... შემდეგ განასხველია
 ჩუმად კაკანებს, კაკანებს... ჰკარგავს სივრცეს... კაკანებს, კვნესის, იზრდება
 მაღლა. მარიონეტები ჯერ შეკრთხებან... წუთი ლამბაზე... შეცყიბილი მელოდია
 საზღვარს ავიტებს... ინმის პანგი აღტაცებისა, ზეციური კნება შესხელდა...
 სული შემეხუთა, დავიქანცე... გული მისედება... უკანასკნელი დაბნედილი
 აკორდი და კონება დაკარგული ვეცემი ძირს. ჩემს წინ აწყვეა არეული,
 დაჭმულებილი ძველი გაყითლებული წერილები. 8.1.1915. განჯა".

„Largetto Bethoocen მეორე სიმფონია

მე შენ ფერხთა ვარ და მე შენ გატრიი, შენს ალერსს ველი, გამომიწოდე
 სული მეგობრისა და სიყვარულისა!..."

... აპა, ბაგენი ცეცხლით დამტვარნი, აპა თვალები — ბნელი ქალაქის
 გრძელი ქუჩები, აპა, ეს სმენა, სმენა მღინარის პანგის ამერეფი. აპა, თითები
 მუსიკალური და მეღავნი ჩემნი ვწებიანი, ალერისანი. აპა, გესმის შენ, სულ
 ჩემს დიდებას, ჩემს სიმღიდორეს შენს ფერსთ წინა ვდებ და ველი სულის, შენი
 სულის ამონასეთ ცრემლს!... ორ სიტყვას ველი, მხოლოდ ორ სიტყვას: „ვაი,
 მოკალები!.."

... მინდორი მწვანე, შენი სული აღელვებული, ჩემი ოდნავა ძლიერს

მოქანცული კოცნა ველური და სახე შენი ბედნიერი, მიოფლის საზღვაოს
გაცილებული და სიტყვა მქრალი:

„ჩუმად იყვი, მიყვარხარ, ვეცდები!..“

... ვაიმე სად ხარ, რატომ ვერ გხედავ, მე რად ვიტანჯვი?! დილის
ცისეართან დაბადებული, მაგრამ დაღლილი და ბედნიერი, მე რად ვიტანჯვი?!
მინდა გიფური, განწილი, წამოვდი და მომწიდე ერთი წუთით, ერთი საათით,
შეხედრა ჩენი, ალერსის მწველი და სასურველი იქნება ლალი, ნაზი, ლამაზი,
წამოდი მალე!..

... გაძწი, მომშორდი, აღარ მინდიხარ, წადი, შორს წადი... ეს ჩემი სული
დელის სადგური იყო და არის თავისუფალი, გახსწი, შორს წადი...

... ო, რა რიგ ეწუხვარ, ვსუვდიანობ, რა რიგ ვიტანჯვი...

... იყოს სახელი შენი ნათელი და სული შენი მიუწვდომელი...

ქ. განჯა, 3/1, 18 წელი“.

ამ დღიურის ჩანაწერის შემდეგ დიდი დრო არ ვასულა, რომ მშვენიერი
ედლი ჩამოვიდა თავის სამშობლოში, თბილისში და შეხვდა ცისფერყავანწელებს.
სიყვარულით შეხვდა მას ცისფერყავანწელთა მოძღვარი გრიგოლ რობაქიძეც-
სახელოვან მწერალს გასსიქნდა მისი გაზეთ „მეცნიერის“ და ურნალ „ცისფერი
ყანწების“ ფურცლებშე დაბეჭდილი ლექსები და უთხრა ელენეს, პრესაში ჩემი
აზრი მე უკეთ გამოიყენოთ... (იგულისხმება 1918 წელის თბილისში დაბეჭდილი
ურნალი „ARS“).

გრიგოლ რობაქიძეს წერილში, ქართველი ქალის ფრიმენის ახსნის
შემდეგ, შენიშნული აქვს, რომ ელენე დარიანი არის ქალური პოეტური სხივი
და გამოიძიება ქართველი მოძერნისშის დამწყებთა შორის. მწერლის ღრმა
რწმენით კი „ქართველი ქალი – როვორც ქალი – უთუოდ პრობლემა, მე
ვფიქრობ, რომ მის სტიქიაში ძალზე ბევრია უძველეს ამორმალთა ნამსხვრევები
– სიყვარულში მამაკაცებსე გამმეტებლად თავდამსხმელი და მათი მკლელები“
არიანო. აქვე ნათელებია ისიც, რომ ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს
ქალი ეროტიკული ფსიქიკით, თუ არ ჩავთვლით აღექსანდრე ყაზბეგის
პროზის გმირებს. ამის შემდეგ კი სწორედ ელენე დარიანის ლექსებშია
„შევარებულობის ჭეშმარიტი ეროტიკული განცდა და ამასთან განცდა
წმინდა ქალური სტიქიისა“.

ელენე ბაქრაძეს თავის მოგონებებში მოთხოვობილი აქვს გრიგოლ
რობაქიძესთან ერთ-ერთი შეხედრის ეპიზოდი:

„ისატებოდა „ქიმერიონის“ კედლები შესანიშნავი ფრესკებით... ლადო
გუდიაშეილი და ვალიშევსე ქმნიდნენ საინტერესო სურათებს. „დარბაზი“
მოგაგონებდა მონასტრის კაფეებს, სადაც იყრიბებოდა ხელოვნებისა და
ლიტერატურის დიდი თუ პატარა წარმომადგენელი.

... აქ ვიჯექით ურთ დღეს გრ. რობაქიძე, პაოლო, ტიციანი, ლელი
ჯაფარიძე, აღი არსენიშვილი და ვასაქრობლით, რომ პაოლოს (შემთხვევაში

კარის პირდაპირ იჯდა) უეცრად სახე გაუნათდა სისარულისგან, სწორად
წამოსტა და წამოიძახა: — შალვა, შალვა მოყიდაო! უნებურად მივიზედეთ
სულ ყველამ. კარგბში შემოვიდა მართლაც შესანიშნავი გარეუნობის მამაკაცი,
სწრაფად დასკვნიდა: თუ... რა საუცხოო ჯიშისაა, ზედმისუკნით კულტურული
კაცი უნდა იყოს, უსასუოდ საინტერესო პიროვნება... პაოლო გადაქვეა,
გადაქოცნა. ყველაზე მუტად ღრმად გახარებული ჩანდა გრიგოლი, რომელიც
მიეცება ასეთი სიტყვებით: — როდის ჩამოსხვდი, დღეს, დილას? მომენტირე,
შალვა! პაოლომ რაღაც უჩირჩიულა შალვას და მოიყვანა ჩემთან, გამაცნო... ის
დაჯდა სუფრის ბოლოში, გასაოცარი თვალები პქონდა, მრავალი წლის
მანძილზე მე მისი თვალები ზღვასავით მწვანედ მეჩვენებოდა. მაღალი და
გამნედარი იყო, ისე რომ, თითქოს ირჩეოდა. თანაც მუტად გახარებული ჩანდა.
სუფრაზე ჭიქები აიღეს და ბევრი სიყვარული ჩაწვეული მიმართულ სიტყვებში.
შალვას ჩმა პქონდა ხავერდოვანი, მობანი, იყო წამახვილი და მე იმ დღეს
მიეკეცი უკუადლება, რომ კარგი ცოდნა ღიატერატურისა და ისტორიისა მას
აძლევდა საშუალებას, მუტად ღრმა ირონია მოეხმარა. ყოველი მისი მოსწრებული
სიტყვა ღირსეული იყო, ამავე დროს კეთილი და კუთილობა იყო იმდენად
ბუნებრივი, რომ ამას უკრადლებას არავინ აქცევდა.

პაოლომ თვალით მანიშნა და როცა მეც მივწვდე, შევნიშნე ის დაფინებით
მიცემდა. ცდილობდა არ ეცქირნა და მაინც მიცემდა¹ — აქ დაიძადა
შალვასა და ელლის სიყვარული.

შალვა აღმოჩნდა დიდი ქართველი მოღვაწის ივანე მაჩაბლისა და
თვალსაჩინო პედაგოგის ლიზა ქართველიშვილის შეილი. ეს ამბავი მაშინ
ქართველ საზოგადოებაში კულტურული ბობიურობდა, განსაკუთრებით გაოცემული
იყო ელენე ბაქრაძე და ნანობდა, რატომ აქმდე არ ვიცობდი ამ საოცარი
ბედის ადამიანსო...

შალვა ქართველიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდებზე ქვემოთ
კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ აქ მოვიტანთ შხოლოდ იმ ლექსს, რომელიც მას
მოუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ:

„ეიქქაროდი შენქნ, ტურთა... გული ტოკდა, სული მღერჯდა, —
სისხლი ტანში ხალისობდა, თვალ-წამწამი ავიშერდა...
და ვისილე... მაგრამ ჩემ წინ სახე ცივი დავინახე, —
და ვცანი, რომ გაპქრა ჩემი ტრიფობის სავენახე...
და ვათვედა ყველაფერი... ცანცასა გულს ეცა ელდა,
თავს შევი ბრუ მოეხვია და ყოველი გარს მიბნელდა...
ავიშალე, ავკანკალდი, შუბლს შევავლე ოდნავ ხელი, —
და მყის მოსკედა სისხლის ცვარი, მას ფრთაც მოპყვა
გახაძლოლოდ, —

და ჭრილობა ნათელ შებლზე აყვავილდა წითელ ზოლად...
შენ კა, ჩემ, რა გვეონა: თუ ვიპურე, თუ ვიჩმახე!
თუ რომ შებლით ჲა, ჲა, ჲა, ჲა, თითქო ღობეს დაუეცახე!



არა, არა! შენ არ იცი ნაზი ტანჯვის ანარეპლი!

ჰა, ჭრილობა. ჩემი შეუძლის, გვირგვინია იგი ეკლის!“

გრიგოლ რობაქიძე პატივის სცემდა შეღვა ქართველიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას. მას უფარდა ელექტრისა და შეღვას ოჯახი და ამიტომაც, მათთან ხშირად სტუმრობდა.

კონსტანტინე გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდია მეცნიერობდა ელექტრის ბაქრაძეს. ერთ დღეს, შექორისანების კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშვილი, პავლე ივგოროვანი და ვახტანგ კოტეტიშვილი შევ ცხენებზე ამხელრეტელები სწორები ცისფერი კანტერელითა დედოფალს – ელექტრისანის. მათთვისაც მოუგარისათ თრი ცხენი და უთხოვიათ. – შენ და სიმონ ჯანაშია უნდა გახდეთ ჩეკინი მმობის წევრებით. მათი მიზანი იყო საქართველოს ამერ-იმერი მოცელით და ხალხს შეხევდორობინენ. შექორისანების ელექტრისანთა მარაშ სიმონ ჯანაშიას უთხოვია შეუწყვეტათ ასეთ რამესხე ფიქრიც კი, თორებ მთავრობაში ჩანს ამის შესახებ, უკვე იყინ და დაგვაპატიორებენი... მე პირადად, ფოკელითის თქვენთან ვიქწიო, მაგრამ იყანე ჯავახიშვილს ერთ უდალატებ, თუ არ შესწყვეტო ამზე ფიქრის, იმასაც დააპატიორებენ და ჩეკინიც...

ასე რომ ჩაიშალა შექორისანთა ის ლაშქრობაც...

იმ ხანებში შეუძლია შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდია. იგი მოსკოვიდა წავიდა სამკურნალოდ და იქიდან საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას. ელექტრის ბაქრაძემ მწერლის სამკურნალოდ და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი გზის ფულითისათვის გაყიდა თავისი ყველა სამკაული.

ელექტრის ბაქრაძის არქივს შემორჩინა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 1926-1927 წლებში დაწერილი ერთი წერილი – ერთი ფრაგმენტი და ერთი ღია ბარათი, რომლებშიც ბერი საყერალდებო ცნობაა. 1926 წელს კ. გამსახურდია გერმანიის ჯაშემობის ბრალდებით 10 წლით გადასახლეს სოლოვეის კუნძულებზე. სწორედ იქიდან გამოუკავნა მან ქ-ნ ელექტრის ქვემოთ მოწანილი წერილები: „13.XI.26. შეირფასო ელექტრ, რასაციონურელია, მე არ შეიძლია ისეთი მშვენიერი ბარათის მოწერა, როგორც შენ მომწერ. შენ პოვთ ხარ და იყი, როცა ადამიანი ბერის განიცდის, გამოხატვა არ შეუძლია. თანაც მე ვარ ავად. ფიზიკურად, სრულიად დაშლილი. ეს წელი ჩემთვის იყო გვილაზე კოშმარული, ჩემს ცხოვრებაში რამდენჯერ გაკვდი საზღვარგარეთ და მე სიცელითის გემი შევიგრძინი... ჯერაც სავალმყოფოში ვარ, რამდენჯერ მე მოწმე გავხდი საშინელი გაორებისა. ასეთი მდგრამარება ჩემი წარმოლდებით აღწერე ჩემს მოთხოვობაში „ტაბუ“. მოსკოვში მე გადაიტანე ძლიერი სულისშემსუთველი შემთხვევები.

მე ვაგრძელებ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ სიკვდილი სანატორელი გამიხდა. ეს მარტო ფრაზა არაა, — ზუსტად ამას განვიცდი... მინდობა საქართველოდან სრულიად წასვლა, სრულიად დაუმსახურებლად იძღვნ სიძულვილს ეკრძობდი, რომ მე ვიყავი მოწამელული და გადაწამილული. მე ასეთმა ცხოვრებამ მიწია, როგორც მაჩაბელს და ბარათაშვილს, შეიძლება უარესმაც.

მე მიკვირს, როდესაც ახალ რომანზე მწერ — არა მდონა, როდისმე დაუცურუნდე ქართულ ლიტერატურას. საერთოდ არა ღირს, როცა ხალხი გჰასუხობს ყველაზე დიდი სიძულვილით...

მე სავალმყოფოში დაუცურობრდი ერთ სწავლულ მოხუცს, რომელიც ჩემს თვალწინ გარდაიცვალა. მან მიანდება მძიმი ხალხი არახოდეს არ მყეარებოდა, მდგრად ყვითელიყავი, ჩემდა საუბედუროდ, მეტისმეტად პოეტი და ბავშვი... იმისათვის, რომ შეძებლო სიძულვილი, მაგრამ დაურწმუნდი, რომ არ შემიძლია სიძულვილი.

მე მონასტერში ვარ და მოთავარი ოცნებააფეთქებული, მთელი ცხოვრება ხელის გულზე. თუ მე აქ არ მოვკვდი, შეიძლება რომელიმე ქაზე გამოვაქვეყნო წიგნი „აღიარება“ — პოლარული დამები, რომელიც სქემის სახით თავში მიღუდს და ხეტისლობს. მე მასში ვიღაპარაქებ ხალხსა და ნივთებზე... ეს ყველაფერი განზრახვაა, რომელიაც არ უწერია განხორციელება... რა დამრჩა მე მონასტრის გადაღმა, მოხუცებული დედა, ერთადერთი ჩემი საწუხარი და, თრი-სამი ძმა, რომელთათვისაც მე ზედმეტი ტეირთი ვარ — ცხოვრებაში. მე მათ მხოლოდ მწარე სიტყვებით მივმართავდი, სხვა არაფერი. დანარჩენი მირაფი და მოგონებებია. ყოველთვის ასეთი განცდები მაქს, თითქოს სხვა სამყაროში ვარ, 43-ე დამეა...

სოლევეცი გუმბათზე შედის თავის ნაბადს. თითქოს შევრძენებაა მარადიცული დამისა, თანაც მე ავადა ვარ. მარჯვენა მხარეს არ შემიძლია წირუა — ტკუკულები გულში სახსრის რეგმატიზმები და გახსოვს, მე მარჯვენა ხელზე ვმკურნალობდა თბილისში... აქაური ნესტისგან შეიძლება წამერთვას ხელი — ყოველდღიური თავის ტკიფილები...

ჩენ ცეხოვრობთ ერთად, ზოგჯერ შეუხრობისას ვიკიდებით და ვმღერით, თანაც თანამემამულეთა გაზდა ვერაფის ვეზედები, სინტერესი ხალხი არ არის. წავიკითხე აღექსანდრე ფრიმანი, მომეწონა. სადა მაქს იმდენი ძალა, რომ რამე გადავათვალიერო. ფრანისის ნათქეამი გამახსენდა — რა ცოტა კარგი წიგნები, საერთოდ, ცოტა უნდა ვწერო...

კულობები შემს სონეტებს. მხოლოდ, თუ შეიძლება, მიეცი კარგი სათაურები, მე ვფიქრობ, შენ ისეთი გამბედავი ხარ რომ დამფუძნებელი იქნები ქალური ღირიცისა... ვნახოთ...

მე წავიკითხე ახალი უურნალები, მხოლოდ მომეწონა აბაშელის ლექსები და ქაჩელის მოთხრობები. აბაშელი ახალ სტადიში შედის, იქნეს ავადმყოფობას ძლიერ შემაწუხა. კვოცნი სიმონიკოს. უთხარი მას, რომ უნივერსიტეტის გამოცემები შემანველოს.

თავს უფლერეკ შენს პატარა დაიკოს, რამდენი შშვენიერი გოგონაა საქართველოში. მონასტერში ეი არ შეიძლება მათზე გულგრილად უაქრი დიდი ხანია, რაც არაესიგან მიმიღია წერილები. შენმა ბარათმა ძლიერ გამახარა. შენ ნუ ბრაზო...“

აქ წყდება ეს ფრიდად საიმტერესო წერილი. ეტყობა, წერილის ბოლო ნაწილი უფრო ინტიმური იყო და აღრესატმა განადგურა. ფიველ შემთხვევაში, ფაქტი ჯოუტია, იყი აღარა ჩანს, ისე როგორც ლელი ჯაფარიძის წერილიც. დასხ, ეს იყო ერთი და იგივე მიზეზის გამო...

წერილში ნახსენები ივანე — ჯავახიშვილია, ხოლო სიმონიკა — სიმონ ჯანაშია.

კონსტანტინე გამსახურდიამ ამ წერილის შემდგა ელენე ბაქრაძეს ახლა ასეთი და ბარათი გაუჟავნა: „1927. 12. 1. ხოლოვგა.

ძეირფასო ელენე, შენს წერილზე დეტალურად გიპასუხე 2 თვის წინ მოწერილი ბარათით. ნუთუ არ მიგიღია? მოშეწერ ხოლმე, თუ გაქცეს სურვილი. აქ დიდი ყონვება. კრისტი ჰკავს როგორილაც ფანტასტიკი მეფის კრისტალურ სასახლეს. მალე მოსალოდნელია ჩრდილოეთის ნათება!

თავდახრით კვალიმები სიმონიკას. ქეთომ წერილზე არ მიჰასუხა. მაინც თაყვანისცემით მომიქინოთხე.

მეგობრული საღამით შენი კ. გამსახურდია“.

ამ ბარათშიც იგივე სიმონ ჯანაშიაა, ხოლო ქეთო, პავლე ინგორიშვიას მეუღლე ქმოვენ ბაქრაძეა. ჭოველივე ზემოთ მოტანილიდან ნათელი წლება, რომ ახლო ურთიერთობა პქონდა ელენეს შეაჩინანებთან და ბოლომდე მათთან უმწიდევლოდ მეგობრობდა.

სამწუხაროდ, ელენე ბაქრაძესა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულებაზე არქივში სხვა არაუკრი შეგეხვდა. თანამედროვეთა მოგონებებიდან ეი ირკვევა, რომ ვერაზე მღებარე ელენე ბაქრაძის სახლში ხშირად სტუმრობდა, ჩიხა-ხანელით დამშეკრებული მწერალი, თავისი განუკრებლი მეტებარი ძალითურთ... აქმდან ეი „ფიქრთ გასართველად“ მიუკრებოდა ვარაზის სევს, ხან მდინარე ვერეს სეობას.

P. S. ელენე დარიანის არქივში დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას წიგნის თავფურცელი „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, ტფილისი, 1924 წელი. ასეთი ავტოგრაფით: „პეტრე ქავთარაძეს — ძეელ ბერძენის გაელინებული ლაზისაგან. სატანტო ქალაქი. 23. XII“.

თოსებ გრიშაშვილი

თოსებ გრიშაშვილის და ელენე დარიანის ლექსები ერთად იმეჭდებოდა „ცისფერი ყანწების“ ფურცლებზე. შემდეგში სწორედ ელენეს საშუალებით

მოხვდა გრიშაშეიღის ბიბლიოთეკაში ლიზა ქართველიშვილის დღიურები, ივანე მაჩაბლის ერთი წერილი და სხვა მასალები, რომელებსაც ქასოფეთი ინახედა პოეტი.

თასებ გრიშაშეიღილი მეგობრობდა ავრეთვე ელენეს მუდლეს შალვა ქართველიშეიღილსაც. პოეტმა თავის 1914 წელს გამოცემულ ლექსების წიგნს 1915 წლის 20 ნოემბერს ასეთი ლექსი წააწერა:

„მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ,
რომ სხვა ენაზე სთარგმნი ჩემს ლექსებს,
და არც იმიტომ, რომ ქალთა კონა
შემოგციცინებს და გიალერსებს.
და არც იმიტომ, რომ ხარ ნატევი
თვალად-სხივანა, ტანად-კნარი.
მე შენ მიყვარხარ და ჩემი ტრიტობა
შენს გულში მიტომ დავასაულავე,
რომ შენმი ჩემფობს ქართველის სული
და მგოსნის ფიქრი მონათესავე“.

თასებ გრიშაშეიღილი თავის ყველა ახალ გამოცემულ წიგნს ჩუქუნიდა ელენეს და შალვას. მის მიერ თარგმნილ ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების წიგნს ასეთი წარწერა ამშენებს: „შალვა ქართველიშეიღილს, მცობარ პოეტს, მამულიშეიღილს, ი. გრიშაშეიღილი 29.4.X.“ როცა 1930 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად პოეტის „ექვსი ლექსი“ კვლავ ატოგრაფით მიართვა ქართველიშეიღილების ოჯახს.

ი. გრიშაშეიღილი სიხარულით ხელგებოდა ელენეს სარუებსა თუ ვერაზე, რვებაში სტუმრობის დროს პოეტი თავის დისშეიღილს, ანი ციციშეიღილს, ეტჟადა ხოლმე: „ჩენ გალში ვართ ელენე დარიანის წინაშე, გამოწინდება ვიშე ღვთისძირი და თავის დროზე სიმართლეს იტყვისო“...

სხვათა მორის, ქართველიშეიღილებისათვის ი. გრიშაშეიღილის მიერ ნაჩუქარ წიგნში თავისი ცნობილი ლექსის „დუდუქის საარი ქარის აღარ მოაქვეს“ მეორობეტე სტრილის პირველი და მესამე სტრიქონი ასე აქვს ჩასწორებული:

„მაშ ვის ვერონო მე სამუდამოდ,
ასეთ ყოფაში თითქოს მოებერდი,
ვრჩები ბარამი უგულდამმოდ
მე სხვა ცნოერების წინამორბედი“.

ელენე დარიანის არქივში დაცულია იმ ფოტოსურათის დედანი, რომელზედაც ერთად არიან აღბეჭდილი თასებ გრიშაშეიღილი, შალვა ქართველიშეიღილი და რ. ბობირიოვი.

თასებ გრიშაშეიღილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია შალვა ქართველიშეიღილის დედის დღიურების ნაწყვეტები (№2769), რომელსაც ელენეს

ხელით წარწერილი აქვს: „იგანე მაჩაბელის პირველი მუცელლის ლიზა ქართველიშეიღილის ხელნაწერებს უფეშქაშებ შალვას გულიათად მეცნარის კრისტელის თავის მუშეუშიშ დასაცავად. ლენქ ქართველიშეიღილი 14/VII.1956 წ.” იქვე ითხებ გრიშაშეიღილის ხელით მაწერილი აქვს: „ლენქ დარიანმა გადმომცა (შალვას მეუღლებ). ი. გრიშაშეიღილი, 14.VII.“

როგორც ჩანს, ითხებ გრიშაშეიღილისთვის კარგად იყო ცნობილი ლეგენდა პოეტი ქალის ელენე დარიანისა. თბილისის ბოჭეშის აშენის არქიეპი მოხვედრილი ლიზა ქართველიშეიღილის დღიურის ნაწყვეტები და სხვა ღოგუშებრტებიც მასთან სხვაგვარად როგორ დაივანებდა? აქვე ინახება 1931 წლის 15 ივნისს გიორგი ლეონიძის ხელით დაწერილი ხელწერილი, საიდანაც ირკვევა, რომ მთაწმინდის მუშეუშიშათვის შეწირული 15 დასახლების ქასპონატებში ყოფილა: „ვანო მაჩაბლის პორტრეტი დაბეჭდილი აბრეშუმის ლენტზე” და სხვა პორტრეტიც ცხადდა, ლიზა და შალვა ქართველიშეიღილები ფაქტად ინახავნენ მათვეის ძვირფასი განო მაჩაბლის სახელთან დაკავშირებულ რელიეფიებს.

ითხებ გრიშაშეიღილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია 1913 წელს გამოცემული პ. პაინეს ლექსების კრებული, სადაც ლექსის რითმებზე „უცებ – ხუცებს“ მიწერილია „ასონანსი. ეს რითმა აქვს აგრეთვე ელენე დარიანის“ (გვ. 119). ხოლო აკაკი წერილის თხზულებათა კრებულში შეხვედრილ სიტყვებს „ცინდალი შესძინა“ პოეტი ხაზს უსვამს და იქვე უთითებს ელენე დარიანის. საგულისხმოა ისიც, რომ ითხებ გრიშაშეიღილს 1934 წლის უკრანალ „მართლიან“ მოუღლა ლენქ ქართველიშეიღილის ნოკვლები და ცალკე უკანასკნეს.

ასე რომ, ი. გრიშაშეიღილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. ჩეგის აზრით, აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ივანე მაჩაბლისა და ლიზა ქართველიშეიღილთან დაკავშირებული საბუთები, დღიურები, რითაც ფარდა აეხდება ბევრ საიდუმლოებას.

კონსტანტინე ჭიჭიაძე

ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს კონსტანტინე ჭიჭიაძეს მეცნიერული ურთიერთობა აკავშირებდა ელენე ბაქრაძის ოჯახთან. პოეტი ქალის არქიეპი დაცულია სამსტროფანი ექსპორტი, რომელიც, სანაც 1918 წელს არის შექმნილი. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ კრთად ცხოვრობენ ელენე და მისი მეუღლე გოგი ბერიშეიღილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამცხრალი მისი პარისი – პარისი იაშვილი, ამის გამო ჩანს შექმნილი ეს ექსპორტიც:

„როცა მშენირ ელენეს კუმშერ
პირზე დიმილი არა მშორდება –
დღეს რომ პარისი ცოცხალი იყოს
ტროალის ომი განმეორდება.

კინ დამარტინებს იმაში თითქოს
 აწმოს წარსული არა სჯობია,
 წინედ ელენეს პარისი ფლობდა
 დღეს კი ჰემიტონის იმას გოგია.
 კერ დაწყნარდა შემდეგ პარისი,
 ამზობს ბერძენთა მითოლოგია,
 მაგრამ პარისისაც ბედმა უმტკუნა
 როდესაც ქვეყნად გაჩინდა გოგია”.

„სამწუხაროდ, აღარ არიან ცოცხალი ის პიროვნებანი, რომელთა ერთი სიტყვაც კი იქმარებდა 20-იანი წლების ნაკლებადცნობილი პიეტის – ელენე დარიან-ბერიშვილის „ელენე დარიანობის გასაბათილებლად“ – ბრძანებთ. ესეც საოცარია. მხოლოდ ცოცხალი მოწმეა სანდო? მათი წერილები სანდონი და საჭირონი როდის აქეთ აღარ არიან? მაში რაღად ვინახავ და ველოლიავებით მუზეუმებსა თუ ხელნაწერთა საცავებში? მაგრამ, თუ ცოცხალი მოწმე თქვენთვის აუცილებელია, არ იცით ვის მიაკითხოთ? მოინახულეთ ტიციანის ქალიშვილი ქალბატონი ნიტა ტაბიძე, გიორგი ლეონიძისა და ლადო გურიაშვილის ქალიშვილები – ქალბატონები თინა ლეონიძე და ჩექერთმა გუდამევილი. მათთან სტუმრობა წინ უსწრებდა ჩემი წერილების გამოქვეყნებას. ელენე ბაქრაძის დარიანობით სენსაციის მოხდენა ათიოდე წლის წინათაც შემეძლო, მაგრამ მაშინ ამაზე რამის თქმა ნაადრევი იყო და დამატებით შესწავლაც საჭიროდ მიერჩინი. კონსერვატორებისათვის, ჩანს, მუდამ მნელი მისაღები იქნება ასეთ თემებთან შეხება, მაგრამ ლიტერატორმა თავის საქშე უნდა აკეთოს, მხოლოდ ჭეშმარიტების გარევევის სურვილი აზსინს ელენე დარიანის ლეგენდის საიდუმლოებას და არა ჩენი პირადი დამოკიდებულება ამ დღემდე იდუმალებით მოცული ქალბატონისადმი*.

ელენე დარიანის მითის სინამდვილე

ელენე დარიანი „გამოგონილი“ პიეტიაო – ასე იწყებს თავის საპოლემიკო წერილს – „ელენე დარიანის მითი“ – ქალბატონი ლალი აფალიანი. მითის გამოგონებელი კი ყოფილა პაოლო იაშვილი, რომელსაც პოეტი ქალი მისტიციების ხერხით შეუსუდრავს. წერილისათვის ვალერიან გაურინდაშვილის სიტყვები წაუმდებარება, რომელსაც ჩვენ აქ უფრო ერცლად მოვიტანთ: „როგორც ტომას ჩიტერტონმა გამოიგონა მე-14 საუკუნის პიეტის როლების მითი, ისე ერთმა თმამედროვე პოეტმა გამოიგონა ელენე დარიანის მითი... დღეს პიეტი ქმნის რეალური სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის აზალს მითებს“. ვფიქრობთ, ცდება ქნი ლალი, როდესაც პირველ წინადაღებაშივე ჰყლავ დაუსაბუთებლად, მარტივად წავიტს ურთელესსა და საღარ საკითხს, გაკალულ გზას არჩეს, ყაულივეს

* წერილი დაბჭედა გაზეოში „კალმასისა“, 1997, 30 დეკემბერი, №13.

ისევ „წმინდა წყლის მისტიკურიკაციით“, ხსნის და ნაჩქარები და სასურაველი დასკვნაც უძალ გამოიაქვს. ამით კამათს დასრულებულად მიიჩნევს, წერ სესისაციურ ამბებს – გამოდევნებულად, ხოლო თავს ცისფერზენდებულად შესახებ არსებულ მასალათა ერთადერთი და შეუძლებარ მცოდნედ. მართალია, ვალერიან გაფრინდაშვილი, როცა წერს – გამოივონაო. გამომგონებელი მისი თანამედროვე პოეტი რომ პაოლი იყო, ისიც ცხადზე ცხადია, მაგრამ საკითხის მეორე მხარეც ხომ უნდა გაითქვეს? რატომ დასჭირდა პაოლის მითის გამოვონება? ამის მხოლოდ მისტიკურიკაციით აპინას დღეს ბევრი რამ ეწინააღმდეგება.

ქ-ნა ლალი ავალიანის მონოგრაფია პაოლი იაშვილზე 1977 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ხუთი წლის წინ კი „ლიტერატურულ წერალებში“ (1992 წ.) ვიზილეთ მისი „ელენე დარიანი ანუ ერთი ლიტერატურული მისტიკურიკის ისტორია“. პაოლი იაშვილზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ბუნებრივია, საამო განცდებს არ გამოიწვევდა მასში განცემ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1997 წ. №№ 34-35) „ცისფერულწელია ცისფერი დედოფლის“ გამოქვეყნება.

აქედანვე უნდა განვაცხადო, რომ არაუერი მაქეს სადაც სახელოვან რაინდოთ, პოეტ პაოლი იაშვილთან. პირიქით, ჩემთვის ის ისევ საუკარელი და პატივსაცემი შემოქმედია, როგორც ყველა ქართველისათვის. მხოლოდ ევა, ტრადიციისაგან რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გამოვთქვით უსევდონიმ „ელენე დარიანიან“ დაკავშირებით. ჩენი აზრით, მაღვა დემეტრაძემ თავის დროზე შეცდომა დაუშეა, როცა პაოლი იაშვილის კრებულის შედგნისას მასში დარიანული ღვექსები შეიტანა, ხოლო ქალბატონისა ლალიმ მაშინ, როცა ქ-ნ ელენე ბაქრაძეს შინ ეწევია და, ჩნს, ვერ გამოიჩინა სათანადო გულმოდვინება, ვერ გამოავლინა ის საარქივო მასალა, რომელიც მოგვანებით, ჩენს ხელთ აღმოჩნდა. ახლადმიკვლევლი მასალა ბევრ რამეს ხდის ფარდას...

შესაძლოა, მართლაც თავისი „აკადემიზმით“ შეაქრთო და დაუკარგა გულახდილობის სურვილი ჰპვე ხანდაზმულ, თვალისჩინდაკარგულ, არისტოკრატიკულად თავდაჭრილ ქალბატონის, რომელიც, ასევე ვერა და ვერ აღიქვა ულამაზესი პაოლოს გატაცებად... თუმცა შეძლევ ნანობს თავის იმებმინდელ განწყობილებას და მას ახალგაზრდობითა და „მაქსიმალიზმით“ ხსნის. თურმე ყურში პაოლოს სონეტის სტრიქონები ჩაესმოდა: „ყოველთვის შელის შევნიერი ქალთა კრებული“... ამ შეზერდაშე კი იმედი გაუცრეა – სადღა იყო შშვენიერი ელლი? ნეთუ ესაა ის ქალი... თანაც ელენე დარიანი ვარო... რა თქმა უნდა, იჩემებს სხვებივით. – აა, რა დაასკვნა, თუმცა აშეარად ივრმნო, ფრიად განათლებულ ქალს რომ ესაუბრებოდა: „ჩენი საუბარი მხოლოდ ერთხელ გაცხოველდა, როცა რუსულ სიმბოლიზმზე ჩამოვაგდე სიტყვა უნებლივედ, სრული თანამოაზრენი აღმოეჩნდითო“...

თავის დროზე პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის „ეროტიკული“ პოეზია იხსნა დროის ფუჭ ზრანებს ყოლილი კრიტიკოსებისა და ეგზალტირებული ბრძოლაგან, რომელიც გაპეირილა, როგორ შეიძლება შექმნა ქართველ ქალს ასთი ურცხვი ლექსებით... სამაგიეროდ, აღვილად დაიჯერეს, რომ პაოლოს ჰქონდა ჰეშმარიტი „ქალური განცდა, ზოლვა, სინაზე“ (შალვა აუხაიძე). შეენიერ ლექსებს კი სურდათ სიცოცხლე, მათ უნდა მიეღწიათ მეითნევლამდე და სამუდამოდ დაეპყრო მათი გულები. ამიტომაც იტერითა პაოლომ მეგობარი ქალის „ურცხვ“ ლექსია აუტორობა, რადგან, საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა, რომ ქართველი მეითნევლი იმსანად სრულად მოუმშაგდებელი აღმოჩნდა მათ საკითხავად და გასავებად; ჰარბმა ეროტიზმის თითქოს შეურაცხყო მისი სმენა. პარიზში, სადაც პაოლომ იმოგზაურა, ამგვარი ლექსები, ჩანს, არავის უცხოებოდა. პაოლომ „დარიანული“ ლექსებით გაიბრძოლა „ბანალური სატრეფიალო ლირიკის წინააღმდეგ“, თან შეუმცდარი პოეტური აღლოთი გრძნობდა მეცნიერი ქალის პოეზიის ღირსებას. თვითონაც აქტიურად ერეოდა, როგორც ეს ქ-ნ ელენესთან საუბრისას ლალი ავალიანის ერთადერთი მოწმის, ნონა კუპრიეშვილის მონაკოლიდან ჩანს: „ჩემს წერილებს და ლექსებს რომ ვეგზავნიდა... თავისებურად იყენებდა მათ, გადაამუშავებდა; სწორედ ჩვენი ერთობლივი გრძნობებისა და შემოქმედების ნაყოფია „დარიანული“ ლექსები. ელენე დარიანი კი მე გახლდით“... ეს ფრაზა მიუღებელია და ამიტომ შეუმჩნეველი დარჩა ელენეს „მოწინააღმდეგე“ კრიტიკისებისათვის. ისევ ასე დარჩეს? ვანა იმიტომ იბრძოლა ისე თავაქმწირვით მათ გადასარჩნად პაოლომ, რომ ჩვენამდე სასწაულებრივად მოღწეული არქივი მავანთა სურეილის გამო, გაუჩსნელი დარჩეს?! ლიტერატურის ისტორია ჩვენს სურვალებს უნდა დაექვემდებაროს თუ განვითარებას?...

პაოლომ, მისტიფიკაციის დიდოსტატმა, იოლად შეძლო შეეფარებინა და ამგვარად გადაუჩინა უარყოფილი, მაგრამ შეენიერი ლექსები. როგორც ტიციან ტაბიძე წერს, აკი „ქართველ ზალხში სცხოვრობს უკედავი აქტიორული სული იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უცვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, — ქართველ ზალხს უცვარს ნიღაბი...“ ამ ნიღბის მორგება პაოლოს არ გასჭირვება. მისი მიზანი კეთილშობილური იყო, ჰეშმარიტად მისი რანდული, ბუნებიდან გამომდინარე — დახმარებოდა იმსანად თამამი ეროტიკული სახეებისათვის შერისსულსა და უარყოფილ პოეზიას, რათა იგი არ წაელექა ბრბოს, რომელმაც იგი მხოლოდ გარყვნილების ქადაგებად მიიჩნია. გასამეტებული ლექსები არ იყო და ვერ გაიმეტა დასაღუპავად კი არა, დრომდე გასაჩუმებლადაც კი. თავანწირეით მოინდომა, რომ მათ ეცოცხლათ. ვგებ, გრძობდა, რომ მათი

დამკვიდრება იოლად არ მოხდებოდა და იმიტომ გააცნო მეოთხეულის ფსეულონიმით, რომლის გამხელა აღარ დასცალდა. „დარიანული“ ლექსის საჯარო კითხებისას მას არ დაპყლებდა სიამ-ჭირვება, რასაც რაინდულად ითმენდა ლექსის სიცოცხლის წილ.

პაოლო — რაინდი. ამ ეპითეტის გარეშე მისი განსენება მნელი წარმოსადგენია. რაინდობა დასაგრულისა და შეკირვებულის დახმარებაში ვლინდება. ცნობილია, ცისფერყანწულებს ობსტრუქცია მოუწყეს და ჯავრი პაოლოზე იყარესო. „როგორც კი დაიწყო ლექსის კითხვა, მეიქნა ზარის რეკვა, სტკენა, ხმაურობა... ქალები მოითხოვდნენ, გაუგლით გარეთ“. იქნებ ეს ის ქალები იყვნენ, შემდეგ დარიანობას რომ იჩიმებდნენ? იმდენ ცრუ მოქმედში ნამდვილიც დაიკარგა... ნააღრევ დასკვნებს მე მიკიფინგო და თავად საიდან დაასკენით, რომ თქვენს წინ მჯდარი მოხუცი ძარტოხელა ქალბატონი, რომელსაც ყოველივე სიკეთე წარსულში პქინდა მოტოვებული, ოდენ ტებილ მოგონებებით ცხოვრიობდა და ამ მოგონებებს, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, კადევ უფრო „ატყბობდა“ და ასხვავებდა?

რა სასტიკია თქვენი დასკვნა! აქვე აგრძელებთ, რომ ჩემმა წერილმა ეს თვალსაზრისი კა არ შეგიცელათ, პირიქით, გამიმურა კიდური. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თქვენი წერილებიდან, რომ გაცხარებამ, მოუხდავად „წესიერი აღზრდისა“ და „აკადემიზმისა“, წონასწორობა მაინც დაგაკარგინათ, რაც იმას მაგრინებს, კარგი სიზმრებიდან უცირად გამოიტხიზლებული ადამიანი თვალს ისევ რომ დახუჭავს და თავს საბანში ჩარგავს — ეგებ ძილი შევიქციო და კარგი სიზმარიც ისევ გაგრძელდეს...

ზოგიერთი მკვლევარი წერს: „ცისფერი ფანწების“ რედკოლეეგიაში პაოლო იაშეილი და ელენე დარიანი ცალკე პიროვნებებად იმიტომ არიან დასახელებულნი, რომ ამით აღმანახის მონაწილეობა რიცხვი სურდათ გაეზარდათო. „მშვიდობისის“ რედკოლეეგის მიზანიც მხოლოდ ვა იყო? ეს ორი ადამიანი რედკოლეეგიბის გარდა კიდურ ბევრობაა დასახელებული დამოუკიდებელ პიროვნებებად. „ელენე დარიანის სახელს ამოფარებულმა პაოლო იაშეილმა პირველად გაიძრძოლა „ბანალური“ სატრუიალო ლიარიკის წინააღმდეგ!“ — წერენ, მაგრამ საკუთრივ ასეთი ქალიც რომ შეიძლებოდა ყოფილიყო, ამის დაშვება არაფრით არ სურთ. რა ზღუდავდა საზოგადოებაში ცნობილ კაცს, სხვის სახელით რომ გაებრძოლა ახლებური პოეზიის დასამკვიდრებლად? აკი წინ გრიგოლ რობაქიძე უძღვდა „თამამი ერთტიკული სახეებით?“ ქალის სახელი მსმენელის „შოკის“ მყარ გარანტიას იძლეოდა... ქალი — სხვა იყოთ, — ასკვნიან. როგორ გვონიათ, შოკირებისათვის კაცის გვარ-სახელით, კაცის მიერ წაკითხული ქალური განცდით აღბეჭდილი ლექსის უფრო უკეთ

არ შეგასრულებდა პაოლოს სურვილს – შოკში საუკლო მიმენელი, მაგრამ პაოლომ მეგობარ ქალს გაუკვლია გზა. ნახა, „რომ მოცედა სჯონდა“ ჩრდილში დავრჩენილიყავი... მუდამ რაღაც სირცხვილის გრძნობას განვიყდიდი, მაგრამ თითქოს შინაგანი რწმენაც მქონდა, რომ მე ბევრის გავთება შემძლო, რაც ძალიან გვიან გაუიგვე...“ იქვე მწარედ ამოძახილიც: „რატომ უნდა დამყოლოდა მე სახელი პოეტი ქალისა, რომელიც წერდა ეროტიკულ ლექსებს? ხანდახან შიზოფრენულ მოვლენად მიმართა ეს მხარე ჩემს ცხოვრებაშით. რა არის ეს, სინამული თუ ხანდაზმულობაში გაჩენილი ეგოიზმი იმის გამო, რომ რაღაც ისე არ წარიმართა, როგორც ეგბოლა – პაოლო დროის მსხვერპლი შეიქმნა, საიდუმლო გაუსხნელი დარჩა. თავიდან თვითონ ასე სურდა, მაგრამ მოგვიანებით? ვინც არ იცოდა სინამდვილე, არ დაუკარებდა, ეინც იცოდა – დუმილს არჩევდა. ამასთავაში დარჩანული ლექსები პაოლოს შეეზარდა, გაუთავისდა. პაოლოს ლექსების კრებულიც დიდი დაგვიანებით სხვამ გამოისცა. თვითონ პაოლოს რომ შეედგინა, მაშინ... ვუიქრობ, თქენ უკვე იმედგადაწურული, მაგრამ სიამაყეშერჩენილი, მოზუცი პოეტი ქალი იხილეთ, რომელის დუმილი ასე ახსენით: „შემატყუ, რომ... ნაბეჭ-ნაბეჭ მქონდა შესწავლილი პაოლოს შემოქმედებისა და ცხოვრების წერილმანები და გაჩერება ამჯობინა“. მე ამ დუმილს სხვაგვარად ავხსნიდი... ფანტაზით კი არა, მისი ნაწერების საფუძველზე, მაგრამ თქენ ზომ პაოლოს წერილების ავთენტურობასაც ეჭვეჭვეშ აყენებთ და, საერთოდ, მოითხოვთ, შეწყდეს კამათი, რადგან უკვე ჩველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გამოვიყენებით.

მაშ, რა ელის არქებს? გავანადგუროთ, რომ ყოველიკე ისე დარჩეს, როგორც იყო?

გრიგოლ რობაქიძემ, 1918 წელს, თბილისში, ფურნალში „ABS“ გამოიკვეყნა წერილი ქართულ მოდერნიზმზე და ახსნა, მრავალთა შორის, ქართველი ქალის ფენომენი. შენიშნა, რომ ელენე დარიანი არის ქალური პოეტური სხივი და გამოირჩევა ქართული მოდერნიზმის დამწყებთა შორის. „ე. დარიანი შესანიშნავია პირველ რიგში იმით, რომ იყი ერთადერთია, რომელმაც ქალური სიტყვა თქვა“, – წერდა ის დიდი მწერლის რწმენით, „ქართველი ქალი, როგორც ქალი, უთუოდ პრობლემა. მე კითქვობ, მის სტიქიაში ძალზე ბევრია უცველეს ამორტალითა ნამსხვრევები – სიყვარულში მამაკაცზე გამმეტებლად თავდაშისმელნი და მათი მკვლელები არიან“. ნათქვამის ისიც, რომ ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს ქალი ერთატიკული ფსიქიკით, თუ არ ჩავთვლით ალექსანდრე ფაზბეგის პროზის გმირებს. ამის შემდეგ კა სწორედ ელენე დარიანის ლექსებშია... „შეუკარებულობის ჰეშმარიტი ეროტიკული განცდა და, ამასთან, განცდა წმინდა ქალური სტიქიისა“.

ელენე დარიანი, როგორც თეითონ წერს, 20-იანი წლების შემდეგ
ხშირად ხვდებოდა უკრნალ „ხელოვნება და ლიტერატურის“ მესკურული,
მეობრობდა ანა ანტონოვსკაიას, კარგად იცნობდა ქართველ
ცისფერყანწელთა მოძღვარს – გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც მისი
მეუღლის შალვა ქართველიშვილის მეგობარი იყო. მისთვის ლექსიც
მიუძღვნია.

მინდა მეითხველს ვაუწყო ერთი ფაქტი კონსტანტინე გამსახურდის
ბიოგრაფიიდან. 1926 წელს იგი ავად გამხდარა. მოსკოვში წასასელელად
და სამკურალოდ კი ფული არ ჰქონია. გაუგდა თუ არა ეს მხავი
ელენეს, ვაუწყილია თავისი სამკაულები და იმ თანხით მაღანაფიცი შეწერადი
მოსკოვს გაუგზავნია, საიდანაც ის საზღვარგარეთ აპირებდა წასელას,
მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, 10 წლით გადაასახლეს სოლოვკაში.

1926 წლის 13 ნოემბერს კ. გამსახურდია სოლოვკიდან სწერს ქ-
ნ ელენეს: „მკარტვასო ელიქო! რასაკირველია, მე არ შემიძლია ისეთი
შვენიერი ბარათის მოწერა, როგორც შენ მომწერე. შენ პოეტი ხარ და
იცი, როცა ადამიანი ბევრს განიცდის, გამოხატვა არ შეუძლია, თანაც მე
ავად გარ, ფიზიკურად სრულიად დაშლილი...“ აქ აღარ ვაუგრძელებ
წერილის ციტირებას, მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტანთ: „ველოდები
შეს სონეტებს, – წერს გამსახურდია ელენეს, – მხოლოდ თუ შეიძლება,
მაყვა კარვი სათაურები. მე ვფიქრობ, რომ შენ ისეთი გამბედავი ხარ,
დამუკანებელი იქნები ქალური ლირიკისა...“

ცხადია, მხოლოდ ე. ბერიშვილის სახელით გამოქვეყნებული ლექსის
გამო არ მოუწოდებს და წერისაქნ ასე არ აქეზებს გამსახურდია
ელენეს სიტყვებით „... დამუკანებელი იქნები ქალური ლირიკისაო...“

გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია პოეტად
მიიჩნევდნენ ქ-ნ ელენეს. თქვენ რაღას ერჩით, ქ-ნო დალი? გინდათ, რომ
კვლავ დიდხანს იყოს ბურუსში ელენე დარიანის მითი?

ელენეს ახლოს იცნობდა გალაკტიონიც. ისინი ერთმანეთს პირველად
ქუთაისში შეხვდნენ, შემდეგ მოსკოვში, სადაც შანიავესკის უნივერსიტეტში
ისმენდნენ ლექციებს. მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს მიერ
მოწყობილ საღამოებშიც ერთად მონაწილეობდნენ. ერთ-ერთ საღამოზე
ქ-ნ ელენეს გალაკტიონისათვის მხარი დაუჭრია, რითაც ზოგიერთის
გულისწყორმა დაუმსახურებია. იგი ბოლომდე გაღაკტიონის
თაყვანისმცემელი დარჩა.

პოეტმა ქალმა მაღა დატოვა მოსკოვი და განჯაში მცხოვრებ
შობლებს მიაშურა. 1917 წლის 10 მაისს ტიციანმა ელლის ასეთი
წერილი მისწერა: „ქ. მოსკოვი, ელლი! გიგზავნი ამ წერილს, თუმცა არა
ვარ დაწმუნებული, რომ მიიღებთ. მ. მაჩაბლის ქალმა დამარწუნა, რომ

შეიძლება ასე გამოგზავნა. აქ რამდენიმე კვირაა უოჩტა არ მოდის. ჩემია ამდენი ხნის აქ დარჩენა მარტო იმით თუ გამართლდება, რომ შევიდე ექზამენი ჩავაბარე კიდეც, თუმცა საშინლად დაიღიალუ.

მოსკოვი გამოიცემა სრულიად, ქუჩა ლაპარაკობს ძალიან ზმამაღლა და, როგორც ყოველთვის, მისი ხმა ძალიან შეურაცხმყოფელია ესთეტიზმისათვის. მეოთხეულერ მივიღე ტელევიზამა ტუილისიდან, რაც მაიმულებს წამოსელას. აღბათ, ერთი თვე აქ მომიხდება დარჩენა, რასაკირველია, უქუთამისოდ ვერ გავძლებ.

ჩამოვიდა გალაკტიონი. როგორც ყოველთვის ცუდ ამბებს ამონბს, მაგრამ მე მაინც საქართველოს სიცხე, მშე და მეგობრები მეწევიან. ეკვი სავეწერე ექსკურსიაში. — 21-ს გამოვა მოსკოვიდან. საქართველოში, აღბათ, გნახავთ. იყავი მშიანი და მაპატიე პაწია წერილისათვის. ტიტე ტაბიძე”.

ეს წერილი გაეცანი და ქსეროსასლიც გადავეცი ქალატონ ნიტა ტაბიძეს. მან ბევრი საგულისხმო ეპიზოდი გამაცნო ცისფერყანწელების ცხოვრებიდან.

დაუბრუნდეთ ისევ გალაკტიონისა და ელენე დარიანის შევობრობას. პოეტი ქალის არქივში დაცულია გალაკტიონის ორი ლექსის ავტოგრაფი. ერთი დაწერილია 1936 წელს და ეძღვნება ელენე და შალვა ქართველიშვილებს, მერე ექსპრომტი კი 1937 წლის 25 იანვარს ქნ ელენეს ბინაში შექმნილა. ელენე სახლში არ დახვედრია გალაკტიონს და მაშინ დაუწერია ეს სტრიქონები:

„წამების ბევრის დაკარგვის გამო
ვერ გამოხატავს დღეთა მირონი,
მისთვის უდაბნო იყო მიდამი,
სადაც შელლია და ბარიონი
ელიკო, გელის გალაკტიონი.“

აქვე ვაქევწებთ გალაკტიონის ამ ექსპრომტის ავტოგრაფს, რომელიც იმავე სახელმწიფო საცავშია დაცული, სადაც პაოლო იაშვილის ერთსტროფიანი მტკიცებაა, რომ:

„შენი ლექსები მე მაბარია,
როგორც ბავშვობის წმინდა კრებული,
მაგრამ მოწყენით ხშირად არიან
შენი აღერსის დანატრებული.“

ისევ გალაკტიონს დაუბრუნდეთ. ქნი ელენეს აქვში ბევრი ჩანაწერია გალაკტიონის მოწამეობრივი ცხოვრებიდან. ისინი თავის დროშე გამოქვეყნდება, მაგრამ ერთი ფაქტი ქნი ელენეს უკეთ გასაცნობად.

ნინო და ლადო გუდიაშვილებისაგან ვიცია, რომ გაღაეტიონის გარდაცვალების შეძლება, ქრისტი წლის განმსყვიდვამი, ქართველი ტრადიციების მიხედვით, ელენემ მავები ატარაო. ასე ლირსეულად იღლოფა ჰილი თანამოქალამე ცისფერყავანზე და ცისფერი და ლილი და ლილი მაღალი თანამოქალამე ცისფერყავანზე და ცისფერი და ლილი მაღალი.

ელენე და შალვა ქართველიშვილების არქივშია დაცული ისებ გრიშაშვილის 1920 წლის 20 ნოემბერს დაწერილი ლექსი, მიძღვნილი შალვასადმი და ავტოგრაფიანი წიგნები.

ისებ გრიშაშვილის დიდებულ ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინაზება შალვა ქართველიშვილის დედის დადიურების ფრაგმენტები (№2769), რომელსაც ელენე ქართველიშვილის ხელით აქვს წარწერა: „ივანე მაჩალის პარველი მეუღლის ლიზა ქართველიშვილის ხელნაწერებს გულემქაშებ შალვას გულითად მეგობარს, გრიშაშვილს, თავის მუზეუმში დასაცავად, ელენე ქართველიშვილი 14/VIII 1956 წ. „ამ წარწერას მოსდევს თვით ისებ გრიშაშვილის ასეთი მინაწერი: „ელენე დარიანმა გადმომცა (შალვას მეუღლემ) ი. გრიშაშვილი. 14/VII“...

ქ-ნო დალი! როგორ ფიქრობთ, რა რეადა ისეთ ურთხილსა და დაკვირვებულ მქონებარს, როგორც ი. გრიშაშვილია, რომ მინაწერში ელენე დარიანი მიუთითა და არა ისევ ქართველიშვილი, ანდა ბაქრაძე? ეგბა, ელენე დარიანში იგი პაოლოს გულისხმობდა? შესაძლებლად მიგამნიათ ამგვარი ახსნა? ასე გსურთ, ასე გვორნათ? მაგრამ როგორ გავიგოთ ელენე დარიანი – შალვას მეუღლე? არ ვენდოთ გრიშაშვილი, თუ დავასკვნათ, რომ იგი ცდება?

როგორც ჩანს, გრიშაშვილისათვის არ იყო ეცნობი ლეგენდა და სინამდვილე პოეტი ქალის შესახებ. გრიშაშვილის დისტული ანი ციციშვილი იტყოდა ზოლმე ბიძის ნათქვამს: „ჩენ ვალში ვართ მოუტა ქალის ელენე დარიანის წინაშე, ვამოჩნდება ვინმე დავთისნიერი და თავის დროშე სიძართლეს იტყვისო...“

განა არ დადგა საამისო დრო, მთელი 80 წლის მანძილზე „ნასათუთევი“ მითი ელენე დარიანისა სინამდვილედ იქცეს? მკალეურთა ერთი ნაწილი არ ეკარიბა, არ ეცნობა სახელმწიფო თუ საოჯახო არქივებს. ჩანს, ისინი ვერ ეგუებიან არქივის მტკვრს...

მე წილად მხვდა ბეჭნიურება დღის სინათლეზე გამომეტანა ელენე დარიანის არქივის მასალების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომლის ბეჭდება დავიწყეთ. ამგვარი „რადიკალურად განსხვავებული აზრის“ გამოქვეყნება დროის მონაპოვარიათ, — ბრძანებენ და მეც ვეთანხმები. ლამის კატეგორიული აკრძალვა დროის მოთხოვნითა გამოწეული თუ პირადი სურვილით? ჩენ მზად უნდა ეიყოთ სახლისათვის, რომელიც, შესაძლოა, ჯერ კიდევ მიუკვლეველამა არქივებმა შემოვეთავაზონ. სათაურიდანვე

მიწუნებოთ წერილს, არ მაცლით ამოვწურო სათქმელი, მიერძალავთ კომენტარებს, ჩენი პედლიკაცია მონათლულია „სახულდაზელო“ და ნაუცათევად, ზოგი დასკვნა ნაკლებ დამაჯერებლად კი არა – სრულად მოუღებლად“¹, მე თვითონ ამჩატებულ მქელევარად რომ არ მოგეწვენოთ, სულ ცოტა – მასალის ბოლომლე გამომზეურება ხომ მაიც უნდა მაცალოთ? ეს ჩემი „ვერსია“ კი არ არის, როგორც თქვენ ბრძანებთ, საარქივო მასალა საკითხის დასმისა და გადაჭრის საშუალებას იძლევა. გაშ, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამით? პაოლოს ლანძღავსო, საიდან მოიტანეთ? უფრო მეტიც – სეცუალურად დაამოტხვა მისი აღსასრულის 60 წლისთავსო... ორჯერ იმეორებთ ამ ამაზრზენ სიტყვებს. პაოლოსადმი უპატივცემლობის ნასახსაც კი ვერცინ იპოვის ჩენის ნამრობში. თქვენ სხვადასხვა საშუალებით ქმნით ჩენის სრულად მოუღებელ აზრს, ჩანს, ამით საკუთარი პოზიციის გამაგრება-გამართლება გსურთ, თორემ, მე პირიქით მეორნა და ღრმად მწამს; პაოლოს სული ჰერმიტად ახლა ზეიმობს იმიტომ, რომ მის ვაუკაცურ ფრთხებქვეშ მიზეზთა გამო ამდენ ზანს შეფარებული და ნაფერები დარიანული ლექსები და პოეტი ქალი ელენე ბაქრაძე, იგივე ბერიშვალი, იგივე ქართველიმეობი, მის მიერვე ელენე დარიანად წოდებული, ჩენის ლიტერატურში კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს. დარწმუნებული ვარ, ეს იყო მისი სურვილი და რომ დასცლოდა სიცოცხლე, შესაფერის დროს თვითონვე გამზელდა ამ საიდუმლოს. ამ რწმენით აღსავსემ ვიზუშავე წიგნზე „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“.

ჩემი წერილი „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფლადი“ არაეთარი სენსაციებისათვის არ გამომიქვეყნებია. (სასეირო-გასართობი ამბების ავტორად დღემდე არავის მივუწევიავარ). პირიქით, ეს პაოლოსათვის ელენე დარიანის ლექსების ციკლის ბრმად მიუკონების გამო ჩადგინდი ცოდვის ახსნისათვის გავაკეთე. ამის გამო ბევრმა ცნობილმა სეცუალისტმა და მკელევარმა მაღლობით მითხრა: „ძლივს არ მოვისვენთ... როგორ შეიძლებოდა ისეთ უნაკლო ვაუკაცს, როგორიც პაოლო დაშილდი იყო. ასეთი ჰერმარიტად ქალური განცდანი თუ წარმოსახვანი პქონოდა?“ ჟელა ცდება? როგორ ახსნით? ან რისგან დაისვენეს? ხომ ცხადია, დარიანულ ლექსებში ქალური საწყისის არსებობა, რომელიც კაცის შეელგვარ ნიჭიერებას და მისტიფიკაციის უნარსაც აღემატება, იმ თავიდან დღემდე მუდამ უჩნდა მკითხველს კითხვებს: როგორ? რანაირად? კაცი როგორ შექმნის იმას, რაც მზღვოდ ქალის კუთვნიალება და შესაქმნელია? თქვენ არასოდეს შეუწეხბისართ ამ კითხვას?

ზოგი რამ ჩემი უანტაზიის ნაყოფად მიგიჩნევათ. ცდებით. დაუსაბუთებლად არაფერი მომაქვს, მაცალეთ... ცისფერი ეტლის ამავე

ლადო გუდიაშვილმა გადმომცა და, თქვენ წარმოიღინეთ, სწორედ თქვენვენ ასე გაქილიკებული „ლიტერატურულ-ბელეტირისტები, კინუცური წიაღსელებით“. აღტაცებული იყო დაიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი და გამიშვილია — ამ თემაზე სურათის შექმნას გაპირებო. რა მოვკიდებათ დაუჯერებლად, განა თქვენთვის უკრობია ის ფაქტი, რომ სწორედ ურეშით თავად შებმულმა პოეტებმა ამგარად მიიყვანეს პოეტი ქალი ნინო თარიშვილი მწერალთა კავშირში? პარალელებისათვის რაღა საზღვარგარეთ გარბისართ?

ელენე დარიანის არქივს მიუვებრუნდეთ, სადაც ინახება დარიანული ციკლის ლექსების ერთი ნაწილის ხელნაწერები. ისინი განსხვავებულ რეაქციები წაკითხვას იძლევან. ჩვენ მხად გვაქვს მათ შესახებ გამოსაქვეყნებლად ურცელი ტექსტოლოგიური დაკვირვებანი. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ელენე დარიანის ლექსების პირველ პუბლიკაციებს (ჟურნალ-გაზეთებში), შალვა დემეტრაძისეულ პაოლო იაშვილის ნაწარმოებების 1959 წლის გამოცემისა და ელენე დარიანის არქივში დარჩენილ ხელნაწერებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია. პირველ პუბლიკაციებს მართლაც ატყვადა პაოლოს ხელი და ამას არც ქონი ელენე მაღავს. ამიტომ ბევრი რამ დაკარგული აქვს დემეტრაძისეულ გამოცემსა და შერჩენილი აქვს არქივში დაცულ ხელნაწერებს (თუნდაც სისუსტეც კი).

ამ, ორიოდე მაგალითი ელენე დარიანის ლექსების პუბლიკაციისა და ხელნაწერების მდგომარეობისა.

1916 წელს შურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში (გვ. 16-17) დაიბეჭდა ელენე დარიანის უსათაური ლექსები „უკანასკნელი მოებისენა ტანსაფარავი“, რომელსაც წამძღვანებული პერიდა ეპიგრაფად „მაგიებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი“ და მიწურილი აქვს „ჩემიდან“ ე. ი. ელენე დარიანის ლექსიდან, რაც მოხსნილი აქვს შალვა დემეტრაძის შედგენილ და 1959 წელს გამოცემულ პაოლო იაშვილის ლექსების წიგნს (გვ. 139). სწორედ იმიტომ, რომ დაკარგულიყო მისი ნამდვილი ავტორი.

ამ, ლექსის შურნალ „ცისფერი ყანწების“ პუბლიკაციაც:

მაგიებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი.
ჩემიდან.

უკანასკნელი მოებისენი ტანსაფარავი
დაღუშებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი,
სავნებო გზაზე სიბნელეა, არ სჩანს არავინ,

სასიზმრო ლოცვა ვიგაღობებე უკანასკნელი
 დამეტიწელია... გათავიდება ზანტი ზმორება.
 და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები;
 ძილში ჩემს მუცელი ვიღაც ვაჟი ვამორება
 და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები.
 „შის აყვავება გამომტაცებს მწველ აღამიანს,
 (ჩემს შევეარებას მწუხარება კულავ მოემატა!)

და დაღონებულ, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს,
 ვარდისფერ ენით მომავრნებს გამობარი კატა“.

ამ ლექსის ბოლო სტროფის ასეთი რედაქცია დაბეჭდილი პაოლო
 აშვილის ლექსების 1959 წლის გამოცემაში:

„შის აყვავება გამომტაცებს მწველ აღამიანს,
 (ჩემს შევეარებას მოგონების მწუხარება რომ დარჩი),
 და დაღონებულ, ვაჟის კოცნას სულ ურთ წამიანს
 ვარდისფერ დილით აელვარებს, ცის ღურჯი ფარჩია“.

ელენე დარიანის არქივში დაცულია ამ ლექსის ხელნაწერი და მას
 ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს სიტყვი: „ვიგორძნი სითბო და მაცნობე
 შენი ამბავი — პ. წერილიდან“ (ე. ი. პაოლოს წერილიდან). შემდეგ
 მოსდევს ლექსის ასეთი ვარიანტი:

„აი მოვიხსენ ტანზე საფარი!
 გადახსნილ მხრებსაც მოენატრა შეხება შენი
 ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ სჩინს არავინ,
 ბავშვობის ლოცვა ვიღაღადე უკანასკნელი,
 ჩამეტინება... იიზმრებია ზანტი და მდორე
 დამიწნარებება გული ჩემი ჯერ ხელუხლება,
 ძილში ვიღაცა დამაკვდება, მეამბორება,
 ვნების სურვილით მედუნება მწარედ მუხლები
 დილის რიერავი გამომტაცებს ცხელ აღამიანს
 ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი კულავ მოემატა
 და გამწარებულს უცხო კოცნით ქალ-აღამიანს
 გონზე მომიყვანს ბეხრის ძირში გამობარი კატა“.

ლექსის აწერია დაწერის ადგილი — ქალაქი განჯა.

მოვიტანთ ელენე დარიანის მეორე ლექსისაც. ეს არის „ცისფერი
 ქოლგა“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1922 წელს ურნალ „მეოცნებე
 ნიამორებში“ (№7, გვ. 6). ამ ლექსის დასაწყისის საში სტროფი ასეთი
 რედაქციით შეიტანა შალვა დემუტრაძემ პოეტის თხზულებათა 1959

წლის გამოცემაში (გვ. 143):

„მე სოფლის ამბებს შენ მოგიყები
 შენ რომ პკოცნიდი ტუჩებით კიდეს,
 ისე დაზრდილან ჩვენი იხვები
 რომ კვერცხის ღება დაიწყეს კიდევ.
 შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები
 თბებს მინილავენ ღურჯ ნისკარტებით,
 ამ სიცეარულით ნაიმედები
 თავს კიმშვიდებდი სოველ ვარდებით.
 გვითხულობ ვაფას, ვიძულებ პოეს,
 ენატრობ სუსხიან მწარე ამინდებს
 ზურგს ვუფხან დილით პატარა ხბოებს
 და საღამოთი ვიფერავს თითებს.“

ელენე დარიანის არქივში დაცულია ამ ლექსის ხელნაწერი ვარიანტი
 და ასეთ წაკითხვას იძლევა:

„მინდა გიამბო სოფლის ამბავი
 და შენ დაპკოცნი ამ ტუჩებს კიდევ,
 ცას აზიდულან ჩვენი ვერხვები
 მჩეს უგზავნიან ჩემს ღოცვას ისევ.
 შემომეჩვინენ ჩემად გვრიტები
 ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანავარდობენ
 მათი ეღურტულით ნაიმედები
 აღარ მაწუხებს მძიმე დარდები.
 ვკითხულობ ვერლენს, ვკითხულობ პოეს
 შენგან მოველი წიგნს დანაპირებს,
 ზურგზე ხელს ვუსვამ პატარა ხბოებს
 შემდევ წყაროზე ვიხეხავ თითებს
 ვაზს შეცუადები და მტევანს ვკიქნი.
 ტყეში დავდივარ დავეძებ სოკოს,
 ხან მაჭარს დავლევ, ხის თლილი ჭიქით
 და ვეზიდები ფურნიან გოდორს.
 წვიმიან დღეში სიმინდის ტარო
 მე მომაგონებს არგვეთის ცუდ დღეს
 ჩამომადგება დამე უმოვაროდ
 და იჭვით სავსე აზრი მახუცებს.
 სოფ. მერეთი“.

ლექსი „წერილი ანა ახმატოვას“ პირველად დაიბეჭდა ურნალ „მეოცნებე ნიამირების“ 1922 წლის მერვე ნომერში. ლექსის აკტორი ანა ახმატოვას გაუცნო 1916 წელს მოსკოვში. ქნ ელენეს არქივში დაცულია ტიციან ტაბიძის ზემოთ მოყვანილი წერილი, რომელიც დაწერილია ღია ბართხული კრისტიან ტაბიძის წარწერით: „ანა ახმატოვა (მოეტესა) ნაბატი დელა ეთას კარლ ისკოსი“. ეს იყო ქართველი პოეტი ქალის ახალი შესველრა რუს პოეტთან... ისევ არქივს შემოუნახავს ანა ახმატოვას რამდენიმე ლექსის ელენე დარიანისეული თარგმანი.

დარიანული ლექსების დაყოფა შეიძლება სამ ნაწილად: 1. პუბლიკაციები ცისფერყანწელთა ურნალებში, 2. შალვა ლემეტრაძისეული გამოცემის რედაქციები, 3. ელენე დარიანისეული ხელამწერები, რომელიც ინახება მის არქივში. დასკვნის გამოტანა კულავ მკითხველისათვის მიგვინდია.

ელენე დარიანის მითის სინამდვილის გასარკვევად მკითხველს მინდა გავაცნო არქივში შემონახული მისი მოთხოვები (ნაწილი გამოქვეყნებულია ურნალ „მნათობში“ 1934, №7-8), ლიტერატურული წერილები (დაიბეჭდა „მნათობსა“ და ურნალ „ნოვი მირში“), თარგმანები რუსული ლიტერატურიდან, მოვონებები პალომზე, ლაზი გუდაშვილზე, პანტელეიმონ პეტრენკოსა და სხვებზე. წყება დღიურებისა ქართულად და რუსულად დაწერილი, ფსიქოლოგიური გამოკვლევა და სხვა მსალები, რომელთა გაცნობა-შესწავლა ბეჭრ ახალს შესძინა ჩვენს ლიტერატურას. ალბათ, დროის მსახურალ ხელს სასწაულებრივად გადაწინილი ეს ფოლიანტები უფრო მდიდარი იქნებოდა, ქნი ელენეს მეუღლე შალვა ქართველმეგილი რომ არ დაეპატიმრებინათ 1937 წელს, რასაც, ცხადია, ბეჭრი საინტერესო საარქივო მასალა შეეწირა, ხელო რაც შემორჩია, თავის სიტყვას იტყვის ელენე დარიანის მითის სინამდვილის დასაღვენად. მოგაქვს ნაწყვეტი ქნ ელენეს დღიურიდან: „ჩემს წინ, კედელზე გრიხის „გატეხილი სურა“ ჰქიდია. ის წინათ სხვა ოთახში იყო, ბელ კუთხეში ოდესადაც ჩამოკიდებული. თვალში იშვიათად მხვდებოდა და, გენერალური დალაგების დროს. ამ წუთში, მე დამებადა სურეილი, გადაეცელ ჩემს წარსულ ცხოვრებას.“

დიახ, გადაეცელ და გამოვარკეთ, ვინ ვიყავი და რა ვიყავი.

საზოგადოებაში კულტურულ, ჭრვიან ქალს მებახიან, ოცდახუთი წელიწადი სტუდენტობას ვზრდილი, ცისფერყანწელების და ვიყავი და ელენე დარიანის სახელი დაეტოვე იქ. აპა, ელენე დარიანი რას წარმოადგენდა? რას წარმოადგენდა ელენე დარიანი და რატომ უნდა დამყოლოდა მე სახელი პოეტი ქალისა, რომელიც წერდა კრონტეულ ლექსებს. ხანდახან შიზოფრენიულ მოვლენად მიმართა ეს მხარე ჩემს ცხოვრებაში...

მაშ ასე, ჩემს წინ გრიოზის „გატეხილი სურაა“. ეს შევენიური სურათი ჩემს დღეობაზე გამომიგზავნა კინმეტებული დღეს საერთაშორისო რონოდაში, მისკოვის გზაზე, 1916 წელს, აგვისტოს დამლევს. კიმტავრე თოხი დღე ვამხობ, ეს იყო ჩვეულებრივი შეხედა გზაში, მაგრამ ეხლა, როცა მე სამოცდაორი წლისა ვხდები, ვიცი, რომ ცხრამეტი წლის ქალისათვის ჩვეულებრივი არაფრიდ არ არის.

მე ვერძნობ, რომ ჩემი ცხოვრების დალაგება ნოველების სახით მომიხდება და მე მაპატიებენ, თუ წარსულს განსხვავდებული თველით გავხედავ და შევაფასებ როვორც უცხო არსებებს, რომელიც ფოცე ცალკე შემთხვევაში თავისებურად მომევლინებიან. ვიწყებ ამ ამიღან, იმიტომ რომ გულწრფელობა შევინარჩუნო ბოლომდე. მე ხომ ამ „გატეხილმა სურამ“ მიმითითა ჩემს გატეხილ დაცვანდელ ჭაფას“. დღიურის ეს უურცელი, ჩანს, 1959 წელსა შევსებული. მინატურული პროზის ამ ნიმუშმა მაინც უნდა გვაგრძნობინოს ელექტ დარიანის გულწრფელობა... ვინ იცის, კიდევ რაძმენს გვპირდება მისი დღიურის ფარის ნაწარმოებები? თანაც, რა შეუსწავლელი გვაქვს ქართული დღიურის ფარი?

ქნი ლალი რამდენიმე კითხვაზე ითხოვს პასუსს. ისევ წერილის მისგან დაწყებულ სათაურს გაეახსენებ – „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“ – გაცნობილმა მასალამ სრულიად ბუნებრივად წარმოშევ ივი. ელექტ დარიანს ბეჭდა არგუნა ჭოფილიყო ცისფერყანწელთა დამ, მაგრამ მის ცხოვრებაში ბეჭრი უწარუობაც ხდებოდა. სხვადასხვა დროს თითქმის ყველა ცისფერყანწელის ოცნების დედოფალი ზღება... მოეგრძ ცისფერყანწელთა შეს ლელი ჯაფრიძის წერილის ფრაგმენტს, რომელსაც იყი უგზავნის ელექტ დარიანს: „ელლის – სიცვარულისა და კარდიბის შეს დედოფალს – სალამი მეოცნებე ჭაბუკის!

დღეს უეცარია ეს თვალი, მაგრამ აკი უკვე ეს ჭერად არის ქცეული და, როგორც ასეთი, იგი უკვე სიახლოების შზრია.

არ ვიცი რატომ და ხშირად ხდება, რომ უეცრად ხვდები იმას, ესი ნახვაც უგზომ წრფელია და მოულოდნელ გულისნაღებს აშორებს გულისყრის.

ეგრე იყო. ვიყავი ლოდინში თქვენი ხილვისა მოუთმენელი. ხანდაპან, მაშინ, როცა მოხდა და ჩემი თვალი თქვენსას გაუსწორდა, მითვე გათავდა წადილი ლოდინის.

იქნებ იმისთვის, რომ არ ვიცოდი, მიცნობდით უკვე თუ არა...“ სამწუხაროდ, აქ წყდება წერილი და მისი გაგრძელება არსად ჩანს.

1920 წელს ჭუთასიში გამოვიდა კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნი „ბალდაზინი“. მასში შესული ლექსების ციკლს „მთვარის ჭურდები“ ასეთი ეპიკრატი ამშვენებს: „ელექტ დარიანს – ძვირფას დას“. ნუთე ბი კოლაუ „ჭეირფას დაში“ პაოლოს გულისნმობას?

გამოდის, რომ გრიგოლ რობაქიძე ცდება, როცა ელექტ დარიანი

ქალურ პოეტიურ სხივს ადარებს და გამოარჩევს ქართული მოდერნიზმის დაშვებთა შორის. ან როცა ბრძანებს: „ელენე დარიანი შესანიშნავთ პირველ რიგში იმით, რომ იყი ერთადერთია, რამელმაც ქალური სიტყვა თქვა“. ასევე საკითხავა, კონსტანტინე გამსახურდიაც, კურ არკვევს, ვის მიმართავს, კაცს თუ ქალს, როცა წერს „... შენ ისეთი გამბედავი ხარ, დამტურებელი იქნები ქალური ლირიკისა“ გამოჯინს, ისეს გრიმსშეიღიც ცდება, იყი ზომ ელენე დარიანს შალვა ქართველიშვილის მუედნედ მიიჩნევს... ამდენი მასალის წარმოჩენის შემდეგ მცირები ეჭვი მაინც როგორ არ უნდა გაუჩნდეს კაცს, თუ ვინ არის სინამდვილემ? ისიც შესაძლოა, დარიანობას ბევრი რომ იჩიქმებდა, მაგრამ დაუსაბუთებლად ვინ რას დაამტკიცებს? თუ თქვენი სტუდენტისას, ქნი ლალი, ჯრ გაარკივეთ, ვის ელამარა კებოდით, თუ მასპინძელმაც საჭიროდ არ მიიჩნია, ყოველივე უთქვა თქვენთვის, საქმარის საბუთად არ გამოდგება, სამისისოდ, რომ დაასკვნათ — ეს მოუსაფარი, მოხუცი ქალი დარიანობას იჩიქმებსო... კიდევ სწვეოდით, ეგებ როგორმე გამოგეწვიათ იმ საუკრისათვის, რომელიც დღვევანდელზე აღრე გაბაშნიდა მის საიდუმლოს? ქნ ნონას თუ დაუკუპრებთ, თქვენს ერთადერთ მოწმეს, ელენეს მისთვის უთქვამს, პაოლო ჩემს წერილებსა და ლექსებსაც თავისებურად იყნებდა — სწორედ ჩვენი ერთობლივი გრძნობებისა და შთაბეჭდილებების ნაყოფიათ დარიანული ლექსები, ელენე დარიანი კი მე გახლდითო...“

იმოწმებთ, აგრეთვე, გაშეთ „მეგობრის“ ცნობას: ელენე დარიანის არ ვიცობთ და არც მისი მიმართულება ვიცითო. რა გასაკვირია, რომ პაოლოს თხოვნით მათაც არ გაემხილათ ავტორი?

გაინტერესებთ, სად არის დაცული ელენე ბაქრაძის მოვონებები? გიპასუხებთ: სოფელ პატარძეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში. თვითონ ქნ ელენეს გადაუცია გიორგი ლეონიძის ქალიშეილისათვის მუზეუმში დასაცავად. ნაწილი არქივისა ამჟამად ჩვენთანაა. ეს გახლავთ დედანი და არა ასლი მოვონებებისა. მეკითხებით — რა ენაზე დაწერილია: დიდი ნაწილი ქართულად არის დაწერილი, მცირე — რუსულად. პაოლოს ცნობილი ერთსტროფიანი ლექსის ავტოგრაფიც პატარძეულში შევიძლიათ ნახოთ. იქვეა დაცული პაოლოს წერილებიც ელენესადმი მიწერილი, რომელთა ავთენტურობაც ასე გაეცემოთ. კურიკულობით საჭიროდ არ მიმაჩნია მრავალ უსაფუძვლო და თქვენი პოზიციის გასამაგრებლად მოტანილი ბრალდებების გამოდევნება (სათქმელის ამოწურვას ვამჯობინებ). სცდებით, ქნ ელენეს მარტოხელობაზე რომ წერთ. მას ყოველთვის გვერდით პყავინენ ახლობლები: დისმევალი, ქნიანინე მხეიძე, სხვა ნათესავები, ნინო და ლადო გუდისშეიღები და სხვები. მათსა და ქნ ელენეს ურთიერთობაზე იმდენი მასალა აქვიში, რომ ცალკე წიგნი დაიწერება. აქვე, არქივში, ერთ უურცელებზე, სადაც დარიანული ლექსების ისტორიაა, უცნობის ხელით მიწერილია: „კანი

ამებურძელა ტანზე. მაში, პალო არ არის ელუნე დარიანი?!“ ეგვიპტის ნახოთ და დაკეირდეთ ვისი დაწერილია?

იმ ღიტერატურისმცოდნეულთან ერთად, რომელთაც გაცხრილული აქვთ 20-იანი წლების პრესა თანდათან გავეცნოთ მასალებს, რაც ახლადგახსნილი არქივი გვთავაზობს, ნუ განვეწყობით უნდობლობითა და ეჭვით ყოველივე იმისადმი, რაც არ მოგვწონს, ავტონ-დავტონით წევს ხელთ არსებული მასალა...

P. S.

ეს სტატია ღალი ავალიანის საპოლემიკო წერილის პასუხად დაიწერა. ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში და მთელი ექვსი თევე „ღიტერატურულ საქართველოს“ სარედაქციო პორტფელში იღო, მაგრამ არ ედირსა დაბეჭდვა... ჯერ კიდევ გასულ წლის ღალი ავალიანს „ქალმასობილანაც“ შემოგვიტია. მისმა ფიცხელმა მოწოდებამ „ქართულასო კოლეგებო, ხმა ამოიღეთო!“ გვიან, მაგრამ მაინც გაჭრა და ახლახანს „ღიტერატურული საქართველოს“ უურცლებზე ერთმა ძეირუასმა კოლეგამ ხმა ამოიღო კიდევაც...

დავით თევზაბის წერილს „გზასაცდენილ დისკუსიას“ „გზასაცდენილი წერილი“ რომ ერქვას, უკეთ მიესადაგებოდა წერილის შინარქს, რადგან მის მკითხველს დარიანული ლექსების აეტორზე მეტად სხვა რამე უფრო აინტერესებს, სხვა მიზანი ამოძრავებს – წარმოუდგინოს მკითხველს გაცხარებისგან წონასწორობადაკარგული მოღავე ქალბატონი „სერიოზულ მკელევარად“, „ტაქტიან მოკამათედ“, „ცისფერყანწელთა საუკეთესო მცოდნედ“ და ასე შემდგე. ღ. ავალიანის გამოქვეყნებული წერილები კი სულ სხვას ადასტურებენ. იგი თევითონ არსად არ უშევს შემთხვევას და ძალზე მოხდენილად ჩაურთავს ხოლმე თავის ქებას საკუთარ წერილებში... ახლა ღ. თევზაბემაც აღავლინა მისი ქებადიდება. მე კი მერჩია ჩემი წერილებისათვის ეღენებინა თვალი. ზოგიერთი მაინც წაეკითხა. მამინ ამდენი კითხვაც არ გაუჩინდებოდა.

დაღოცეილი, ისე სასწრაფოდ მოითხოვს საარქივო მასალების მუშეუმებისათვის გადაცემას, თითქოს რაც და სადაც მოუკითხე, ჯელაუერი წახოთ და ახლა ამასდა ელოდებიან. ცოცხალი მოწმებიც დავისახელე, მათგან რა პასუხიც მიიღეს, კარგად ვიცი. ხოლო სხვებს როგორ გადააფიქრებინეს ელენე დარიანის შესახებ კამათში ჩართვა მუქარის, დაშინების გზით – ესეც გავიგვე.

არ მიეკირს, რომ ჩემმა წერილებმა (სათაურიდანვე) და ცდამ დარიანული ლექსების ნამდევილი აეტორის მიკელევისა, საშოგადოების ქრისტი ნაწილი შეაშფოთა და გააღიზონა (ხომ ცხადია, რომელი ნაწილიც?).

ამის დასტურია პაოლო იაშვილზე მონოგრაფიის ავტორის ლ. ავალიანის გამოცემის შემოტკიცვა ორივე განხილვაზ, მისი ცდა „ძვირფასი ქოლეგიას“ ამხედრებისა და მის ფეხისხმას აყოლილნი მავანნი.

ასე დაეცედა უაღმლო პოეტ ქალს... ასე დაიწყო... ასე გრძელდება... ასე მონია, როგორც თანამედროვეთ ერ გაუგეს, რადგან მზად არ აღმოჩნდნენ მისი პოეზიის მოსახმე-გასაგებად, ისე დღევანდელი სახოგადოებაც არ არის მოწოდებული, რომ ერთხელ, სუკურის დასაწყისში დაკანონებული (მართლად კი არა, მცდარად, მაშენთა გამო), გადააფასოს, შეცვალოს, თავისი სახელი დაარქეას...

ხელის რა უმღის? გამბედაობა არ ყოფნის? ხელისულება ზღუდავს? არაუერი ამის მსგავსი, უგაა - ლიტერატურის ინტერესებს საკუთარზე მაღლა არ აყნებს.

ღრმად დავრწმუნდი, მავანი ამას ურ კი არა, არ გააკეთებენ, ურ კი არა, არ გაარცევენ... ასე ურჩევით - ხელუხლებული დარჩეს ყველაფერი, ისევე, როგორც აქამდე იყო. წინა თაობა ხომ გაშემდა? ესენიც გაჩიტდნენ... აბა, წყალს ხომ არ გაატანენ ამ თემაზე დაწერილ ნამრობებს... უბედურება ისაა, რომ თავშივე უნდათ ჩაიხმოს დაწყებული კელევა და იმ კითხვებს იძლევიან ცნობისმოყვარე ბაეშეებივით, რომელსაც ნამრობში ისედაც გაეცემა პასუხი. თუ კატეგორიულად არ სურთ სიმართლის გარკვევა, დაე, ასე იყოს, დარჩეს ღრმობულ ქალური ლირიკის დაწწყებად კაცი (ეს უფრო ბუნებრივად ეჩვენებათ?!).

ელენე დარიანის მარიჯანისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტრიფის გაფახსენებთ, რომელიც მხოლოდ აუტორის კი არა, იმათ გულისტკეთილსაც იტევს, ვისაც იგი კელავ გასაუჩინარებლად არ ემეტება:

„დღეს ჩვენი ხალხი გათბობს გეირგვინით,
წელთა გუგური შებლზე განათებს,
იყავ დღეგრძელი, ჩემს გულისტკივილს
სულ სხვა თაობა გაასამართლებს.“

როგორც ჩანს, ელენე დარიანის გულისტკივილის მომრჩენ და გამისამართლებულ თაობად ჩვენ არ გამოვდგებით... დაე, ასე იყოს, დარჩეს დრომდე ელენე დარიანად, ჰეშმარიტი ქალური ლირიკის დაწწყებად არა ის, ვინც ეს იტევითა...

ვინმე, რდესმე ხომ გაარკვევს, გაასამართლებს გასაიდუმლებულ გულისტკივილს? არარა არს დაფარულ, ყოველივე გაცხადდეს... ვიღაც ხომ მოესწრება ამ გაცხადებას? არც ის მგონია, რომ ეს გაჩიტდება დიდ გმირობასა და სამართლიანობაში ჩათვალის იმ სხვა თაობაში.

პასუხი მინაწერისათვის „არის აზრი“...

ქელოუ, მისტერ კიკო! თქვენი მისამართი, დამიჯერეთ ლონდონში
არ მიძებნია... ელენე დარიანის დღიურებსა და ჩანაწერებშიც
მოიხსენიებით... იგი თქვენგან დაცინეა—გაკილვას ნამდეილად არ
იმსახურებს...

23.III.9.8.

P. S. ელენე დარიანის პოეზიაში დაეჭვებულთ ვაწვდი მის რამდენიმე
ლექსს, ამიღებულს მისი არქეოლან და მარტინებულს იმისა, თუ რა
ძალის პოეტი იყო იგი და მართლა იყო თუ იჩიტებდა დარიანობას, ან
როგორი ქართული იცოდა ამ მირონცხებულმა ქალმა ეს ლექსებიც
დაადასტურებენ.

ხატაური

მ. ჭ-ს

მწვანე ხავერდი, ვერცხლის ბეწვი და ხატაური
ჭრელ ხალიჩაზე ჩაპევდომია სპარსეთის რაშებს...
დათენთილ ბრჭყალებს ამახეილებს და ათამაშებს
ამართულ ფურთა ესმის უცხო ქვეყნის ხმაური.
ცხელი საღამო, ქვიშის სრბოლა, აურზაური
აუტეხნია შუაღამით წყეულ ზარნაშებს,
ო, რა უხდება, ამპარტავან, აშლილ ულვაშებს
მისი ხელა ასე მომხიბლავი და უცნაური.
მწუხრის საათზე სუინქსის სახე გააცხოველებს
ღამის წიაღში ის კითხულობს ღამის ნოველებს
და განუწყვეტლივ აპრუტუნებს შორით ნაღარას.
პატარა თითებს კარგად ახსოეთ სპილოსთან ბრძოლა,
რა დროს დაიწყებს ზამთრის სუსხში ბუნება ძრწოლას,
ბუხრის სითბოზე მოიგონებს ყვითელ საქარას.

1923 წ. XII

შენდობა

გ. ბ-ს

არ დამავიწყდი, შენი გული გამომყვა მცველად,
გული ბუდიდან ამოგარდნას რომ აპირებდა,
ჩემო ძვირფასო, დავიბნევი ღმერთთან ღოცვებად
სამარადისოდ შენს სიცოცხლეს თუ დამპირდება.
დღეები რბიან, შენზე ფიქრი მაწუხებს ისევ,

დღიო არის, ვიცი, რომ გათვდეს შენი გოდებაც.
 გულს სიხარულით, თუმცა ახლად ვეღარ აგივსებ
 – სულით ვარ ავად, აღარავინ მომავინდება.
 ძეველი ამბავი მომეხვია, გამთიშა შეწინ,
 ჩამოლგა კნება განკეული ღამით ნაბადში,
 გაპეტივის სული, ეს ქეყანა მოლად გადაშენდა
 მოვევევი სუსტი ქარბუქში და ცივ ნიაღვარში.
 ეხლა სზვაგან ვარ, დაღლილი ვარ, თან გულიც მტკივა,
 გული, რაინდულ ჯვარზედ გაეკრავს რომ აპირებდა,
 დაშვეიდდი, ჩემო, გულის ტაძრის შვარაკად მოვალ,
 სამარადისოდ შენს სიცოცხლეს თუ დამპირდები.

ტყის შრიალი

შრიალი შახით: შეკედება ნელი
 ზურმუხტი, ლალი, დაფანტული დახრილ თვალებში,
 მუდარა ჩემი, უდარდელი, ხილზედ სურნელი,
 ოცნება ციდან ჩამოშვებულ კარნავალებზე.
 შრიალი ახლოს: აშოლტილი ალევბის რხევა,
 ზამბაპთ ზემი, ზართა ლახინი, შაბაში დიდი,
 როგორც ლანქერი სისხლის დენა, საზღვრების მსხვრევა,
 ლოტისი თეთრი, ლიტანია, შარავანდედი.
 შრიალი ზევით: ძილში თვლება, ლოცვა უმანქო,
 აზრთა სიწმინდე, აგზავნილი გული ლარწაკით,
 სული ლამპარი, გადაშლილი სხივი უდაბნოდ,
 და წმა ცისაქნ – მწვერვალებში თქმული ზღაპარი.
 შრიალი ტყეში, ხან ჩურჩული გატაცებული,
 ფიქრი ბინდებით გადაერტული – სიერცეში ფრენა,
 მოგონებები უნაზესი მირონცხებულნი,
 რწმენა სიცოცხლის და სიღრმეში ლოცვა-კურთხევა.

აბასბუშევანი, 1923.

სიმარტოვე

სტირს ჩემი სული, არ ვიცი რატომ,
 წვიმს და გაპეტივის მწუხარედ ქარი,
 ჩემო ძეირუასო, ისევ ვარ მარტო,
 მხოლოდ აჩრდილი შენი აქ არი.

მიკივის სივრცე მძაფრი ამბორით

არ მოსჩანს არცერთ გზაშე არავინ.

და ჩემი სული ეხლა მაგონებს

უნათესავო ბავშვის სამარეს.

აწვიმებს ბალებს, აწვიმებს სახლებს,

აწვიმებს ცრემლით ფანჯრების მინებს,

ეიგონებ სევდით ძეირტას სახელებს

და უძვირფასესს ვინ მათქმუანებს.

და ასე ცივა, ცივა დღეს გარეთ,

კიღაც დასტირის მწუხარედ ქარში,

უფალო ჩემო, შენ დაიფარე

ის, ვინც დავტოვეთ გარეთ, აედარში.

1923 წ.

* * *

მე შენთან ერთ დღეს ვერ გავატარებ

შენთვის ვერ დავთელი ლოდინის წუთებს,

შენ სულ იოლად წარსულს აბარებ

რაც დღეს გიზიდავს, რაც დღეს გაწუხებს.

მე კი სიყრმიდან სულ სხვას ვეტროლდი,

სულ სხვა ოცნებას მივსდევდი უკან,

თუ დუღცინიას არ დაენატროდი

დონკიხოტობა მიყვარდა მულამ.

15/2

* * *

დილა. 5 საათი. მიწყდა ქალაქის საათის უკანასკნელი რეკვა. თან
 წაილო ის, რის დაბრუნება მე ალარ მჯერა.

მაშ ასე, შშვიდობით,

შშეიდობით სამუდამოდ,

დღეს მტკივა გული...

დამათვლევინე მწარე დღენი

მერე რამდენი...

დავრჩი უბინაოდ.

ნაზია სევდა დაბინდუბით,

ჩრდილებით მიდამო

და დაწელი ფარული...
 ჩამოიშალნენ ფიქტურით
 შევი ფიქტური...
 მარტო ვარ, უბინაოდ.

1937, 30. XL*

მემატიანე სიმართლეს იტყვის

(ნაწყვეტი)

„პოეტის დაკარგვა ძალიან აღვილია, ხოლო პოენა ძნელია მეტად“ კუთხულობთ საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1964 წ. №24) პალლო დაშვილზე გამოქვეყნებულ წერილში.

ეს მრავლისმთქმელი სიტყვები გვაჩსენდება, როცა ეცნობით ელენე დარიანის მითსა და სინამდევილზე დაწერილ საპოლეოში წერილებს.

გვაქვს კი უკლება დავკარგოთ პოეტი ქალი? მემატიანე ამას გვაპატიებს? არარა არს დაუარული, ყოველივე გაცხადდესო... და გაცხადდება! ეს მოხდება!

1999 წლის ივნისში გაზეთ „ქალმასობის“ (№33) უურცელზე გამოვაძვებნეთ ელენე დარიანისა და ანა ახმატოვას ურთიერთობის ამსახველი მასალები.

წერილში პირველად გამოქვეყნდა ცნობა ა. ახმატოვას 1919 წელს თბილისში გამოცემული ლექსების წიგნზე „Белая стая“-ს ელენე დარიანისა და ანა ანტონოვსკაიას ღვაწლზე. სამწუხაროდ, ეს გამოცემა ჩეცნს უროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული არ არის. წიგნი ჩვენ ენახეთ ცნობილი ბიბლიოთეკის მამა ხარაზის კოლექციაში. ამავე წერილში დაიბეჭდა 1914 წელს მოსკოვში მოცემულ და ბარათზე ანა ახმატოვას გაძისახულება, რომლის მეორე გვერდზე ტიციან ტაბიის ელენე დარიანთან მიწერილი ტექსტია. აქ წარმოდგენილ სხვა ახალ მასალებთან ერთად გამოვაძვებნეთ ლექსების ტექსტები, რომლებიც უთარგვნია ქალბატონ ელენეს, ჩეცნ კი გვევონა, რომ ისინი ანა ახმატოვასადმი იყო მიძღვილი, მაგრამ მალევე არქიექტონის მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ისინი თარგმანს წარმოადგენდა. ეს ამბავი მაშინვე ვაცნობეთ გაზეთ „ქალმასობის“ „რედაქციას და გაზეთის მომღევნო ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „უნგლიივი შეცდომა, რომელიც აღმოჩნდა ტოლფასია“.

ქ-ნმა ზეინაბ ლომეგარიამ დრო იხელთა და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1999 წ. 1-8 ოქტომბერი, №40) გამოაქვეყნა წერილი, სადაც გაზეთ „ქალმასობის“ მიერ აღიარებულ ფაქტებს ისევ

* წერილი დაიბეჭდა გაზეთში „ქალმასობა“, 1998, 28 აპრილი, № 7.

დაუბრუნდა და თავი გამოიღო ანა ახმატოვას შემოქმედებისმცოდნეობაში. მე ვწერდი, რომ ელენე დარიანი ანა ახმატოვასავით რითმიაში მოიკოცებული მეთქი. სხვათა შორის, მე არ ვარ პირველი, ვინც ეს აზრი ვამოთქვა. ჩემშე გაცილებით ადრე, ცნობილმა შეწერალმა და მკვდევარმა აკაკი გაწერელიამ მოუთითა ვაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და თავისი რჩეული ნაწერების მეორე ტომში შეიტანა (თბ. 1978), რომ ანა ახმატოვა ზოგჯერ რითმიასაც უჟავდებსო” (გვ. 212). სხვაფრიც, ზეინაბ ლომჯარიამ წერილში ციტირებულ ანა ახმატოვას ლექსებს ელენე დარიანისეულ თარგმანებს მკაცრი განაჩენი გამოუტანა „ქალბატონი ელენე, აღმართ მოცალეობის ყამს თავისითვის წერდა და დარწმუნებული ვარ, გამოქვეყნებაზე, არ უფიტრიათ“... თუ როგორი მთარგმნელი იყო ქალბატონი ელენე, სულ მალე გაიგებს მკითხველი, როცა წაიკითხავს ლექსა უკრაინკას ლექსების მისეულ თარგმანებს, ზოლო ო. ტერგენევის მოთხრობა „ასიას“ ელენესეული თარგმანი ბარე ორჯერაც არის გამოცემული და მკითხველი დარწმუნდება, რომ იგი ზეინაბ ლომჯარიას ხელწამოსაკრავი მთარგმნელი ნაძღვილად არ არის.

ჩენი მოკამათე ანა ახმატოვას ლექსის „რექვეშმის“ გამოქვეყნების თარიღშიც მკითხველს აცდუნებს. როგორც წერს „მკითხველი მხრივი 1987 წელს გაეცნო „რექვეშმის“ და მოუთითებს უერნალ „ოქტომბრის“ (№3) და უერნალ „ნივას“ (№6). წერილის დასასრულს უფრო გასათაცარ დასკვნას გვთავაზობს: „ასე რომ 1979 წელს ელენე ბაქრაძე 1987 წელს გამოქვეყნებულ „რექვეშმის“ ვერაფრით ვერ წაიკითხავდათ“ (განეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1999 წ. №40).

ჩენი მოკამათის პრეტენზით, თითქოს მან ყველაზე „უკეთესად“ იცის ანა ახმატოვას შემოქმედება და ლექსის „რექვეშმის“ გავრცელება – ბეჭდვის ისტორიაც, სიმართლე არ არის. აშკარაა, რომ იგი არ ცნობს ცნობილი ბიბლიოფილის მამია ხარაზის წიგნს ანა ახმატოვაზე (გამოცემულია 1992 წელს, თბილისში, სათაურით „სული დევნილი“).

ახლა ისევ „რექვეშმის“ გამოქვეყნების ირგვლივ. ლექსის ტექსტი კიდევ 1962 წელს, როცა უერნალ „ნივა მარის“ (№11) უერცელზე გამოქვეყნდა ა. ი. სოლენიცინის მოთხრობა „ივან დენისისძის ერთი დღე“ იქ შეიტანა მწერალმა აღნიშნული ლექსის სტრიქონები. 1963 წელს კი ეს მოთხრობა ცალკე წიგნად გამოიცა 100 ათასი ტირაჟით. ზოლო ამ გამოცემის ერთი თეთრი ადრე იგივე მოთხრობა „რომან-გაზეტაში“ გამოქვეყნდა 750 ათასი ტირაჟით. როგორ გვინდა, ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი მაინც ვერ ჩამოაღწევდა თბილისამდე? მაშინ, როცა ამ ლექსის საზღვარგარეთის გამოცემებიც ვრცელდებოდა საქართველოში. კერძოდ, 1963 წელს მოუნხენში დაიბეჭდა „რექვეშმი“ უცხოელ მწერლებს ამხანაგობის გამოცემელობაში. 1964 წელს კა კელავ იბეჭდება „რექვეშმი“ უერნალში „ვრანი“. ყველა ეს მასალა რედუნდანც შეკრებილი ჰქონდა ჩემს მეგობარ მწიგნობარს მამია ხარაზის.

ქ-ნ შეინაბს შევახსენებ, რომ ანა ახმატოვას „რეკვიეში“ ხელ-
ნაწერის სახით დატყვედვის მდე კრიცელდებოდა არა მარტო სირ კავშირში,
არამედ მოელის მსოფლიოში. როგორც მამის ზარაზი იტყობინება: „1963
წლიდან ახმატოვა აღარ არის „რეკვიეშის“ კრითიკურთი სირცეუფლებიანი
მულობელი. იგი ცხოვრებას იწყებს მრავალიც ხოვან ხელნაწერებსა-
და მანქანურ ნაბეჭდში. 1963 წლიდამ რუსეთში არ არის არცერთი
ინტელიგენტის სახლი, სადაც არ იქნება „რეკვიეში“. (მ. ზარაზი, სული
დეპილი, თბ., 1992, გვ. 89). საინტერესოა, იმ დროინდელ თბილის შავი
ფარდა ხომ არ პქონდა ჩამოთარებული? აქამდე ვერ მოაღწიედა ამ
ლექსის ერთი ეგზემპლარი მაინც? თანაც რუსული ენისა და
ლიტერატურის ასეთ ცნობილ სტეკიალისტამდე, როგორიც იყო ქალბატონი
ელენე ქართველიშვილი, იყიდვე ელენე ბაქრაძე, ბერიშვალი, ელენე დარიანი
— ამ უკანასკნელის სინამდვილეშიც თქვენ 2000 წლის 11-17 აგვისტოს
გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილშიც
ეჭვი გეპარტია.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ მითხველის შევახსენებ,
რომ აღნიშვნულ ფოტოსურათზე მართლაც აღბეჭდილია პეტრე ქავთარაძის
მეუღლე ანა ილარიონის ასული ლორთქიფანიძე, რაც ქალბატონშია ნიტა
ტაბიძემ უფრო ადრე შენიშვნა, ხოლო 1998 წელს უკრნალ „ცისკარში“
(№12) ქ-ნა მანანა ქავთარაძემ ჭოველგვარი აურზაურის გარეშე მოუთითა.

რაც შეეხება პოეტი ქალისადმი ზ. ლომიჯვარიას წაყვეტულ პრალებებს
კოე იღიას ძე აბაშიძის არქივის „წაღების“ შესახებ, ფაქტი
დასასუსტებელია, ვის ხელში აღმოჩნდა ეს ცველაფერი, ვიცით? უნდა
გადაისინჯოს პატარძეულში გიორგი ლეინიძის სახლ-მუზეუმის ფინანსი.
მსგავს მასალებს შეხვდებით გიორგი ზარატიშვილის წიგნში „ქართველი
ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიდან“ (თბ. 1975
წ.).

სამწუხაოდ, ზ. ლომიჯვარია ლიტერატორთა იმ ჯგუფშია, რომელთაც
უამრავი დამაღასტურებელი საბუთის მოუხედავად. ჯოუტად არ სურთ
პოეტის პოვნა, დაკარგვა უფრო გადვილებათ, რადგან პირად მოსაზრებებსა
და ინტერესებზე ვერ მაღლდებიან. ამას კი მემატიანე მართლაც რომ
პირუთვნელად განსჯის.

ისეგ ელენე დარიანის მითხა და სინამდვილეზე

1997 წელს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№34,35),
სანამ ჩემი წერილი „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“
გამოქვეყნდებოდა, რამდენიმე ნომრით ადრე დაბეჭდა იყანე მირზანაშვილის

წერილი, სადაც ამოიკოთხავთ, რომ „უკანაურია და ამაგვ დროის, სამწუხაობის პერიფერიული მეცნიერის ბედი (დაყოფა ჩვენია გ. ჯ.)“ რაც უწინა სერიოზული მკელევარი იყოს, „მეტროპოლიაში“ მცხოვრებ უქარა მცუმებაქსაც ვერ ჯობის საერთო-სახალხო „რეიტინგით“. გამოჩინებული უქნარები რომ ბაბბას აჩხრიალებენ, ბატონი გიორგი მარგალიატებს პოულობს, სენისაციურ აღმოჩენებს აკეთებს.

ამ, ახლაც, მაღლე გამოაქვეყნებს მასალებს იმის შესახებ, რომ პოლო იაშვილის შესანიშნავი „დარიანული“ ლექსები სულაც არ ეკუთვნის პალო იაშვილს, მაგრამ არ დაუკავებებენ“ (ეს წერილი აუტორმა შემდეგ შეიტანა წიგნში „თეორი ჯვრის ხეობა“, მხატვრულ-დოკუმენტური ჩანაწერები, თბილისი, 1999, გვ. 80).

მეკითხველო, ამ ჩემთვის უხერხულ დახასიათებას არ მოვატენდით, მაგრამ იყი უკანასკნელმა ფრაზამ „მაგრამ არ დაუკავებენო“ მაისტრა. მართლაც, ეს წინასწარმეტყველება ამინდა. ჩემი „მეტროპოლიაში“ მცხოვრები მეცნიერები: ქნი ლალი ავალიანი, ბატონი დავით თევზაბე, ჭი ზეინა ლომჯარია და მთელი ჯგუფი ამორძალებისა დამესხნენ თავს: აქედან ყველაზე შემტევი პოზიცია დაიკავა ზეინა ლომჯარიამ... მან ორი საგანხოთ წერილი და ბოლოს პატარა წიგნიც გამოაქვეყნა, საიდუმაც გავიგე, რომ „მეტროპოლიაში“ მცხოვრებ მეცნიერებს „პერიფერიაში“ მოდვაწე მეცნიერი ავთანდილ ნიკოლებშეილიც გაზრდა „ახალი ქუთაისის“ (1997 წ. 14 ნოემბერი) საშუალებით გამოხმაურებდა. მართალია, ჩემ ეს წერილი არ წავეკითხავს, მაგრამ ბატონი ავთანდილის მონოგრაფიას პალო იაშვილზე კარგად ვიცნობთ და მისი პოზიციაც ჩვენთვის კარგად არის გარკვეული.

ასე, რომ ჩემს გამოქვეყნებულ წერილებსა და მოსაზრებებს პლატფორმისადმიდევნიც და მომხსენიც.

